პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 16 თებერვალი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 38 (2384)

დღიური

— სპარსული გაზეთები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ.
— ავტონომიური სეიმის დათხოვნა ზემო სილეზიაში.
— გარდაიცვალა პოლონეთის კომპარტიის ცნობილი მოღვაწე სკრიპა.
— დამატებითი არჩევნები ნორტუმბერლენდში (ინგლისი).
— გერმანიის მემაღაროები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას და 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას.
— მუშათა პარტიის დეპუტატის ვეჯვუდის შეკითხვა.
— დაიწყო ნავთის გადაქაჩვა ბაქო-ბათომის ახალ ნავთსადენში.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს, ა/წ. თებერვლის 28-ს, დილის 10 საათზე
ქ. თბილისში, სასახლის წითელ დარბაზში
გაიხსნება
საქ. ცაკის მე-4 მოწვევის მე-5 სესია

დღის წესრიგი:
1) მოხსენება ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ
2) ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმის მიერ სესიიდან სესიამდე მიღებულ საკანონმდებლო აქტების განხილვა-დამტკიცება
3) საორგანიზაციო საკითხები
4) მიმდინარე საკითხები

ს. ს. ცაკ-ის მდივანი—**ვარძიელი**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და გაზაფხულის თესვის კამპანია

გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მზადებას ჩვენ იმ პერიოდში შეუდექით, როდესაც საბჭოთა, სახელმწიფო და კოოპერატიული მანქანის მთელი მექანიზმი უნდა ამუშავდეს „სამეურნეო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მთავარი ამოცანის" განსახორციელებლად, სახელდობრ— „ნათესი სივრცის გასაფართოებლად 7 პროცენტით და მოსავლიანობის გასადიდებლად 3 პროცენტით" (ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის რეზოლიუცია). საქმის ყოველი შეფერხება და არა საკმაოდ გამოყენებული თვითეული დღე შეიძლება სერიოზულად დაეტყოს ამ დავალების განხორციელებას.

რადგან დრო ცოტა დაგვრჩა დიდი სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანების განსახორციელებლად, ამიტომ თვითეულმა პარტიულმა, სახელმწიფო თუ კოოპერატიული აპარატის თვითეულმა მუშაკმა განსაკუთრებული ენერგია უნდა გამოიჩინოს და მარჯვედ გამოიყენოს ყველა ღონისძიება, რომელიც საჭიროა გაზაფხულის თესვის კამპანიის მოსამზადებლად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს. ამ კანონს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს იმ ღონისძიებათა შორის, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პარტიული დირექტივებისა და სახელმწიფოებრივ დადგენილებების შესრულებას სოფლის მეურნეობის გაძლიერების საქმეში. მშრომელი გლეხობის ფართო მასებისათვის დაუყოვნებლივმა და ყოველმხრივმა განმარტებამ იმ შეღავათებისა, რომლებსაც ახალი კანონი მათ ანიჭებს, კანონით წამოყენებული პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად აღებულმა მტკიცე გეზმა, საქმისადმი სწორმა და დროიანმა მიდგომამ უნდა შეადგინონ გაზაფხულის თესვის კამპანიის მოსამზადებელი ღონისძიებანი და რეალურად უზრუნველჰყონ მათი გატარება.

მარცვლეული მეურნეობის გაძლიერების საკითხის შესახებ ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში მოცემულია სრულიად სწორი მითითება, რომ ყველა ღონისძიებებს „შეუძლიათ მოგვცენ რეალური ეფექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მათ გატარებაში თვით გლეხობა სამეურნეო მოსაზრებებით დაინტერესებული იქნება". ამიტომ გლეხობის ძირითადი მასების სამეურნეო ინტერესის ყოველნაირად გაცხოველება ამჟამად ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს.

პლენუმი ემყარებოდა გლეხობის მშრომელი ფენების სამეურნეო ინტერესის ყოველმხრივი გაცხოველების საჭიროებას, ამიტომ მან სოფლისათვის საქონლის მიწოდებისა და ფულის სისტემის განმტკიცების საკითხებთან ერთად საკითხი დასვა სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ნოემბრის პლენუმის დროიდან პარტიამ გაატარა სხვადასხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანს შეადგენდა მარცვლეული მეურნეობის გაძლიერება. ამ ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც შარშანდელ წელთან შედარებით თვალსაჩინოდ გადიდებულია ხარჯები სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა პროდუქტების შესაქმნელად. ჩვენ იმავე მიზნით გავატარეთ აგრეთვე სხვა პრაქტიკული ღონისძიებანიც: კონტრაქტაცია, კრედიტების მიწოდების გაძლიერება, თესლეულისა და მანქანების მიწოდება და სხვა.

პლენუმის დირექტივების თანახმად, სასოფლო - სამეურნეო კანონში, წინათ მოქმედ კანონთან შედარებით, შეტანილია ცვლილებანი, რომელნიც კიდევ უფრო მეტად იცავენ ღარიბი და საშუალო გლეხობის სამეურნეო ინტერესებს, ხელს უწყობენ განსაზოგადოებული სექტორის განმტკიცებას და უზრუნველჰყოფენ მის ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობაში. რადგან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონით კულაკურ მეურნეობას არავითარი შეღავათი არ ეძლევა, ხოლო საშუალო და ღარიბი გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობებს და კოლექტიურ მეურნეობებს წინანდელი შეღავათების დამატებად ახალი შეღავათები ენიჭებათ, ამიტომ, ცხადია, რომ კანონის ნორმების სწორმა გამოყენებამ უნდა გააძლიეროს სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი და ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობათა პოზიციები კულაკებთან ბრძოლაში. კანონის განხორციელებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი გადასახადით დაბეგვრის სწორ კლასობრივ განაწილებას. დაბეგვრის მთავარი სიმძიმე უნდა დააწვეს სოფლის მაღალ ფენებს, საშუალო გლეხობას უნდა შეუმსუბუქდეს გადასახადი იმ მიზნით, რომ უფრო მეტად დაინტერესდეს თავისი მეურნეობის გაძლიერებით, ღარიბი გლეხობა კი კვლავ სრულიად თავისუფალი უნდა იყოს გადასახადისაგან, რათა ახალი შესაძლებლობანი მიიღოს სამეურნეო განვითარებისათვის.

ამგვარად, ახალი კანონი განაგრძობს წინანდელი კანონების კლასობრივ ხაზს იმ გარემოებასთან შეფარდებით, რომ სახელმწიფოს ახლა უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის გაძლიერებასა და რეკონსტრუქციას.

ახალი საგადასახადო კანონის უმთავრესი უპირატესობანი და შეღავათები შემდეგში გამოიხატება:

ჯერ ერთი, დაბეგვრისაგან განთავისუფლებულია ნათესი სივრცის ახლად მომატებული ნაწილი საბჭოთა კავშირის იმ ადგილებში, სადაც მემინდვრეობის შემოსავლიანობას ანგარიშობენ ნათესების მიხედვით. ამ კატეგორიას ეკუთვნის საბჭოთა კავშირის გლეხობის მეურნეობათა და ნათესი სივრცის, დაახლოებით, 60 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული გლეხის მეურნეობაში გადასახადის გამოანგარიშება მოხდება იმ ნათესი სივრცის მიხედვით, რომელიც აღნუსხული და ჩაწერილი იქნება გლეხის მეურნეობის საგანაკვეთო ფურცელში 1928—29 წელს. ხოლო თუ გლეხი წელს ან შემდეგ ნათეს სივრცეს გააფართოებს, ახლად დათესილი სივრცე განთავისუფლდება დაბეგვრისაგან, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გააფართოვა იგი.

მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვან შეღავათს ის წარმოადგენს, რომ მთელ საბჭოთა კავშირში დაბეგვრისაგან სავსებით თავისუფლდება ყამირ და ანეულ მიწების ნათესი სივრცე. გადასახადისაგან თავისუფლდება ყამირისა და ანეული მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც მიმდინარე წელს პირველად დაიხვნება და დაითესება.

იმისათვის, რომ გავიგოთ ამ შეღავათის მნიშვნელობა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ [illegible] მთელ რიგ უდიდეს რაიონებში გადასახადის გამოანგარიშება ხდება სახნავი მიწის და არა სათესი სივრცის მიხედვით. ამავე დროს ზოგიერთ ასეთ რაიონში არის დაუმუშავებელი მიწები, ზოგჯერ სასარგებლოდ მიზომილ ნაკვეთებშიაც, საბჭოთა კავშირის იმ ნაწილისათვის, რომელშიაც დაბეგვრა ხდება სახნავი მიწის სივრცის მიხედვით, ეს შეღავათი მეტად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, აღნიშნული რაიონებისათვის კანონი აგრეთვე ითვალისწინებს შემოსავლიანობის ნორმების შემცირებას სახნავი მიწის ჰექტარზე ორი-სამი მანეთით, ესე იგი დამატებითი სერიოზული შეღავათის მიცემას.

კანონი განსაკუთრებით უწყობს ხელს მრავალმინდვრიანობაზე გადასვლას. იმ რაიონებში, სადაც დაბეგვრა ხდება ნათესის სივრცის მიხედვით, კანონი 15 პროცენტით ამცირებს შემოსავლიანობის ნორმებს ჰექტარ ნათესზე. წინასწარი ანგარიშით ზემოთ ჩამოთვლილი შეღავათების გამოყენება გადასახადს ამცირებს დაახლოებით 30—35 მილიონით გასულ წელთან შედარებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ღარიბი გლეხობა სავსებით თავისუფლდება გადასახადისაგან, ხოლო სოფლის კულაკურ ნაწილს ეს შეღავათი არ ეძლევა, მაშინ აშკარა გახდება, რომ საშუალო გლეხობის მეურნეობათა იმ ნაწილს, რომელიც თავის ნათეს სივრცეს გააფართოვებს, თვალსაჩინოდ შეუმცირდება გადასახადი ყოველ კომლზე. მაგრამ მარტო ნათესი სივრცის გაფართოვება, თუ უცვლელად დარჩა გლეხურ მეურნეობის ეხლანდელი მცირე მოსავალი, კიდევ ვერ მოგვცემს საჭირო ეფექტს. მარცვლეულის პრობლემის მხოლოდ ნათესი სივრცის გაფართოვებებით გადაჭრა მოასწავებს განვითარების შენელებულ ტემპს. ამიტომ ნოემბრის პლენუმმა, როდესაც იგი ითვალისწინებდა მარცვლეული მეურნეობის განვითარების ტემპს, ნათესი სივრცის გაფართოვებასთან ერთად ამოცანად დაუსახა მოსავლიანობის გადიდებაც, რომელიც მიმდინარე წლისათვის საშუალოდ მთელ საბჭოთა კავშირში განისაზღვრა სულ მცირე პროცენტით მაინც.

ახალი კანონის მიხედვით საგადასახადო შეღავათი ეძლევა იმ მეურნეობას, რომელიც განახორციელებს ერთ ან რამოდენიმე უმარტივეს, გლეხობის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ ღონისძიებას მოსავლიანობის გასადიდებლად. კანონი მხედველობაში იღებს იმას, რომ საჭიროა განსაკუთრებული ხელშეწყობა კოლექტივიზაციის პროცესებისათვის და ამიტომ ითვალისწინებს შეღავათის რაოდენობის დიფერენციაციას იმისდა მიხედვით, თუ ვინ ატარებს ამ ღონისძიებას — ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა თუ მთელი საადგილ-მამულო საზოგადოება ეს დიფერენციაცია მიზნად ისახავს აღუძრას გლეხებს ხალისი იმისათვის, რომ საერთოდ ჩაატარონ მინიმალური აგრონომიული ღონისძიებანი და ამით მეტი დახმარება გაუწიონ ღარიბ გლეხობას, რომლისთვისაც უფრო ძნელია ამ ღონისძიებათა დამოუკიდებლად განხორციელება.

თვალსაჩინო სტიმულს ნათესი სივრცის გაფართოვებისათვის და მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ ახალ კანონს სიმტკიცე შეაქვს გლეხობის სამეურნეო ანგარიშში. ამ კანონის მიხედვით მემინდვრეობის, სათიბების მოშენების და მესაქონლეობის შემოსავლიანობის ნორმები არ გადიდდება სამი წლის განმავლობაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გლეხურ მეურნეობათა უმრავლესობის შემოსავლის მთავარ ნაწილს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი და მემინდვრეობისა, სათიბების მოშენებისა და მესაქონლეობისაგან მიღებული შემოსავალი, — სავსებით აშკარა გახდება, რომ გადასახადის ის თანხა, რომელიც შეაქვს ცალკე გლეხურ მეურნეობას, მძიმე არ არის და გლეხურ მეურნეობას ეძლევა სტიმული შემოსავლიანობის შემდგომი, უფრო მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

ჩამოთვლილი შეღავათები, მესაქონლეობისათვის მიცემულ შეღავათებთან და გვალვიან რაიონებისათვის გათვალისწინებულ სპეციალურ შეღავათებთან ერთად, ქმნიან ფართო მკვიდრ ბაზისს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. მაგრამ მაინც მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ სასოფლო - სამეურნეო გადასახადში შეტანილმა ცვლილებებმა, მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, შეიძლება ჯეროვანი შედეგები ვერ გამოიღონ, თუ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და ყოველმა პარტიის წევრმა და კომკავშირელმა არ შეიგნეს მიღებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა, თუ ყველაფერი არ გაკეთდა იმისათვის, რომ ამ გადაწყვეტილებებმა მიაღწიონ ყოველ გლეხის კომლამდე და, რაც მთავარია, — მიაღწიონ დაუყოვნებლივ, ეხლავე, გაზაფხულის თესვის დაწყებამდე.

ახალი კანონის საფუძველზე და მთელ იმ ღონისძიებათა ნიადაგზე, რომლებსაც ვატარებთ გაზაფხულის თესვის კამპანიის მოსამზადებლად, სავსებით შესაძლებელია ფართო გასაქანი მივცეთ მშრომელი გლეხობის ინიციატივას და თვალსაჩინოდ გავაძლიეროთ მათი დაინტერესება თავიანთი მეურნეობის განვითარებით და ამ მეურნეობის გარდაქმნით უფრო მაღალი ტეხნიკისა, კოოპერატიულად შეკავშირებისა და განსაზოგადოების საფუძვლებზე.

ყოველ რაიონში გარკვევით უნდა დაისახოს ახალი კანონის ცხოვრებაში გატარების გზა და კანონით გათვალისწინებულ შეღავათების გამოყენება ადგილობრივ პირობებთან და საჭიროებებთან შეფარდებით. იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომელნიც აადვილებენ მიმდინარე თესვის კამპანიის ამოცანების ცხოვრებაში გატარებას, სავსებით უნდა ჰქონდეთ შეგნებული მუშათა და გლეხთა მასებს და სოფლის საზოგადოებრიობას. მასების მობილიზაციას მიზნად უნდა ჰქონდეს იმ სიძნელეთა გადალახვა, რომლებსაც იწვევს სამეურნეო მდგომარეობა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად, აგრეთვე აპარატის უმოძრაობისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ და თავის დროზე გატარდება პრაქტიკული ახსნა - განმარტებითი მუშაობა, — წარმატებით გადაიჭრება ცეკას ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა.

„პრავდა", 15 თებერვალი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ცაკმა დაამტკიცა ლიტვინოვის ოქმი

გერმანიის რეიხსბანკის თავმჯდომარის მოხსენება ექსპერტთა კომისიაში

გერმანია მოითხოვს სარეპარაციო გადასახადების შემცირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში „დაუესის გეგმა ჩაიშლება უფრო ადრე, ვიდრე ამას მოელიან"

15 მილ. კრონის კრედიტი საბჭოთა კავშირს ნორვეგიაში

ნორვეგიის პარლამენტმა დაადგინა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირისათვის მისაცემი კრედიტები

საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა 9 თებერვლის ოქმი

მოსკოვი, 15 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 9 თებერვლის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირმა, ესტონეთმა, ლატვიამ, პოლონეთმა და რუმინეთმა და, რომელსაც ვადამდე ადრე ძალაში შეჰყავს 1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში ხელმოწერილი კელოგის პაქტი ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის, აკრძალვის შესახებ (ადს).

ექსპერტთა კომისია „მუშაობს"

პარიზი, 14 თებერვალი. გერმანიის რეპარაციების გადამთვალიერებელი ექსპერტების კომისიის მუშაობა უაღრესად საიდუმლო პირობებში სწარმოებს. გაზეთებს მხოლოდ მოკლე ცნობებს აძლევენ იმ საკითხების შესახებ, რომლებსაც კომისიის სხდომებზე არკვევენ. მიუხედავად ამისა, პრესაში მაინც იბეჭდება ისეთი ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ თუმცა **საფრანგეთს არ სურდა გერმანიის გადახდის უნარიანობის საკითხის განხილვა, მაგრამ კომისია დაუყოვნებლივ შეუდგა ამ საკითხის გარჩევას** და მოისმინა გერმანიის რეიხსბანკის თავმჯდომარის შახტისა და გერმანიის სხვა წარმომადგენელთა მოხსენებანი გერმანიის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობების თანახმად, შახტმა განაცხადა: **გერმანია დათანხმდა რეპარაციების გადათვალიერებაზე, ვინაიდან დაუესის გეგმით გათვალისწინებული გადასახადების ხანგრძლივი არსებობა შეუძლებელია და ეს გეგმა შეიძლება უფრო ადრე ჩაიშალოს, ვიდრე ამას მოელიან".** ამ შეხედულების დასადასტურებლად შახტი დაემყარა იმას, რომ გერმანიამ წლიური სარეპარაციო გადასახადის — 2.500.000.000 მარკის გარდა, უნდა გადაიხადოს კიდევ 1.000.000.000 მარკა იმ სესხის პროცენტად, რომელიც მან მიიღო მეურნეობის აღსადგენად. შახტმა აღნიშნა უმუშევრობის ზრდა გერმანიაში და გერმანიის სავაჭრო ბალანსის პასივობა და სთქვა: გერმანიამ რომ დაკისრებული გადასახადები გაიღოს, საჭიროა რამოდენჯერმე გადიდდეს გერმანიის საგარეო ვაჭრობა, ეს კი შეუძლებელია, თუ შემოსატან საქონელზე თვალსაჩინოდ არ შემცირდება საბაჟო გადასახადი იმ ქვეყნებში, რომლებიც გერმანიის კრედიტორები არიან. ამ საბუთების თანახმად შახტი მოითხოვდა მორგანის ყოველწლიური გადასახადის შემცირებას და აღნიშნავდა: არავითარი იურიდიული საბუთი არ არსებობს, რომ გერმანიამ ეს გადასახადები გაიღოს 62 წლის განმავლობაში, მოკავშირეთა შორის ვალების განაღდების ვადის მიხედვით. შახტმა დამსწრეებს აგრძნობინა, რომ გერმანიის თვალსაზრისით სარეპარაციო გადასახადები უნდა შესწყდეს არა უგვიანეს 1961 წლისა, როდესაც დაუესის გეგმით უნდა განაღდდეს სარკინიგზო ობლიგაციები და გერმანიის მრეწველობის საგირავნო ობლიგაციები (ადს).

კრედიტები საბჭოთა კავშირს

ოსლო, 14 თებერვალი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პარლამენტის სავაჭრო კომისიამ ერთხმად მიიღო მთავრობის წინადადება იმ კრედიტების გარანტიის შესახებ, რომლებიც ეძლევა საბჭოთა კავშირს ნორვეგიაში საქონლის შესასყიდათ. **საგარანტიო კრედიტის მაქსიმუმად დანიშნულია 15 მილიონი კრონი.** კომისია პარლამენტს წარუდგენს სათანადო კანონპროექტს. (ადს).

ლიტვინოვის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ

გერმანია-საბჭ. კავშირის ურთიერთობის გარშემო

ბერლინი, 14 თებერვ. ამ ცოტა ხნის წინად მძიმე მრეწველობის ორგანომ „ბრევერგს ცეიტუნგ"-მა მოათავსა წერილი. გაზეთი მოითხოვდა იმ პოლიტიკის უარყოფას, რომელსაც გერმანია ადგა აქამდის საბჭოთა კავშირის მიმართ. ამის საპასუხოდ წერილი მოათავსა გაზეთ „ბერზენ ცეიტუნგ"-მა.

„ბერზენ ცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ გერმანია, რომლის მიზანია არ ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოებს ბრძოლაში, რუსეთის ბაზარზე, ცდილობს აღადგინოს საბჭოთა კავშირთან ისეთი ურთიერთობა, როგორსაც მან მიაღწია ყველა სხვა სახელმწიფოებთან, რომელნიც გერმანიის მიმართ არ არიან ისე მტრულად განწყობილნი, როგორც, მაგალითად, საფრანგეთი.

გაზეთის სიტყვით, დასავლეთ ევროპის **სახელმწიფოების ეხლანდელი დამოკიდებულება გერმანიასთან ბუნებრივად გამოიწვევს „გერმანია-საბჭოთა კავშირის ნორმალურზე უფრო მეტად დაახლოებას".** (ადს).

დამატებითი არჩევნები ნორტუმბერლენდში

ლონდონი, 14 თებერვალი. ვანსბეკის (ნორტუმბერლენდის) ოლქის დეპუტატი თემთა პალატაში — მუშათა პარტიის წევრი **უორნი** გარდაიცვალა. ამის გამო ამ ოლქში მოხდა დამატებითი არჩევნები. **არჩეულ იქნა მუშათა პარტიის კანდიდატი შილდი,** რომელმაც მიიღო **20.398 ხმა. კონსერვატორების კანდიდატმა პენდერმა მიიღო 9.612 ხმა.** (ადს)

მოძრაობა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ

პარიზი, 14 თებერვალი. ბურჟუაზიული ორგანო „ენფორმასიონი" საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ „უკანასკნელი კვირის განმავლობაში ყველა ქვეყნებში გაფართოვდა მოძრაობა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების სასარგებლოდ".

გაზეთი სწერს: „**იმპულსი ამ მოძრაობას მისცა გერმანია - საბჭოთა შეთანხმებამ,** რომელიც გერმანიისათვის სასარგებლო გამოდგა და რომელმაც გააღიზიანა მისი კონკურენტების მადა. გერმანელი მრეწველების და ამერიკელი ფინანსისტების შეთანხმებამ საბჭოთა კავშირში დიდი მასშტაბის ეკონომიური ორგანიზაციის მოწყობის შესახებ გააძლიერა ინგლისის ყურადღება იმ მდგომარეობისადმი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას. მაგრამ გადაწყვეტილება მიიღო არა ინგლისის მთავრობამ, რომელიც საყოველთაო არჩევნების წინ იძულებულია დაიცვას ფრთხილი, დაცდის პოლიტიკა, არამედ ინგლისის საქმიანმა წრეებმა, რომელთა წარმომადგენლებმა უცებ გადასწყვიტეს მიიღონ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საშუალებით გადაცემული წინადადება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნის შესახებ". (ადს)

სპარსული გაზეთები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ

თეირანი, 14 თებერვალი. გაზეთი „შევაგი" წერილში „რუსეთის ვაჭრობა აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან", სხვათა შორის სწერს:

„საბჭოთა ვაჭრობის პროგრესი აშკარავდება იმ გარემოებიდან, რომ 1928 წლის ოქტომბრის განმავლობაში რუსეთის სავაჭრო ბრუნვა აღმოსავლეთის ქვეყნებთან გაიზარდა 8,5 მილიონით 1927 წლის ოქტომბერთან შედარებით. წელს გაიზარდა აგრეთვე საქონლის ბრუნვა სპარსეთთან. ამ წლის ოქტომბერში ეს ბრუნვა 1.600.000 მანეთით მეტია, ვიდრე 1927 წლის ოქტომბერში იყო.

საქონლის ბრუნვის ზრდა გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთის ბაზრები დაინტერესებულნი არიან საბჭოთა კავშირით. დიდი წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირი აღწევს მრეწველობის გაფართოვების, განსაკუთრებით საფეიქრო ფაბრიკების განვითარების დარგში, იმედს გვაძლევს რომ საკავშირო მთავრობა ახლო მომავალში ახალ ზომებს მიიღებს აღმოსავლეთის ვაჭრობის, განსაკუთრებით სპარსეთის ვაჭრობის მისაზიდად და წასაქეზებლად" (ადს).

თეირანი, 14 თებერვალი. გაზეთი „სიტარეს" წერილში „საბჭოთა ექსპორტი და იმპორტი", სწერს:

„საბაჟოს ცნობებით, ექსპორტი და იმპორტი 1928 წელში სპარსეთ-საბჭოთა და აღმოსავლეთ საბჭოთა საზღვრით წარსულ წლის ექსპორტსა და იმპორტს აღემატება 2.707.000 მანეთით.

არსებული ცნობების თანახმად, მატყლი წელს სპარსეთიდან საბჭოთა კავშირში ამ გზით შეტანილ იქნა 21 პროცენტით ნაკლები, ვიდრე წინა წელში. რაც შეეხება ბამბას, ბამბა 57,9 პროცენტით მეტი იყო შეტანილი, ვიდრე წინა წელში, ხოლო გამხმარი ხილი—50,9 პროცენტით მეტი. ასეთივე ზრდა აქვს ადგილი ბრინჯის გატანის მხრივ.

1927—28 წლის განმავლობაში საბჭოთა საქონელი ხორასანის საზღვარით სპარსეთში შეტანილ იქნა 681.300 მანეთით ნაკლები ვიდრე წარსულ წელში. ამასთან ერთად მანუფაქტურის იმპორტი გაიზარდა 322,2 პროცენტით, ხოლო ნავთის პროდუქტების იმპორტი—41,7 პროცენტით" (ადს).

ლიტვინოვის ოქმზე ხელ მოწერის შემდეგ

„ლეტუვოს აიდასი" მოსკოვის ოქმის შესახებ

კოვნო, 14 თებერვალი. ოფიციოზმა „ლეტუვოს აიდასმა" მეთაური წერილი უძღვნა მოსკოვის ოქმზე ხელის მოწერას.

გაზეთი აღნიშნავს ოქმის დიდ მნიშვნელობას აღმოსავლეთ ევროპისათვის და ამბობს: ოქმზე ხელის მოწერა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ომის საფრთხის სრულ აცილებას, ვინაიდან კელოგის პაქტი ამას მთლიანად არ უზრუნველჰყოფს. გაზეთის აზრით, „პოლონეთის მილიარდიანი სამხედრო ბიუჯეტი სრულიად ჩრდილავს კელოგის პაქტს და ლიტვინოვის ოქმს" (ადს).

ლატვიის გლეხთა კავშირის ტაქტიკის მხილება

ვარშავა, 14 თებერვალი. ლატვიის სოციალ-დემოკრატების ორგანომ გამოაქვეყნა მხილება იმ მეთოდების შესახებ, რომელთა საშუალებითაც პოლონეთმა იყიდა ლატვიის მთავრობის თანხმობა პოლონეთთან ერთად მოეწერა ხელი მოსკოვის ოქმზე. ამის გამო პოლონეთის პრესა დუმილით შეხვდა პოლონეთ-ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულების (სარკინიგზო კონვენციის შესახებ) ხელის მოწერას.

პოლონეთის გაზეთებიდან მხოლოდ ბუნდის ორგანომ „ფოლკსცეიტუნგ"-მა გადაბეჭდა რიგის „სოციალ-დემოკრატს"-ის მიერ გამოქვეყნებული მხილება. „ფოლკსცეიტუნგ"-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მონოპოლიის მიცემამ ფირმისათვის, რომელიც დაახლოვებულია ლატვიის ხელისუფლების სათავეში მდგომ გლეხთა კავშირთან, თავისთავად ცხადია, აიძულა გლეხთა კავშირი სასწრაფოდ გადაეთვალიერებია თავისი პოზიცია მთელ რიგ საკითხში (ადს).

გერმანიის მემაღაროების მოთხოვნა

ბერლინი, 14 თებერვ. რელინგჰაუზენში (რურის ოლქი) მემაღაროეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის საერთო კრებაზე ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა მემარცხენეების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს მებრძოლი ტაქტიკის პროგრამას. რეზოლიუცია მოითხოვს გაუქმდეს ამჟამად მომქმედი შეთანხმება სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ (ხელშეკრულების ვადა გადის 30 აპრილს), შემოღებულ იქნეს შვიდი საათის სამუშაო დღე მიწის ქვეშ და გადიდებულ იქნეს სამუშაო ხელფასი ერთი მარკის რაოდენობით დღეში. კრებამ მოიწონა აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნების პროგრამა, წარმოდგენილი მემარცხენე რევოლიუციონურ უმცირესობის მიერ, და დაადგინა წამოყენებულ იქნენ მხოლოდ ისეთი კანდიდატები, **რომელნიც მზად არიან აწარმოონ ბრძოლა სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიული პარტიების კოალიციის წინააღმდეგ.**

მუშათა პარტიის დეპუტატის შეკითხვა

ლონდონი, 14 თებერვალი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის დეპუტატი **ვეჯვუდი** შეეკითხა ჩემბერლენს — შეუძლია თუ არ მას მისცეს პალატას პირობა, რომ ინგლისის მთავრობა მხარს არ დაუჭერს ვატიკანის შუამდგომლობას მისი ერთა ლიგაში მიღების შესახებ, სანამ ის არ გაეცნობა ვაშინგტონის მთავრობის თვალსაზრისს ამ საკითხზე, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ინგლის-ამერიკის ურთიერთობის შესაძლო გართულება.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ის ვერავითარ ვალდებულებას ვერ იკისრებს და, რომ ინგლისის მთავრობა ამერიკის მთავრობასთან შეუთანხმებლად არ შეუწყობს ხელს ვატიკანის შესვლას ერთა ლიგაში (ადს).

ავტონომიური სეიმის დათხოვნა ზემო-სილეზიაში

ვარშავა, 14 თებერვ. პრეზიდენტმა **მოსციცკიმ** ხელი მოაწერა დეკრეტს ზემო-სილეზიის ავტონომიური სეიმის დათხოვნის შესახებ. ფორმალურ საბაბათ დეკრეტისთვის პრეზიდენტმა გამოიყენა სეიმის რწმუნებათა ვადის გასვლა.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობას ზემო-სილეზიის სეიმში არ ჰყავდა უმრავლესობა, რის გამო სეიმს არა ერთხელ ჰქონდა კონფლიქტი ზემო-სილეზიის ვოევოდა გრაჟინსკისთან. ზემო-სილეზიის სეიმის ახალი არჩევნები ჩატარებულ იქნება იმ ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელსაც მთავრობა ახლო მომავალში გამოსცემს. მთავრობამ თავის დროზე არ დაამტკიცა თვით ზემო-სილეზიის სეიმის მიერ მიღებული საარჩევნო კანონი. სეიმის დათხოვნის შემდეგ დააპატიმრეს გერმანელი დეპუტატი ულიტცი. ულიტცს, რომელიც ხელმძღვანელობდა „ფოლკსბუნდის" ორგანიზაციას, ბრალად ედება ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა. სეიმის დათხოვნამ და ულიტცის დაპატიმრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზემო-სილეზიის საზოგადოებრივ წრეებზე (ადს).

ამხ. სკრიპას გარდაცვალება

ვარშავა, 14 თებერვალი. 12 თებერვალს პრაღაში გარდაიცვალა პოლონეთის სეიმის ყოფილი დეპუტატი, კომპარტიის ცნობილი მოღვაწე **სკრიპა.** განსვენებული დიდი პოპულიაროებით სარგებლობდა, როგორც უკრაინელ, ისე პოლონელ მუშებს შორის.

უკანასკნელ არჩევნებში სკრიპა დომბროვის ქვა-ნახშირის რაიონის მუშურ - გლეხურ სიაში იყო წამოყენებული კანდიდატად. როცა სასამართლოს გადასცეს კომუნისტი დეპუტატი **სოხაცკი,** მისი ადგილი სეიმში უნდა დაეჭირა სკრიპას. მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ წაართვა მას მანდატის მიღების შესაძლებლობა. სოხაცკიმ და აგრეთვე გერმანიის რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციებმა პოლონეთის სეიმის კომფრაქციას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც **სამძიმარს უცხადებენ სკრიპას გარდაცვალების გამო.** (ადს)

უკანასკნელი ცნობები

კომფრაქციის მოთხოვნილება უარჰყვეს

ბერლინი, 15 თებერვალი. პრუსიის პროვინციის მერზებურგის ლანდტაგის კომფრაქციამ მოითხოვა, რომ ლანდტაგის სხდომას დასწრებოდნენ უმუშევართა წარმომადგენლები თავის საჭიროებათა განსამტკიცებლად. წინადადება უარყოფილ იქნა. ამან გამოიწვია იმ უმუშევართა დიდი დემონსტრაცია, რომლებიც სტუმრებისათვის მიჩენილ ტრიბუნებზე იმყოფებოდნენ, სოციალ-დემოკრატების დასტურით, მთელ კომფრაქციას აეკრძალა ორ შემდეგ სხდომაზე დასწრება (ადს).

ზემო-სილეზიის სეიმის დათხოვნა.

ბერლინი, 15 თებერვალი. გერმანელთა პოლიტიკური წრეების აზრით, პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა ზემო-სილეზიის სეიმის დათხოვნა იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს დააპატიმროს გერმანელი დეპუტატი ულიტცი. გერმანიის პრესა, ზემო-სილეზიის სეიმის დათხოვნის გამო, ახალ კამპანიას იწყებს პოლონეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ეროვნულ უმცირესობათა საკითხში. იმავე წრეებში აღნიშნავენ, რომ ულიტცის დაპატიმრებას პოლონეთის მთავრობა აუცილებლად გამოიყენებს იმ მიზნით, რომ ჟენევაში გავლენა მოახდინოს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ გამართულ მოლაპარაკებაზე (ადს).

თავდასხმა ვენეცუელას პრეზიდენტზე

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. ბაგოტში თავს დაესხენ ვენეცუელას პრეზიდენტს გომესს. თავდასხმა უშედეგოთ დამთავრდა. ამავე დროს გაზეთები იტყობინებიან, რომ კოლუმბიიდან ვენეცუელაში გადავიდა მეამბოხეთა რაზმი 500 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც მეთაურობს გენერალი არევალო (ადს).

სამხრეთ-სლავიის თეთრგვარდიელების თავშესაფარია

ვენა, 14 თებერვალი. ბელგრადიდან იტყობინებიან: სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ნება დართო, რომ თურქეთიდან სამხრეთ-სლავიაში შევიდეს 400 თეთრი ემიგრანტი. (ადს).

უცხოელთა კონცესიების გადათვალიერება

თეირანი, 14 თებერვალი. მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცა ყველა სამინისტროს ყოველმხრივ განიხილონ და გადაათვალიერონ უცხოელთა კონცესიები სპარსეთში და წარმოადგინონ თავიანთი დასკვნა მათ შესახებ. (ადს).

ფეიქართა გაფიცვის 25 ხელმძღვანელის გასამართლება

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. 15 თებერვალს დაიწყება ნიუ-ბედფორდის ფეიქართა შარშანდელი გაფიცვის 25 ხელმძღვანელის გასამართლება. ყველას ბრალად ედება „შეთქმულებაში" მონაწილეობა. ბრალდებულთა შორის არის სრულიად ამერიკის ანტიიმპერიალისტური ლიგის მდივანი პაული და მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის ამერიკული სექციის მდივანი ბიდენკაპი. რედაქციის ამერიკული სექცია აცხადებს, რომ პროცესის მიზანია ფეიქართა მემარცხენე პროფკავშირის დაშლა (ადს).

ახალი დანიშვნები

თეირანი, 14 თებერვალი. ამიდის სიკვდილის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა სპარსეთის ყოფილი ელჩი ბერლინში **ფერზინი.** ფერზინი უკანასკნელ დრომდე თეირანში იყო. იგი უნდა გამგზავრებულიყო ქაბულში, სადაც დანიშნული იყო სპარსეთის ელჩად, მაგრამ ავღანისტანში მომხდარი ამბების გამო მისი გამგზავრება შეფერხდა.

ტელეფონის ხაზი პარიზი—ვარშავა

პარიზი, 15 თებერვალი. მოქმედება დაიწყო ტელეფონის ხაზმა პარიზსა და ვარშავას შუა; ხაზის სიგრძე უდრის 1.700 კილომეტრს. ლაპარაკი საუცხოვოდ ისმის (ადს).

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

ბაქო, 15 თებერვალი. 13 თებერვალს დაიწყო ნავთის გადაქაჩვა ბაქო-ბათომის ნავთსადენის ახლად დამთავრებულ მთავარ უბანზე. მთავარმა უბანმა ხაშურსა და ბათომს შუა 232 კილომეტრის მანძილზე ბრწყინვალედ ჩააბარა წინასწარი გამოცდა, ხაშურამდე ნავთი ისევ ცისტერნებით ჩაჰქონდათ. მთავარ უბანზე ნავთის გადაქაჩვა იწარმოებს იმ ანგარიშით, რომ ერთი თვის განმავლობაში მძლავრი ნავთის გამომხდელი ქარხნის დამთავრების მომენტისათვის ბათომში გადაქაჩულ იქნას 33.000 ტონა ნავთი.

ნავთსადენის მთავარი უბნის დამთავრებასთან დაკავშირებით, აზნავთმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნა ნავთსადენის მუშებს და ინჟინრებს, აგრეთვე ამხ. რიკოვს, ორჯონიკიძეს, შვარცს და საბჭოთა კავშირის სმუ ხაზებს (ადს).

ავღანისტანის ამბები

მოწოდება კუგისტანელების წინააღმდეგ საბრძოლველად

თერმეზი, 14 თებერვალი. ყანდაღარიდან დაგზავნილი კურიერები დადიან ჩრდილოეთ ავღანისტანის ქალაქებში და ავრცელებენ ამანულას მოწოდებას, რომ ჩრდილოეთი პროვინციების მოსახლეობა დაირაზმოს და ყანდაღარელებთან ერთად იბრძოლოს ავღანისტანის მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის კუგისტანელების წინააღმდეგ, რომლებიც აშკარა ანტინაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ (ადს).

დეზერტირობა ალი ახმედ-ხანის არმიაში

ქაბული, 14 თებერვალი. ჯელალაბადიდან მიღებული ცნობით, **ალი ახმედ-ხანის არმია შინაგან კრიზისს განიცდის.** ზოგიერთი რეგულიარული ნაწილები, რომლებიც შედგენილია კუგისტანელების მიერ დაჭერილი ტერიტორიის მკვიდრთაგან, გაიფანტნენ, (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ინგლისის უდიდესი ფირმის წარმომადგენელის შენფელდის ჩამოსვლა

(შენფელდის საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან)

მოსკოვი, 15 თებერვალი. მოსკოვში ჩამოვიდა შენფელდი—უდიდეს ინგლისურ კომპანიის წარმომადგენელი. კომპანიას, რომლის წარმომადგენელიც არის შენფელდი, ხელმძღვანელობს ცნობილი კაპიტალისტი ურკარტი. შენფელდს დავალებული აქვს აწარმოოს მოლაპარაკება საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ ორგანოებთან დიდი კონცესიის მიღების შესახებ ციმბირში.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში, ევროპის საქმიანი წრეების საბჭოთა კავშირისადმი დამოკიდებულების შესახებ შენფელდმა განაცხადა შემდეგი:

უკანასკნელ ხანებში უცხოეთის ყველა ქვეყნებში დიდად გაცხოველდა ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი. საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებში ამხანად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. დღეს საქმიანი და გონიერი წრეები აღარ უჯერებენ იმ ტენდენციურ და მტრულ ხმებს, რომლებსაც ჯერ-ჯერობით კიდევ ხშირად ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ დაინტერესებული ელემენტები. დასავლეთისა და ამერიკის ქვეყნების ლტოლვა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებისათვის უდაო ფაქტია.

ამას ხელს უწყობს ნაწილობრივ საბჭოთა საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციების შეუჩერებელი განვითარება უკანასკნელი წლების განმავლობაში. საბჭოთა ნავთი სულ ახალსა და ახალ ბაზარს იპყრობს, საქართველოს მარგანეცი წარმატებით იკვლევს გზას ევროპაში და ამერიკაშიც.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამერიკაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ უკანასკნელ ხანებში გადაღებული ნაბიჯი საკონცესიო პოლიტიკის აქტივიზაციის დარგში. ინტერესი კონცესიებისადმი მეტად დიდია.

საქართველოს ფლორიდინის ექსპლოატაციის საკითხი

მოსკოვი, 15 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის კომიტეტში მოსმენილ იქნა მოხსენება ფლორიდინის (თავის საპანი მიწა) ამოღების მექანიზაციის და ჩვენს მრეწველობაში გამოყენების შესახებ. ცნობილია, რომ ფლორიდინის ტალახი, რომელიც აუცილებელია ნავთის, ბამბის და საპონ-ზეთის მრეწველობისათვის, ამჟამად ჩვენ შემოგვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, რაშიაც საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება უცხოეთის ვალიუტით.

დღემდე საბჭოთა კავშირში არსად სწარმოებს ფლორიდინის ტალახის ამოღება. ამავე დროს ქიმიური კომიტეტის სპეციალური კომისიის ცნობით საქართველოში მოიპოვება ფლორიდინის ტალახის უდიდესი მარაგი. ახლო წარსულში მოხდა სოფელ გუმბრიდან (ქუთაისის მაზრა) წაღებულ ფლორიდინის ქიმიური შემოწმება და დადასტურდა, რომ თავის ღირსებით გუმბრის ტალახი ამერიკის ფლორიდინზე გაცილებით მაღლა დგას. მარტო სოფელ გუმბრის რაიონში ფლორიდინის ტალახის მარაგი უდრის სამ მილიონ ტონას და ის საკმარისი იქნება ჩვენი მრეწველობისათვის ასი წლის განმავლობაში.

ამასთან ერთად, კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც მოიპოვება ასეთივე ღირსების ფლორიდინის დიდი მარაგი.

პოლონეთიდან უკვე მიღებულია მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ იქ გაეგზავნოს ორი ვაგონი გუმბრის ფლორიდინი.

ქიმიური კომიტეტი აღნიშნავს, რომ არის სრული შესაძლებლობა არა თუ შევწყვიტოთ ფლორიდინის იმპორტი, არამედ ფართედ დავაყენოთ მისი ექსპორტიც. საკითხი ამ დღეებში გადაწყვეტილ იქნება სათანადო ცენტრალურ სამეურნეო ორგანოებში.

„ახალი არტერია"

მოსკოვი, 15 თებერვალი. გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი თავის წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ახალი არტერია", ეხება ბაქო-ბათომის ახალ ნავთსადენის დასრულებას და აღნიშნავს: ნავთსადენი უკვე გამოცდილ იქნა მთავარ და ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო უბანში ხაშური—ბათომი. გამოცდამ საუკეთესო შედეგი მოგვცა.

ბაქო-ბათომის ნავთსადენი უდიდესი მოვლენაა ნავთის გადაზიდვის საქმის რაციონალიზაციის დარგში. გარდა იმისა, რომ ახლად აგებული ნავთსადენი დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა ნავთის ექსპორტის გაძლიერებას, ის აგრეთვე გაუადვილებს მუშაობას ამიერ-კავკასიის რკინის გზებს.

მოსკოვის „რევოლიუციის თეატრი" მოემგზავრება საგასტროლოდ თბილისში

მოსკოვი, 15 თებერვალი. მიმდინარე წლის 15 მაისიდან მოსკოვის „რევოლიუციის თეატრი" გამოემგზავრება საგასტროლოდ ამიერ-კავკასიაში. ჯერ-ჯერობით გამორკვეულია, რომ თეატრი ეწვევა თბილისს და ბაქოს.

„დროშა" № 3
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ბრძოლა ქაბულისათვის

ავღანისტანის ამბები ერთი შეხედვით წარმოუდგენლად აწეწილ-დაწეწილი გვეჩვენება. ისე როგორც კინოფილმის ლენტზე, აქაც ერთი ეპიზოდი სცვლის მეორეს. ამანულას დროებით გადადგომას მოჰყვა მისი უფროსი ძმის ინაიატულას ერთი დღის მმართველობა. შემდეგ ემირის ტახტზე წამოსკუპდა ბაჩე-საკაო, რომელსაც გაზეთი „ტაიმს"-ი სავსებით სერიოზულად უწოდებს „მის უდიდებულესობას ემირ გაზი ხაბიბულას", სულ ცოტა ხნის წინად ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებულ კუჰისტანელებთან ერთად, რომლებსაც ბაჩე-საკაო ხელმძღვანელობს, ილაშქრებდენ ნამდვილ ავღანელთა ტომები, კერძოდ, შინვარის ტომი, ეხლა შინვარის ტომი შეტევას აწარმოებს ქაბულზე, რომელიც ჯერ კიდევ ბაჩე-საკაოს უჭირავს. ამ ორი ჯგუფის გუშინდელი თანამშრომლობა ომმა შესცვალა და თითქოს მხოლოდ მკაცრმა ყინვებმა და თოვლის ნამქრებმა შეუშალეს ხელი შინვარის ტომს საბოლოო გამარჯვების მოპოვებაში. დასასრულ, უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ გაზნის გზით აღმოსავლეთიდან ქაბულის ხეობისაკენ მოიწევენ ამანულას რეგულიარული ნაწილები. ამანულამ კი დედაქალაქი დროებით გადაიტანა ავღანისტანის ერთ ერთ უდიდეს ცენტრში—ყანდაგარში. თავის დროზე სახელგანთქმულმა ამერიკელმა იუმორისტმა მარკ ტვენმა მისი მეგობრების შეკითხვაზე თუ როდის ასაფლავებენ მას, უპასუხა —ხმები ჩემი სიკვდილის შესახებ რამდენადმე გაზვიადებულიაო. იგივე შეიძლება ითქვას იმ მრავალი გრძნეული ნეკროლოგების შესახებ, რომლებსაც უძღვნის ბურჟუაზიული პრესა, კერძოდ ინგლისური პრესა, ახალი ავღანისტანის დარღვევასა და დაღუპვას, მისი დამოუკიდებლობისა და რეფორმების აღსასრულს. ავღანისტანის მთელი ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მშვიდად დარჩა. გერატის მაზარიშერიფის და ყანდაგარის პროვინციები ხდებიან ამანულას დასაყრდენ პუნქტებად ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. სწორედ ჩრდილოეთ ავღანისტანში თავმოყრილია სახალხო მეურნეობის ძირითადი რესურსები, აქ, გინდუკუშის კალთებზე, მდებარეობენ საუცხოვო საძოვრები, რომლებიც ყოველ წელიწადს ასეულ ათას მომთაბარე ტომებს იზიდავენ ავღანისტანის ყოველი კუთხიდან. მომთაბარენი აქ სწორედ მაშინ მარეკავენ თავიანთ შავ კარვებს, როდესაც გვალვა გადასწვავს სამხრეთ ავღანისტანის ველი მცენარეულობას. გინდუკუშის ჩრდილოეთით სწარმოებს ცხვრის ყოველწლიური კრეჭა და მატყლის დამზადება, რომელიც შეადგენს ექსპორტის ერთ-ერთ უძვირფასეს პროდუქტს. დასასრულ, სწორედ ჩრდილოეთით, გინდუკუშის ქედიდან, რომელიც თითქოს შუაზე ჰყოფს მთელს ავღანისტანს თავისი თოვლიანი მთებით, მდებარეობენ უდიდესი სამიწადმოქმედო ოაზისები ბრინჯის, ბამბის და ხორბლის ნათესებით. ის ოლქები, რომლებიც ამანულას ერთგულნი დარჩნენ და ამჟამად იკრებენ ძალებს ქაბულისათვის საბრძოლველად, შეიცავენ ავღანისტანის მთელი დამუშავებული სივრცის ორმესამედს. ამას განსაკუთრებით უნდა გაეწიოს ანგარიში, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თვით ქაბულში ადგილი აქვს პურის მწვავე ნაკლებობას და ფასების სწრაფ ზრდას. ამბოხება ვერ გასცილდა შედარებით მცირე სივრცეს, ავღანისტანის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილს ინდოეთის საზღვარსა და ქაბულის ხეობას შუა. იმ რაიონის გეოგრაფია, რომელშიაც აჯანყება მოხდა, გვაძლევს მთელ რიგ გამოსავალ წერტილს მოვლენათა შეფასებისათვის. ეს რაიონი ერთი მხრივ წარმოადგენს განცალკავებულ ხეობებს და მთელ რიგ კულტურულ სამიწადმოქმედო ოაზისებს, რომლებიც გაფანტულია მთაგრეხილებს შორის. კუჰისტანელთა მოძრაობა ეყრდნობა გორბენდის, ნიანდშირის და ჩარიკარის ხეობებს და ნაწილობრივ თვით ქაბულის ხეობასაც. ეს რაიონები წარმოადგენენ შედარებით კულტურული მიწადმოქმედების ოლქებს. მიწადმოქმედებამ სულ რაღაც 30—40 ათას ჰექტარის სივრცეზე თავი მოუყარა გლეხობის მჭიდრო მასას, რომელმაც სარწყავი არხების რთული სისტემის გამოყენებით შესძლო განევითარებია არა მარტო მემინდვრეობა, არამედ სამრეწველო მებოსტნეობაც, მებამბეობა და მევენახეობა. სულ რაღაც ნახევარი ჰექტარი მიწა, ჩაგვრა მემამულეს მხრივ და საშინელი საგადასახადო ექსპლოატაცია—ასეთია ავღანელი გლეხის ხვედრი. სწორედ კუჰისტანში დაწყებულმა მოძრაობამ, რომელსაც შეუერთდნენ ბანდიტების ბრბოები და გალატაკებული გლეხობის რაზმები, ზედაპირზე ამოატივტივა ბაჩე-საკაო, მაგრამ ამ გარემოებამ ამ უკანასკნელს სრულიადაც არ შეუშალა ხელი თითქმის მუქთად მიეყიდა თავისი გამარჯვების შედეგები ინგლისის იმპერიალიზმისათვის. უკვე ის გარემოება, რომ გლეხთა მოძრაობა ხდება ტომობრივ საფუძველზე (კუჰისტანელები), რომ ეს მოძრაობა არ აყენებს რაიმე ფართო კლასობრივ ლოზუნგებს და რომ იგი მიმდინარეობს რეაქციონური მოლებისა და ბაჩე-საკაოს ტიპის ბელადების ხელმძღვანელობით, შეუძლებელს ხდის მოძრაობის გადასვლას უმაღლეს საფეხურზე.

რამდენადაც სჩანს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიღებულ ინფორმაციიდან ეს მოძრაობა მიჩნეულ უნდა იქნას იმ გლეხობის გაცალკევებულ ამბოხებად, რომელიც სცდილობს დაუბრუნდეს ნატურალური მეურნეობის დროს, როდესაც საჭირო არ იყო გადასახადების გადახდა, კერძოდ ფულადი გადასახადებისა, რომლებიც პირველად ამანულამ შემოიღო და რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამჯერ გადიდდა. უკანასკნელ წლებში ავღანისტანში მთელი რიგი ასეთი ამბოხება მოხდა, მაგრამ სამიწადმოქმედო ოაზისების განცალკევებული ხასიათის, ნაციონალური შემადგენლობის სიჭრელისა და ამ ქვეყნის ცალკე კუთხეების შორის კავშირის უქონლობის გამო უკანასკნელ დრომდე ეს კუთხეები ერთმანეთთან მხოლოდ ვიწრო ბილიკებით იყვნენ დაკავშირებულნი. ამ ამბოხებებს მთავრობა ადვილად იქრობდა და ისინი მხოლოდ ბანდიტიზმის სახეს იღებდნენ.

მხოლოდ გარეშე მოკავშირეთა დახმარებით შეიძლება, რომ მოძრაობა გასცილდეს ადგილობრივ ჩარჩოებს, შეიძლება გასცილდეს მკვიდრ მიწადმოქმედ მოსახლეთა ცალკე ოაზისს, რომელიც მთაგრეხილებით მოწყვეტილია მეორე ასეთსავე პატარა ოაზისს, ხოლო ამ მეორე ოაზისის გლეხობა სხვა ენაზე ლაპარაკობს, მისდევს საუკუნოებით განმტკიცებულ ჩვეულებებს და მიჰყვება იზმაილიტთა სექტის მოლებს, იმ მუსლიმანურ ხუცებისაგან განსხვავებით, რომელნიც მოკალათებულნი არიან ავღანისტანის ცენტრში და სამხრეთ ნაწილში.

ინგლისის იმპერიალიზმი ერთგული და ნაცადი მოკავშირეა ყოველი ისეთი მოძრაობისა, რომელიც აფერხებს მტკიცე დამოუკიდებელი ავღანისტანის შექმნას დამონებული ინდოეთის შესავალთან. ბაჩე-საკაოს კავშირი ბრიტანეთის საელჩოსთან ქაბულში გამომჟღავნდა არა მარტო გერმანული და ფრანგული ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე, არამედ ავღანისტანის მოსახლეობის ფართო მასების წინაშეც. ინგლისელ სამხედრო ინსტრუქტორების მოწვევამ, საჰაერო ფოსტის მიმოსვლის მოწყობამ ინდოეთთან ინგლისის სამხედრო აეროპლანების საშუალებით, აშკარა მოლაპარაკებამ სუბსიდიების განახლების შესახებ და ინგლისის მთავრობის მიერ გუშინდელი ბანდიტის ნახევრად ცნობამ მაშინ, როდესაც ავღანისტანის სამი მეოთხედი ამანულას ერთგული რჩება—ასეთმა სურათმა სათანადო საერთაშორისო ეფექტი მოახდინა. თემთა პალატაში უკვე გაისმის შეკითხვები იმის შესახებ, თუ „რამდენად გონივრულია ასეთი პოლიტიკა", მზადდება ქაბულიდან ბრიტანეთის ელჩის გამოწვევა, რომელმაც თითქოს თავისი პირადი პასუხისმგებლობით და რისკით გააბა კავშირი ბაჩე-საკაოსთან, მაგრამ ბევრად უფრო დიდი ეფექტი თვით ავღანისტანში მოხდა. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება იმ ტომების, კერძოდ, შინვარის, აჯანყებას, რომელნიც მოძრაობის პირველ სტადიაში კუჰისტანელებთან ერთად გამოდიოდნენ.

ავღანისტანის შვიდი თუ რვა მილიონი მოსახლეობიდან მესამედი ნამდვილი მომთაბარეა. ორ მილიონზე მეტი მომთაბარე ყოველწელიწადს გადასჭრის მთელ ავღანისტანს ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და ეძებს საძოვრებსა და წყალს. სწორედ ავღანელთა ძირითადი ტომები, რომლებსაც უჭირავთ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე, უმთავრესად წარმოადგენენ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობას. მესაქონლეობა უერთდება მიწადმოქმედებას. მესაქონლეობა უერთდება ვაჭრობას. ცალკე ხდება ტომობრივი არისტოკრატიის მაგარი ზედაფენა. მაგრამ ტომი ჯერ კიდევ წარმოადგენს გვაროვნულ ორგანიზაციას სადაც ყველაფერს განაგებს უხუცესთა საბჭო—ჯირგა და სადაც ბელადის სიტყვას აქვს სასამართლოს განაჩენის ძალა. ავღანელების მთავარი მასა მომთაბარეებს წარმოადგენს.

ავღანელები წარმოადგენენ მმართველ ეროვნებას და ამანულას რეფორმებამდე მხოლოდ ავღანელებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ უმაღლეს მოხელეებათ, მხოლოდ ავღანელებს ეჭირათ ოფიცერთა თანამდებობანი არმიაში, მხოლოდ ავღანელებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ მინისტრებად. მომთაბარე და ნახევრად მკვიდრი მოსახლეობა შეიარაღებულია მცირე კალიბრიანი თოფებით და საუცხოვო სამხედრო ძალას წარმოადგენს. ავღანისტანის რეგულიარული არმიას განსაზღვრულ ტომებიდან ჰგროვებდნენ. ეს ტომები იცავდენ საზღვარს ინდოეთთან და ძველი კაზაკების მსგავსად სარგებლობდნენ მრავალი პრივილეგიით, შეღავათითა და თავისუფლებით. მათ ან სულ არ აწერდნენ გადასახადს, ან უმნიშვნელოდ ბეგრავდნენ. მათ ჰქონდათ საკუთარი სასამართლო. მათი შემთხვევითი ნათესები თავისუფალი იყო საადგილ-მამულო გადასახადისაგან. საბარგო ავტომობილის კონკურენცია, რამაც შემოსავლის ნაწილი დაუკარგა იმ ტომებს, რომელნიც აქლემების ტრანსპორტთან იყვნენ დაკავშირებულნი, ლიცენზიების სისტემა, რამაც შემცირა ძველი საქარავნო ვაჭრობა ინდოეთთან, საყოველთაო ბეგარის შემოღება, იმ შეღავათების მოსპობა, რომლებითაც სარგებლობდენ ტომები კაზაკების მსგავსად. სულობრივი გადასახადის შემოღება 1928 წელს 5 რუპიის რაოდენობით წელიწადში, საქონლის გადასახადის სამჯერ გადიდება, ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლა—აი ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ერთმანეთს დააშორა ამანულას პოლიტიკა და ტომების ინტერესები. ტომობრივი მოძრაობის დამახასიათებელ ნიშანს სწორედ ის წარმოადგენს, რომ ხელმძღვანელ ფიგურად გამოდის ხანი-ალი მალიკი, მემკვიდრეობითი ბელადი, რომლის გარშემოც თავს იყრის ტომობრივი არისტოკრატია.

ასეთია იმ ტომობრივი მოძრაობის წინასწარი პირობები, რომელიც პირველ ხანებში განვითარდა კუჰისტანის აჯანყების პარალელურად.

ის გარემოება, რომ ტომები ჩამოშორდნენ მოძრაობას და შინვარის ტომი ბაჩე-საკაოს შეებრძოლა, შეიძლება აიხსნას შემდეგი მომენტებით: ჯერ-ერთი, ბაჩე-საკაოს ანტინაციონალურმა პოლიტიკამ თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ იგი დამოკიდებული იყო ინგლისის ბრძანებაზე, მეორე—ტომობრივ არისტოკრატიას, რომელიც საკმაოდ დაკავშირებულია მემამულეთა მიწადმფლობელობასთან, სრულებითაც არ სურს ქაბულის ტახტზე ხედავდეს ისეთ პიროვნებას, რომელიც, რაც არ უნდა, იყოს, გლეხთა უკმაყოფილებამ ამოატივტივა, მესამე—ამას ემატება ნაციონალური მომენტი, ბაჩე-საკაო ტაჯიკია, როგორ შეუძლია მას მმართველად დაუდგეს ამაყ ავღანელებს, რომელთაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად ტაჯიკები, უზბეკები და ხაზარეველნი უმდაბლეს რასად მიაჩნდათ? და თუ იმ მეტად დიდმა დათმობებმა, რომლებზედაც ამანულა წავიდა, რამდენიმე დღით ადრე ქაბულის დაცემის წინ, და მთელი რიგი რეფორმების გაუქმებამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ბაჩე-საკაოზე და მის დამქაშებზე. სამაგიეროდ ამან საგრძნობლად გაუკაფა გზა კომპრომისის მიღწევას ტომებთან, კერძოდ ტომობრივ არისტოკრატიასთან. ალი ახმედ-ხანი, მეთაური შინვარის ტომისა, რომელიც ამჟამად ქაბულისაკენ მოიწევს, აცხადებს, რომ იგი ამანულას ერთგულია. ძნელია იმის თქმა—ხომ არ შეიცვლება მისი ორიენტაცია, თუ იგი თვით ქაბულში შევიდა, როგორც ძლევამოსილ ტომების მეთაური, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის პოლიტიკა, რომელსაც ბაჩე-საკაომ იმედი ვერ გაუმართლა, შეეცდება მიმართოს ახალ ფანდს, თუნდაც იმ მიზნით, რომ გააღვივოს უთანხმოება და ახალი ლახვარი ჩასცეს ღარიბი ავღანისტანის ფინანსებს, ან შეიძლება მისი დაყოფაც მოამზადოს.

„იზვესტია", 15 თებერვალი.

საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მშრომელთ

აჭარელ და თურქ ქალთა პირველ ყრილობის მიმართვა

1929 წელს, 8 თებერვალს ბათომში შეიკრიბა სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა. ამით გადიდგა პირველი დიდი ნაბიჯი აჭარელ და თურქ-ქალთა ძველ დამამცირებელ ზნე-ჩვეულებებისაგან განთავისუფლების გზაზე.

ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა აჭარელ და თურქ-ქალმა შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით, რადგან ბურჟუაზიულ-ფეოდალურ სახელმწიფოები არამც თუ დაინტერესებული არიან ასეთ მოძრაობით, პირიქით, მათი პოლიტიკა ხელს უწყობს მშრომელი ხალხის და განსაკუთრებით ქალის, სხვადასხვა სახით დამონავებასა და დაჩაგვრას.

ჩვენ, აჭარელ და თურქ-ქალთა წარმომადგენლებმა ვიმსჯელეთ რა სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით მშრომელ ქალთა დამამცირებელ ჩვეულების—ჩადრის ტარების საკითხზე, გადავწყვიტეთ ჩვენის ნებით სამუდამოთ მოვიშოროთ თავიდან მონობის ეს სამარცხვინო ნაშთი და საჯაროდ მივეცით ის ცეცხლს. ამასთან ერთად მოუწოდებთ ყველა დღემდე ჩადრის ქვეშ მყოფ ქალებს, მიბაძონ ჩვენს მაგალითს და სამუდამოთ დაგმონ ადამიანის ღირსების დამამცირებელი ჩვეულება.

ამასთანავე ჩვენ ვაცხადებთ, რომ მარტო ჩადრის ახდით არ განისაზღვრება ბრძოლა უკულტურობის, რელიგიური და ძველ ყოფაცხოვრებითი ყველა იმ ჩვეულებების წინააღმდეგ (მრავალ ცოლიანობა, ქალის ყიდვა-გაყიდვა, მცირეწლოვანთა გათხოვება და სხ.), რომლითაც დღესაც შებოჭილია აღმოსავლეთის მშრომელი ქალი.

ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რათა გამოცემული იქნას კანონი (დეკრეტი) ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ, რათა სასტიკ პასუხისგებაში იქნან მიცემული ჩვენი კლასობრივი მტრები, კულაკები, ხოჯები, მოლები და ყველა ის პირები, რომლებიც რაიმე სახით ხელს შეუშლიან მშრომელი ქალის განმანთავისუფლებელ კანონის ცხოვრებაში გატარებას. ჩვენ მივმართავთ ყველა მშრომელთ, მუშებსა და გლეხებს, რათა ამ დიად ბრძოლაში გაგვიწიონ ყოველგვარი დახმარება, რომ განთავისუფლებულ აჭარელ და თურქ მშრომელ ქალს მიეცეს შესაძლებლობა სხვა მშრომელებთან ერთად მიიღოს აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის დიად სოციალისტურ აღმშენებლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მშრომელ მასების შემოქმედებითი მუშაობას სოციალისტურ აღმშენებლობაში!

გაუმარჯოს აჭარელ და თურქ მშრომელ ქალის თანასწორუფლებიან აქტიურ მონაწილეობას საბჭოთა აღმშენებლობაში და დიად რევოლიუციონურ ბრძოლაში.

სრულიად საქ. აჭარელ და თურქ-ქალთა პირველი ყრილობა.

საქ. მეცნიერები საკავშირო აკადემიის წევრთა არჩევნების შესახებ

ცენტრო - არქივისა და წიგნის პალატის სამეცნიერო მუშაკთა საერთო კრება

14 თებერვალს შესდგა ცენტრო-არქივისა და წიგნის პალატის სამეცნიერო მუშაკთა საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში დასმული იყო მოხსენება საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრთა უკანასკნელი არჩევნების შესახებ.

ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ი. იოსიძე, რომელიც მოკლედ შეჩერდა აკადემიის ძველ წევრთა მიერ საუკეთესო მარქსისტ-კანდიდატების ლუკინის, დებორინის და ფრიჩეს გაშავებაზე, მოუწოდა კრებას გამოეხმაურონ ამ ფაქტს და თავისი ხმა შეუერთონ საბჭოთა კავშირის სხვა მეცნიერ მუშაკთა პროტესტს.

ამხ. ი. გედევანიშვილის წინადადებით ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„საქ. ცენტრო-არქივის და წიგნის პალატის სამეცნიერო მუშაკთა კრებამ განიხილა საკითხი სამეცნიერო აკადემიის ახალი წევრების არჩევის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში რომ: 1. სამეცნიერო აკადემიის წევრთა საზოგადო კრების მიერ არ იქნენ არჩეული სამი ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერ-მუშაკი—დებორინი, ლუკინი და ფრიჩე, რომელთა კანდიდატურა წამოყენებულ იყო მრავალი სამეცნიერო დაწესებულების და ორგანიზაციის მიერ და დადასტურებული თვით ჰუმანიტარულ განყოფილების მხრით; 2. ამხ. დებორინი, ლუკინი და ფრიჩე თვალსაჩინო სამეცნიერო ძალებს წარმოადგენენ მარქსისტულ მეცნიერებაში და მათი მუშაობა აკადემიაში ხელს შეუწყობდა თვით ამ აკადემიის მუშაობის გადახალისებას და მის ჩვენს თანამედროებასთან შეფარდებასა და შეთანხმებას; 3. ამხ. დებორინის, ლუკინის და ფრიჩეს არ არჩევას და ზოგიერთ ძველ აკადემიკოსთა გამოსვლებს არჩევნების დროს პირდაპირ პოლიტიკური დემონსტრაციის ელფერი ადევს, დემონსტრაციის, რომელიც მიმართულია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ,—ცენტრო-არქივის და წიგნის პალატის სამეცნიერო მუშაკთა კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი დაუშვებელი საქციელის წინააღმდეგ და მოითხოვს: აკადემიის და მისი ფილიალების არსებულ შემადგენლობის გადასინჯვას და რეორგანიზაციას, რათა ეს უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება უფრო შეგუებული და შეთანხმებული იქნეს ჩვენს თანამედროებასთან.

საქ. სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო მუშაკთა კრება

იმავე დღეს შესდგა საქართველოს სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო მუშაკთა კრება, რომელმაც სათანადო მოხსენების შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

საქართველოს სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო მუშაკები სასტიკ პროტესტს აცხადებენ აკადემიკოსთა ერთი ნაწილის მიერ ფარული კენჭის ყრის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა თანამედროვე ფილოსოფიური და სახელოვნო-სამეცნიერო აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლების—დებორინის, ფრიჩეს და ლუკინის გაშავება. სამხატვრო აკადემია ამ ფაქტში ხედავს პროტესტს საბჭოთა საზოგადოებრივობის წინააღმდეგ, და საჭიროდ სცნობს ზემოხსენებულ მეცნიერებისათვის ხელახლა კენჭის ყრას და სრულიად საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წესდების ზოგიერთ პუნქტების შეცვლას

პარტიაში

თბილისის პარტკონფერენციისათვის

როგორ მუშაობს კოოპერაცია

მუშკოოპი

თბილისის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუშკოოპის მუშაობას.

მუშკოოპის საპაიო კაპიტალი, რომელიც 1927 წლის ოქტომბრის 1-სათვის 187.770 მანეთს უდრიდა, 1928 წლის დეკემბრის 1-სათვის 460.911 მანეთამდე გაიზარდა.

საშუალო საპაიო შესატანიც, რომელიც 1927 წლის ოქტომბრის პირველისათვის 5 მანეთს და 78 კაპ. უდრიდა, და 1928 წლის დეკემბრის 1-სათვის 10 მან. გახდა.

საანგარიშო ოპერაციებში ჩვენ ვერ მივაღწიეთ მოსალოდნელ შედეგებს. გეგმით გათვალისწინებულ 10.000 მანეთის ნაცვლად, შეგროვილ იქნა მხოლოდ 2.545 მანეთი.

მუშკოოპის წევრთა რიცხვი 1927 წლის ოქტომბრის 1-სათვის 24.052-ს უდრიდა, 1928 წლის დეკემბრის 1-სათვის ეს რიცხვი გაიზარდა—46,014-მდე, ესე იგი 91,3 პროც.

იზრდება აგრეთვე კოოპერატიული აქტივიც, რომელშიაც ირიცხება დაახლოებით — 1.500 კაცი.

აქტივის ორგ. სტრუქტურამ განიცადა ერგვარი ცვლილება; გაუქმებულ იქნა სარაიონო

აქტივის ორგანოების სტრუქტურამ განიცადა ერთგვარი ცვლილება: გაუქმებულ იქნა სარაიონო საბჭ. და მოეწყო რწმუნებ. სექციები—საორგანიზაციო და სავაჭრო-საფინანსო. გარდა სადუქნო კომისიებისა წარმოებებსა და დაწესებულებებში დაარსდა კოოპკომისიები.

კოოპკომისიები ამა წ. ივნისიდან გადავიდნენ კავშირების ცენტრალურ გამგეობათა განკარგულებაში, როგორც კავშირთა კოოპუპრედები, რამაც დადებითი გავლენა იქონია კოოპკომისიების მუშაობის მიმდინარეობაზე.

კავშირის წევრთა (რკ. გზელებს გარდა) კოოპერატიულად შეკავშირების პროცენტი, ქ. თბილისში, 1928 წლის ოქტომბრის 1-სათვის შეადგენს 72,7 პროცენტს, მაშინ, როცა წარსულ წელს იგი 58,9 პროც. უდრიდა.

დირექტივა კავშ. წევრთა კოოპერატიულად შეკავშირების პროცენტის 75 პროცენტამდე აყვანის შესახებ მუშკოოპის მიერ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

უკანასკნელ საანგარიშო საარჩევნო კამპანიას ახასიათებდა კოოპერაციის წევრთა მნიშვნელოვანი აქტიობა.

მიმდინარე წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპაიო შესატანის 10 მანეთიდან 15 მანეთამდე გადიდების შესახებ; ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრგან მუშა-მოსამსახურეთა ფართო კრებებმა გამოიტანა გადაწყვეტილება პაის 15 მანეთამდე აწევის შესახებ, ხოლო მიტინგ-გამოძახების მომენტში კი დაახლოებით 80-მდე მსხვილმა წარმოებამ მოითხოვა პაის 20 მანეთამდე აყვანა. ზოგიერთმა წარმოებამ უკვე სრულად შეიტანა 20 მანეთიანი გადასახადი. ამჟამად სწარმოებს საპაიო კაპიტალის შეგროვება 15 მანეთიანი პაის ანგარიშიდან.

საქონლის გაყიდვის ბრუნვა 1927—28 წლის 11 თვის განმავლობაში (საზოგადოებრივი კვების გარეშე) უდრის 30.579,000 მანეთს (1926—27 წელს კი უდრიდა 19.495.988 მანეთს), ესე იგი გაიზარდა 56,8 პროცენტით. საზოგადოებრივი კვების ბრუნვა გამოიხატა—426,000 მანეთში.

სავაჭრო ქსელიც საგრძნობლად გაფართოვდა: 1927 წლის ოქტომბრის 1-სათვის სავაჭრო ერთეულების რიცხვი 385-ს უდრიდა, 1928 წლის ოქტომბრის 1-სათვის კი—465-ს. ზრდა ხდებოდა, უმთავრესად, პურისა და ხორცბოსტნეულის დუქნების გახსნით.

წვრილი სადუქნო კრედიტის გაცემა 1927—28 წელს გამოიხატა 518.954 მანეთში, 1926—27 წელს კი იგი 251,957 მანეთს უდრიდა.

მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობა წინარი ცნობებით შემდეგნაირია: საკუთარი სახსარი, 1927 წელთან შედარებით 54,7 პროცენტით გაიზარდა, ნასესხები თანხები გადიდდა 41,6 პროცენტით, საბრუნავი თანხა — 49,1 პროც., არა-საბრუნავი—24,5 პროცენტით.

მიუხედავათ საკუთარი საშუალებების ზრდისა ბალანსის ჯამსა და ბრუნვაში, მუშკოოპის ფინანსიური მდგომარეობა მაინც მძიმედ უნდა ჩაითვალოს, რაც ერთის მხრივ, გამოწვეულია მუშკოოპისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების ხშირი შეფერხებით, მეორე მხრივ, საბანკო კრედიტების შემცირებით 1.250,000 მანეთიდან 900,000 მანეთამდე.

მუშკოოპის სავაჭრო ხარჯები 1927—28 წლის განმავლობაში შეადგენს ბრუნვის 10,8 პროცენტს, ხოლო 26—27 წელს იგი 12,16 პროც. უდრიდა. დამოკიდებული ხარჯები — 6,07 პროც. უდრის, დამოუკიდებელი—4,73 პროცენტს.

თათბირი პარტგანათლების საკითხებზე

მოსკოვი, 15 თებერვალი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას აგიტპროპგანყოფილება შეუდგა მზადებას 1929—30 წლის სასწავლო სეზონისათვის, განსაკუთრებით პარტიაში მუშების მიღების გაფართოებასთან დაკავშირებით.

პარტგანათლების საკითხების თავის დროზე დასამუშავებლად 1929—30 წლისათვის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას აგიტპროპგანყოფილება 28 თებერვალს იწვევს თათბირს. თათბირზე მოწვეულია 15 დიდი პარტორგანიზაციის (შუა აზიის ბიუროს, აზერბეიჯანის ცკას, ურალის საოლქო კომიტეტის, ჩრდილო-კავკასიის საოლქო კომიტეტის და სხვ.) აგიტპროპების წარმომადგენლები და ადგილობრივი საპროპაგანდო ჯგუფების 5 ხელმძღვანელი. (ადს).

დ. ა. ლოზოვსკის გამორიცხვა პარტიიდან

მოსკოვი, 15 თებერვალი. ცენტრ. საკონტროლო კომისიამ დაადგინა: გამორიცხოს პარტიიდან დიმიტრი არკადის ძე ლოზოვსკი, რომელიც 1927 წელს სპარსეთში მუშაობდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში, ლოზოვსკი სამუშაოდან მოხსნილია იმის გამო, რომ მას 400 სპარსული თუმნის ვალი დაედო. თეირანიდან წამოსვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ლოზოვსკის ადგილობრივ მცხოვრებთა ვალი გამოუვა. მისი საერთო დავალიანება უდრის 1.600 მანეთს. ლოზოვსკიმ საბჭოთა კავშირში მოსვლის შემდეგ საზღვარგარეთის უჯრედების ბიუროდან პარტიული ბილეთი და სააღრიცხვო ბარათი მიიღო და მიიმალა (ადს).

რა სთქვა ს. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის პრეზიდიუმმა

ოზურგეთის ქაფსალებ ფაბრიკის მდგომარეობის შესახებ

ჩვენი პრესის ფურცლებზე გასულ წელს, გამოქვეყნდა რამდენიმე წერილი ოზურგეთის აბრეშუმის ქაფ-სალები ფაბრიკის შესახებ. წერილებში აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის ფაბრიკაში არ არის ნორმალური მდგომარეობა. კორესპონდენციების სინამდვილის გამოსარკვევად ს. მ. უ. საბჭომ გაგზავნა ადგილზე სპეციალური კომისია, მაგრამ ამ უკანასკნელმა საკმაოდ ვერ შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები.

ა. წ. იანვარში კი გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტ"-ში დაიბეჭდა წერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ოზურგეთის ქაფსალებ ფაბრიკაში გამეფებულია ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი, რომ აქ სდევნიან და ავიწროებენ „ურჩ" მუშებს, ასახლებენ მათ ოზურგეთიდან და სხვ. წერილში აღნიშნული იყო აგრეთვე კომკავშირელ თავაძის თვითმკვლელობის ფაქტი, რომელიც ფაბრიკაში შექმნილ აუტანელ ატმოსფერის შედეგი იყო.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომის. პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელიც მივლინებული იყო ოზურგეთში, დეტალურად გამოიკვლია ფაბრიკის მდგომარეობა და თავისი დასკვნები წარუდგინა ც. ს. კ. პრეზიდიუმს. კომისიამ აღიარა, რომ „ახ. კომუნისტ"-ში მოთავსებული კორესპონდენციის ძირითადი მომენტები სავსებით შეეფერება სინამდვილეს.

ც. საკ. კომისიის პრეზიდიუმმა კომისიის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ პარტიისა და კომკავშირის კოლექტივები და ფაბკომი ვერ აწარმოებდნენ სათანადო მასიურ-აღმზრდელობით მუშაობას მუშებს შორის, რამაც ხელი შეუწყო ინტრიგების შექმნასა და ისეთი ფაქტის შესაძლებლობას, როგორიცაა კომკავშირელის თვითმკვლელობა. მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პრეზიდიუმმა საჭიროდ ჩასთვალა, რომ პარტიისა და ა ლ. კ. კ. კოლექტივებს მიეცეს ჯამაგირიანი მდივნები.

პრეზიდიუმმა დაადასტურა ოზურგეთის სამაზკომის დადგენილება ა. ლ. კ. კ. უჯრედისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ, იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა სათანადოთ არ გაარჩია საქმე და ისე გარიცხა კავშირიდან თავაძე.

ფაბრიკის დირექტორს ამხ. ი. კალანდაძეს გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით. ფაბკომის თავმჯდომარე [illegible] გარიცხულ იქნა პარტიიდან, როგორც არა-კომუნისტური ელემენტი, [illegible] ამხ. მ. შაფაქიძეს გამოეცხადა საყვედური.

პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია მოხსნილ იქნას სამსახურიდან ფაბკომის საქმეთა მმართველი ამხ. შ. სიმონიშვილი და დადასტურებულ იქნას ოზურგეთის სამაზრკომის დადგენილება მისთვის საყვედურის (უკანასკნელი გაფრთხილებით) გამოცხადების შესახებ.

პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროებად სცნო აღდგენილ იქნენ თავიანთ ადგილებზე ს. მ. უ. ს. საბჭოს კომისიის დადგენილებით მოხსნილი მუშები—მუშკორები ამხ. ნ. მეგრელაძე და მირ. კილაძე.

დასასრულ პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ს. მ. უ. ს. კომისია სათანადოთ ვერ მიუდგა საქმეს, მან ვერ გამოიყენა მთელი ძალა და შესაძლებლობანი ნამდვილი მდგომარეობის გამოსარკვევად და თავისი დადგენილებით, მუშკორების ამხ. მეგრელაძისა და კილაძის მოხსნის შესახებ, შეაფერხა თვითკრიტიკის განვითარება ფაბრიკაში. კომისიას შენიშვნა მიეცა აგრეთვე თავის გამოკვლევის შედეგთა არასწორი და არასრული გამოქვეყნებისათვის.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის შედეგები

(ლენ-რაიკომის პლენუმზე)

პლენუმის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის შედეგებზე.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია—ამბობს მომხსენებელი,—ჯერ არ დამთავრებულია, ამიტომ მთლიანი შეჯამება აღნიშნული კამპანიის შედეგებისა არ მოგვიხდენია. მიუხედავად ამისა, დღემდე ჩატარებული მუშაობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების საქმეში მოწმობს, რომ წარსულთან შედარებით წელს გაცილებით დიდი მიღწევები გვაქვს. წარსულ წელს კოლექტიურ ხელშეკრულებათა საკითხები იხილებოდა რამდენიმე წარმოების მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებებზე, რის გამოც თვითეულ მუშას არ ქონდა საშუალება აქტიური მონაწილეობა მიეღო კოლექტიურ ხელშეკრულების განხილვაში. წელს კი ამ საკითხებს ცალ-ცალკე, საამქროებში ვიხილავდით. კოლხელშეკრულების დადების სისტემა წელს გაცილებით გაუმჯობესებულია. მიღწევებთან ერთად კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიაში გვაქვს მრავალი ნაკლიც. იყო შემთხვევა, როდესაც პროფკავშირი და სამეურნეო მუშაკები კოლექტიურ ხელშეკრულების საკითხებს ჯერ თვით იხილავდნენ და შემდეგ ისინი გადაჰქონდათ მუშათა კრებებზე. საჭირო კი იყო პირიქით, კოლხელშეკრულების საკითხები ჯერ უნდა განხილულიყო მუშათა კრებებზე, მოგვესმინა მუშების შეხედულებანი, რითაც შემდეგ პროფკავშირისა და სამეურნეო მუშაკებს უნდა ეხელმძღვანელათ.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხელშეკრულებების დადების დროს კრებებზე მამაკაცები უფრო მეტ მონაწილეობას იღებდნენ, ვიდრე ქალები. აღნიშნულ კრებებზე პარტიისა და კომკავშირის წევრების მონაწილეობა უფრო ნაკლები იყო, ვიდრე უპარტიოებისა. კოლხელშეკრულებათა საკითხების განხილვის დროს სამეურნეო მუშაკები არ ესწრებოდნენ კრებებს, ისინი გზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს. საჭირო იყო მუშათა კრებებზე მოგვესმინა სამეურნეო მუშაკების საანგარიშო მოხსენება. ასეთი მოხსენებები ჩატარდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ამ ანგარიშს ფორმალური ხასიათი ჰქონდა. კოლხელშეკრულებათა გამოცვლის დროს აშკარად სჩანდა, რომ მუშები მოუმზადებელნი იყვნენ ამ კამპანიისათვის, მათში არ იყო ჩატარებული სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

ხელშეკრულების დადების დროს მუშებში ზოგიერთ ჯგუფებში ვამჩნევდით ტროცკისტული ოპოზიციის გავლენას. ტროცკისტები მუშაობდნენ, მაგრამ არა აშკარად.

ადგილ-ადგილ იყო ტენდენცია, რომ ხელფასი მომატებოდათ დიდი ჯამაგირის მქონე მოსამსახურეებს („ზაკსელმაში", „ცეკავშირი", „გრუზგოსტორგი" და სხვ.). პროფკავშირებიც ბევრგან უსაფუძვლო მოთხოვნილებებით გამოდიოდნენ, მაგალითად, მათ მოითხოვეს, რომ თამბაქოს ფაბრიკაში მუშებს მისცემოდა თვენახევრის შვებულება და სხვ. ასევე ითქმის ზოგიერთ კრებების შესახებაც. ბევრს კრებაზე, მაგალითად, მუშები მოითხოვდნენ, რომ სპეცტანსაცმელი მისცემოდა ყველა მუშას, მიუხედავად იმისა, თუ რა სამუშაოს ასრულებს იგი. მაგრამ ამასთანავე მუშები ბევრ სამართლიან მოთხოვნილებასაც აყენებდნენ. ბოლოს უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი: კოლხელშეკრულებათა კამპანიის მსვლელობის შესახებ ცალკე კავშირები არ იძლევიან სწორ ცნობებს, ისინი ხელს აფარებენ ნაკლოვანებებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. რაზმაძემ, კალანდაძემ, არეშიძემ, ლუსკინმა, ანდღულაძემ, ახლაწოვამ, ცაბაძემ და სხვ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. გოდაბრელიძის მოხსენებათა ირგვლივ, რის შემდეგაც პლენუმი დაიხურა.

ორშაბათს, 18 თებერვალს, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყორესის ქუჩაზე)

მოწვეულია

თბილისის მე-9 პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1. თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბილისის კომიტეტის თანამოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მოხსენება.
4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე.
5. სოფლად მუშაობა.
6. პროფკავშირების მუშაობა.
7. არჩევნები.

მანდატების გაცემა სწარმოებს 16 თებერვლიდან, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო-განმანაწილებელ განყოფილებაში დილის 10-დან—8 საათამდე.

რაიონული კონფერენციების დელეგატები მანდატებს ღებულობენ რაიკომების საშუალებით. საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის, ა.-კ. საკონტროლო კომისიის; საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკ-ის, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრები ღებულობენ სათათბირო მანდატებს.

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

საქართველოს ჰიდროსადგურების სეზონური ენერგიის გამოყენების პერსპექტივები

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით ზოგადად დავახასიათოთ საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს მუშაობა ზაჰეს-რიონჰესის ჰიდროსადგურების თავისუფალი ენერგიის გამოყენების საკითხის ირგვლივ და შევეხებით, როგორც ამ საკითხის **ენერგეტიულ მხარეს**, ისე იმ მუშაობის საერთო სქემას, რომელიც უნდა ვაწარმოვოთ საქართველოში **ფერო-მარგანეცისა და ელექტროქიმიური მრეწველობის** შესაქმნელად.

საფუძვლად ვიღებთ ზაჰესის დღეღამის დატვირთვის გრაფიკებს ხუთი წლის განმავლობაში, ზაჰესის თავისუფალი ენერგიის გრაფიკებს 1928-29, 1929-30 და 1930-31 წლებში და ზაჰეს-რიონჰესის სისტემის თავისუფალი (სეზონური) ენერგიის გრაფიკებს 1931-32 წლიდან 1936-37 წლამდე.

აბაშის ჰიდროსადგურს, რომელიც დაკავშირებულია რიონჰესთან 22.000 ვოლტიან ელექტროგადაცემით, ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ: ჯერ ერთი მისი შედარებით უმნიშვნელო სიმძლავრის გამო (2.600 ცხენის ძალა), და მეორე — იმ გარემოების გამო, რომ ეს სადგური უკვე მომავალ წელს სავსებით დაიტვირთება თავისი რაიონის მოთხოვნილებებით.

თავისუფალი ენერგიის განსაზღვრას საფუძვლად დაედო მედიანური (საშუალო) წელი, რომელიც გამოირკვა მრავალწლიანი პერიოდის წყლის ხარჯის მიხედვით. ასეთ საშუალო წელს ზაჰესისათვის წარმოადგენს 1925 წელი, ხოლო ზაჰეს - რიონჰესის სისტემისათვის — 1913-1914 წელი.

ამ წერილში მხედველობაში მიღებულია ყველა დადგმული ტურბინის მუშაობა, რეზერვის დაუტოვებლად. ნავარაუდევია, რომ მარტო ზაჰესი 1931-32 წლამდე იმუშავებს პირველი წყების დაწესებული სიმძლავრით — 12.800 კილოვატით.

თავისუფალი ენერგია განსაზღვრულია შემდეგი რაოდენობით:

1928-29 წელს . . . 60 მილ. კილოვატ.—საათი.
1929-30 წელს . . . 32 მილ.
1930-31 წელს . . . 5,2 მილ.

1931-32 წელს, მშენებლობის დამტკიცებული გეგმის თანახმად, ამუშავდება რიონჰესის პირველი წყება 20.500 კილოვატის სიმძლავრით, რაც ჰიდროსადგურების სისტემის საერთო სიმძლავრეს ადიდებს 33.300 კილოვატ საათამდე.

თავისუფალი ენერგია 1931-32 წლისათვის ნავარაუდევია სულ 47 მილიონ კილოვატ-საათის რაოდენობით.

მაგრამ უკვე 1932-33 წელს მთელი დაწესებული სიმძლავრე დაიფარება დატვირთვის პიკით, რის გამოც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჰიდროსადგურების სისტემის სიმძლავრის გადიდება, ეს ამოცანა უფრო რაციონალურად გადაიჭრება რიონჰესის მეორე წყების დადგმით, ე. ი. მისი სიმძლავრის აყვანით 41.000 კილოვატამდე. ამას შემდეგ მთელი დაწესებული სიმძლავრე იქნება 54 ათასი კილოვატი და თავისუფალი ენერგია 184 მილიონ კილოვატ-საათი.

შემდეგ 1933-34 წელს ნავარაუდევია ზაჰესის მეორე წყების ამუშავება და მისი სიმძლავრის აყვანა 25.600 კილოვატამდე, ხოლო მთელი სისტემის სიმძლავრისა — 66.600 კილოვატამდე.

თავისუფალი (სეზონური) ენერგიის რაოდენობა იქნება შემდეგი:

1933-34 წელს . . . 211 მილ. კილოვატ-საათი.
1934-35 წელს . . . 187 მილ.
1935-36 წელს . . . 164 მილ.
1936-37 წელს . . . 142 მილ.

ამ ენერგიის გამოყენება ნავარაუდევია ორი მიმართულებით: უნდა აგებულ იქნას ფერო-მარგანეცის ქარხანა, რომელიც პირველად წლიურად დაამზადებს 25.000 ტ. და რომელსაც დასჭირდება 100.000.000-მდე კილ.-საათი ენერგია. გარდა ამისა, აგებულ უნდა იქნას სინთეტიური აზოტის ქარხანა, რომელიც პირველად წლიურად დაამზადებს დაახლოვებით 4.500 ტონას და მოიხმარს დაახლოვებით 80.000.000 კილოვატ-საათ ენერგიას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სეზონური ენერგიის რაოდენობას, რომელიც დასჭირდება ზემოთ დასახელებულ საწარმოებს, რომლების ამუშავებაც ნავარაუდევია 1931-32 წელს, დავინახავთ, რომ ჰიდროსადგურების ენერგია სავსებით საკმაოა ამ საწარმოთა საჭიროების დასაფარავად მხოლოდ იმ პირობით, თუ რიონის ჰიდროსადგურზე ერთბაშად დაიდგმება აგრეგატების ორი წყება, ე. ი. 4 აგრეგატი 41.000 კილოვატ-საათის საერთო სიმძლავრით.

ეს რაციონალურია სამეურნეო - სამშენებლო თვალსაზრისითაც, ვინაიდან რიონჰესის გაფართოვება, საჭირო იქნება უკვე მეორე წელს ჰიდროსადგურის ამუშავების შემდეგ.

ამ შემთხვევაში სხვა ქალაქებშიაც უნდა მოხდეს დაჩქარება ერთი წლით, ე. ი. ზაჰესის მეორე წყება უნდა ამუშავდეს არა 1933-34 წელს, არამედ 1932-33 წელს.

თუ შევეხებით ზაჰეს - რიონჰესის სისტემის მიერ მოწოდებული სეზონური ენერგიის ღირებულებას, უნდა გამოვარკვიოთ იმ კაპიტალური ხარჯების რაოდენობა, რაც დამატებითი აგრეგატების დადგმას დასჭირდება. ამასთანავე მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ორივე ჰიდროსადგურის ჰიდროტეხნიკური ნაგებობანი თავიდანვე შესრულებულია სრული სიმძლავრის გათვალისწინებით.

წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვით ამ სამუშაოსათვის დასჭირდება: ზაჰეს — 3.000.000-მდე მანეთი და რიონჰესს—4.000.000-მდე მანეთი, რაც ორივე სადგურის პირველი წყების დაწესებულ სიმძლავრეს გაადიდებს 33.300 კილოვატით; ამ სიმძლავრიდან 28.000 კილოვატი უნდა გადაიდოს ფერო-მარგანეცისა და აზოტის ქარხნებისათვის, რომლებსაც წლიურად დასჭირდება დაახლოვებით 180 მილიონი კილოვატ-საათი.

თუ ვივარაუდებთ, რომ ჰიდროსადგურების სისტემის დამატებითი წლიური ხარჯი, რაც დაკავშირებულია სეზონური ენერგიის მიწოდებასთან (გადაცემაზე გაწეული ხარჯის ჩათვლით), შეადგენს ზემოხსენებული კაპიტალური ხარჯების 12 პროცენტს, ე. ი. 840.000 მანეთს, და თუ ამ ხარჯებს დავაკისრებთ ფერო-მარგანეცისა და აზოტის ქარხნებს მათთვის გადადებული სიმძლავრის პროპორციულად, მივიღებთ სეზონური ენერგიის გასაცემ ფასს — 0,40 კაპეიკს კილოვატ-საათზე.

წარმოების ხასიათის მიხედვით შესაძლებელია დაშვებულ იქნას ტარიფის დიფერენციაცია: **ფერო - მარგანეცისათვის 0,5 კაპ. კილოვატ-საათზე და სინთეტიური აზოტის ქარხნისათვის — 0,3 კაპ. კილოვატ-საათზე.**

თუ საჭირო იქნება ფერო-მარგანეცისა და სინთეტიური აზოტის წარმოების თავიდანვე დიდი მასშტაბით მოწყობა, ან გაფართოვება შემდგომ წლებში, — საქართველოს ს.-ს. რესპუბლიკაში არის მთელი რიგი შესაძლებლობა და დამუშავებული პროექტები დამატებითი ენერგიის მისაღებად. ამისათვის საჭირო იქნება ახალი სადგურების აგება, რომლებიც მოაწესრიგებენ და შეავსებენ ზაჰეს-რიონჰესის სისტემას.

ამიერ - კავკასიის რკინის გზების გამგეობის პროექტის მიხედვით, რომელიც შედგენილია 1925-26 და 1926-27 წლებში, მაღალი წნევის ჰიდროელსადგურს მდ. ტყიბულზე (10 კილომეტრის მანძილზე ზაჰეს-რიონჰესის ხაზიდან, ქუთაისის მაზრა) შეუძლია ყოველწლიურად მოგვცეს 50.000.000 კილოვატ-საათი ენერგია, თუ მას ექნება წყალსაცავი **წლიური მოწესრიგებით.**

ტყიბულის ჰიდროელსადგურის აგებას, ელექტრო-გადაცემისათვის საჭირო ხარჯის ჩათვლით, დასჭირდება არა უმეტეს 10.000.000 მანეთისა.

მცირე საშუალო სიმძლავრის გამო განცალკევებულად მუშაობის დროს ამ სადგურს არ შეიძლება ექნეს რაიონული სამრეწველო მნიშვნელობა, მაგრამ როდესაც ზაჰეს რიონჰესის სისტემას დაემატება წლიური რეზერვი 50.000.000 კილოვატ-საათის რაოდენობით, აღნიშნული სისტემის სიმძლავრის გრაფიკი მეტად ხელსაყრელად გამოსწორდება.

ამიტომ ტყიბულის ჰიდრო-ელსადგურის აგება წარმოადგენს ფრიად მოხერხებულ და იაფ მეთოდს ზაჰეს-რიონჰესის ჰიდრო-სადგურების სისტემის ენერგეტიული მნიშვნელობის გასადიდებლად.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ფერო-მარგანეცისა და აზოტის მრეწველობის საქმე თავიდანვე დიდი მასშტაბით განვითარდა, ამის შესაძლებლობა უზრუნველყოფილი იქნება თოფარავანის ჰიდროსადგურის აგებით. ეს სადგური იქნება ერთ-ერთი უმძლავრესი და ერთ-ერთი უიაფესი მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც დადგმული კილოვატის, ისე ენერგიის თვითღირებულების მიხედვით. ახალქალაქის პლატოს ტბების ჯგუფი შესაძლებელს ხდის აგებულ იქნას წყალსაცავი **მრავალწლიანი მოწესრიგებით და 535 მეტრის წნევის გამოყენებით მიღებულ იქნას მთელი წლისათვის უზრუნველყოფილი სიმძლავრე** არა ნაკლებ 100.000 ცხენის ძალისა, ხოლო სადგურის დანადგართა სიმძლავრე იქნება 200.000 ცხენის ძალამდე, ამ სადგურის შეერთება ზაჰეს-რიონჰესის სისტემასთან არა თუ სავსებით გამოასწორებს ამ სისტემის სიმძლავრის გრაფიკას, არამედ ენერგიის წლიურ მიწოდებასაც გაადიდებს საშუალოდ 600.000.000 კილოვატ-საათით.

დაწვრილებითი გამოკვლევა ამ სადგურის ასაგებად 1927-28 წელს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს დავალებით მოახდინა სახელმწიფო ელექტროტრესტმა; მიმდინარე წელს დამთავრდება საესკიზო პროექტის შედგენა. ხარჯების რაოდენობა, ზაჰეს-რიონჰესის ხაზთან შესაერთებელი ელექტროგადაცემის ღირებულების ჩათვლით, 30-35 მილიონ მანეთს არ გადააჭარბებს.

ვარიანტის სახით შეიძლება დასახელებულ იქნას ხრამის მაღალწნევიანი ჰიდროსადგურიც (თბილისის რაიონში. სოფელ ბარმაქსიზთან), რომლის გამოკვლევაც მოხდება მიმდინარე საბიუჯეტო წელს.

ჰიდრო-სადგურების გარდა ზაჰეს-რიონჰესის სისტემის გრაფიკის გამოსწორება და დამატებითი ენერგიის გამომუშავება დატვირთვის შემდგომი ზრდის დასაკმაყოფილებლად შესაძლებელი იქნება თბოსადგურით, რომელიც იმუშავებს გელათის ან ტყიბულის ქვანახშირით ქუთაისის მაზრაში.

მოკლედ შევეხებით იმას, თუ რა მდგომარეობაშია მუშაობა ფერო-მარგანეცისა და ელექტრო-ქიმიური ქარხნების საკითხის ირგვლივ.

საქართველოში ფერო-მარგანეცის ქარხნის დაარსების საკითხი მუშავდება უკვე 1924-25 წლიდან და დაგროვილია ვრცელი ტეხნიკურ - ეკონომიური მასალა, რომელიც ეყრდნობა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ცნობილ მეცნიერ - მეტალურგების (პროფესორი ასკენაზი, პროფესორი გრიგოროვიჩი და სხვ.) მუშაობას. ეს მეცნიერები იკვლევდნენ საქართველოში ფერო - მარგანეცის ელექტროდნობის საქმის მდგომარეობას.

ამჟამად ჭიათურაში ჰარიმანის კონცესიის გაუქმების შემდეგ, ფერო-მარგანეცის ქარხნის საკითხს უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ეძლევა.

ფერო-მარგანეცის წარმოების ხუთ წლიანი გეგმა, რომელიც საქართველოს ს. მ. უ. საბჭომ 1927-28 წლის დამლევს წარუდგინა საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს, ითვალისწინებს 1929-30 წლიდან 1931-32 წლამდე ფერო-მარგანეცის პირველ ქარხნის აგებას. ამ ქარხანამ წლიურად უნდა გამოიმუშაოს 25.000 ტონა 80 პროცენტიანი საექსპორტო ფერო - მარგანეცი, რისთვისაც უნდა გამოიყენოს ჭიათურის მადანი და ზაჰეს - რიონჰესის სისტემის ჰიდროსადგურების სეზონური ენერგია. ამ წერილში დაწვრილებით არ შევეხებით ამ საკითხს, რომელიც საკმაოდ სრულად არის გაშუქებული ფერო-მარგანეცის წარმოების ზემოხსენებულ ხუთწლიან გეგმასთან დართულ მოხსენებაში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ფერო-მარგანეცის ქარხნის პირველ წყებას წლიურად დასჭირდება 100.000.000-მდე კილოვატ-საათი ენერგია, ხოლო მის აგებას (ჰიდროსადგურზე დამატებითი ტურბო-აგრეგატების დადგმის ხარჯის ჩათვლით) დაახლოვებით 5.500.000 მანეთი.

საქართველოს ს. მ. უ. საბჭო დაეყრდნო ზემოხსენებულ მასალებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს შავი ლითონების მთავარი სამმართველოს და შავი ლითონების სამეცნიერო - ტეხნიკურ საბჭოს 1928 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებებს და ცნობილი სპეციალური ფირმების მონაწილეობით შეუდგა ფერო-მარგანეცის ქარხნის საბოლოო პროექტის შედგენას, პროექტის შედგენის დროს გათვალისწინებულია ამ ქარხნის თვალსაჩინო გაფართოვება მომავალში.

არანაკლებ სერიოზული, როგორც სახალხო სამეურნეო, ისე ეკონომიური, მნიშვნელობა აქვს ხელოვნურ გამანოყიერებელ ნივთიერებათა წარმოების განვითარებას საქართველოში.

შებმული აზოტი, ევროპაში და ამერიკაში ამჟამად მიღებული მეთოდებით, მზადდება ან ელექტროდენის, ან კოქსისა და წყლის გაზების გამოყენებით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში მთელი აზოტის მრეწველობის 80 პროცენტი ეყრდნობა კოქსისა და წყლის გაზების გამოყენებას.

მაგრამ იმ რაიონებში, რომლებშიაც მოიპოვება იაფი ელექტრო-ენერგია, ეს მდგომარეობა იცვლება, ასეთ რაიონებში აზოტის ქარხნები, რომლებიც ელექტროდენით მუშაობენ, წარმატებით უწევენ კონკურენციას იმ ქარხნებს, რომლებიც კოქსის გაზს იყენებენ.

ამის მაგალითს წარმოადგენენ აზოტის ქარხნები საფრანგეთში — პირინეის და ალპების მთებში.

თუ განვიხილავთ საქართველოს და ამიერ-კავკასიის პირობებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენში ხელოვნური აზოტის სასუქის წარმოება ახლო მომავალში საკმაოდ ფართოდ უნდა განვითარდეს, ვინაიდან ჩვენში მოიპოვება წყლის იაფი ენერგიის უდიდესი მარაგი, ვრცელდება ძვირფასი ტეხნიკური და სასოფლო - სამეურნეო კულტურები და არსებობს დიდი მოთხოვნილება ხსენებულ განმანოყიერებელ ნივთიერებებზე. ეხლანდელი მოთხოვნილება შებმულ აზოტზე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით, მარტო საქართველოში უდრის 30.000 ტონას, ხოლო ამიერ კავკასიის ფედერაციაში 100.000 ტონაზე მეტს წლიურად.

პირველ რიგში ნავარაუდევია ისეთი ქარხნების აგება, რომლებიც იმუშავებენ სეზონური ელექტრო-ენერგიით, ვინაიდან ეს ენერგია ჩვენში საკმაო რაოდენობით მოიპოვება და ენერგიის ფასები სავსებით მისაღებია ელექტროქიმიურ ქარხნებისათვის. ხოლო მომავალში, როდესაც აფხაზეთში ამუშავდება ტყვარჩელის მაღაროები და მოეწყობა კოქსის ღუმელები, — შესაძლებელი იქნება ქიმიური სასუქის წარმოების საქმე პარალელურად მოეწყოს კოქსის გაზის გამოყენების მეთოდითაც, რასაც გაადიდებს იაფი ელექტრო-ენერგია, რომელიც საჭიროა ამ უკანასკნელი მეთოდის დროსაც. ამ შემთხვევაში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკა შესძლებს ისეთი მასშტაბით დააყენოს შებმულ აზოტის წარმოება, რომელიც გასცილდება საქართველოს და ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების ფარგლებს.

ამიტომ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის და ამიერ - კავკასიის ფედერაციის პირობებში უნდა შევჩერდეთ აზოტის სასუქის წარმოებაზე პირველ რიგში ჰიდროსადგურების იაფი სეზონური ენერგიის გამოყენებით, ხოლო შემდეგ პარალელურად ტყვარჩელის მაღაროების კოქსის გამოყენებითაც.

იმ ქარხნების უმრავლესობა, რომლებიც უკანასკნელ წლებში შენდება ელექტრო - ენერგიის გამოყენების პრინციპის მიხედვით, სარგებლობს ეგრედწოდებული **სინთეტიური** ხერხით შებმული აზოტის მისაღებად და 1 კილოგრამ აზოტის დამზადებაზე ხარჯავს მხოლოდ 16—18 კილოვატ-საათ ენერგიას.

ამის მაგალითს წარმოადგენენ ის ქარხნები, რომლებიც უკანასკნელ წლებში აგეს ევროპის ქვეყნებში და რომლებიც ემყარებიან იაფი ელექტრო - ენერგიის გამოყენებას. ყველა ეს ქარხანა შედარებით მცირე მასშტაბისაა, ვინაიდან ასეთი წარმოების ძლიერი კონცენტრაცია უარყოფილია მთელი რიგი მიზეზების გამო. როგორც ერთ - ერთ უახლესი, შეგვიძლია აღვნიშნოთ ქარხანა „სულომ"-ი სამხრეთ საფრანგეთში.

შებმული აზოტის გამომუშავების აღნიშნული ხერხის მნიშვნელოვან უპირატესობას კოქსის გაზით დამზადებასთან შედარებით წარმოადგენს სავსებით წმინდა წყალბადის მიღება; წყლის ელექტროლიზით. ხოლო შებმული აზოტის კოქსის გაზით დამზადების დროს წმინდა წყალბადის მიღება დიდ ტეხნიკურ სიძნელეს წარმოადგენს და ეს სიძნელე საერთაშორისო ტეხნიკამ ჯერაც ვერ დასძლია დამაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, კოქსის გაზიდან მიღებული წყალბადის მავნე ნარევებისაგან გასაწმენდად საჭიროა რთული და ძვირი აპარატურის მოწყობა.

ჰაერიდან აზოტის მისაღებად ამჟამად უმთავრესად იყენებენ ჰაერის გათხევადებისა და თანდათანობით გამოხდის ხერხს.

ამ მიზნისათვის ფართოდ გავრცელდა ჟორჟ კლოდის მანქანა. ამ მანქანას და ანალოგიური სისტემის მანქანებს აშკარა უპირატესობა აქვთ ლინდეს სისტემის მანქანასთან შედარებით, რომელსაც ხმარობენ ჰაერის გასათხევადებლად. ამიტომ კლოდის მანქანა გავრცელდა არა მარტო საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის ქარხნებში, არამედ გერმანიაშიაც, ე. ი. თვით ლინდეს მანქანის სამშობლოში.

ამიაკის სინთეზს, რასაც უწინ იყენებდნენ ხაბერის გერმანული მეთოდით, ამჟამად ყველგან უარჰყოფენ, ვინაიდან ის უფრო ძვირია და მოითხოვს დიდ მოწყობილობას.

წარმოების საბოლოო პროდუქტად, ალბათ, უნდა ავირჩიოთ აზოტ - კალციუმის მარილი ანუ ეგრედწოდებული **ნორვეგიის გვარჯილა**; ერთ-ერთი უძვირფასესი გამანოყიერებელი ნივთიერება. ეს პროდუქტი ცოტა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე გოგირდ - ამონიუმის მარილი, რომელსაც ხშირად ამზადებენ აზოტის სინთეზის დროს; მაგრამ ნორვეგიის გვარჯილა ღირსებით ბევრად სჯობია გოგირდ - ამონიუმის მარილს და ამ პროდუქტზე დიდი მოთხოვნილებაა სასოფლო სამეურნეო და ტეხნიკურ კულტურებისათვის. აზოტის ნაჟანგების ეგრედწოდებული „შთანთქმის კოშკებისათვის", შეიძლება გამოყენებულ იქნას ყაზბეგის ლავა, როგორც საუცხოვო ჟანგგამძლე მასალა, რომელიც ცნობილი ვულკანის ლავას არ ჩამოუვარდება. საუკეთესო ხარისხის კირნარი ძალიან ბევრია ქუთაისის მიდამოებში ტყიბულის რკინისგზის გასწვრივ, პირდაპირ ლიანდაგთან და ამ.-კავკ. რკინისგზების სადგურ ხარაგაულის რაიონში.

თუ მხედველობაში მივიღებთ ზაჰეს - რიონჰესის სისტემის თავისუფალი სეზონური ენერგიის იმ რაოდენობას, რომელიც დარჩება ფერო - მარგანეცის ქარხნის საჭიროების დაფარვის შემდეგ, აზოტის სასუქის ქარხნის სიმძლავრე პირველ ხანებში უნდა განისაზღვროს 15 ტონა შებმული აზოტის დამზადებით დღე-ღამეში, ანუ 4.500 ტონით წელიწადში, რასაც წლიურად დასჭირდება დაახლოებით 80 მილიონი კილოვატ - საათი.

საბოლოო პროდუქტის, აგრეთვე საშუალო პროდუქტების (ამიაკის, აზოტის მჟავას) თვითღირებულება წინასწარი ცნობებით არა თუ თითქმის 40 პროცენტით უფრო დაბალი გამოდის, ვიდრე დნეპრის ჰიდროელსადგურის ენერგიით დამზადებულ პროდუქტის ღირებულება, არამედ შესამჩნევად უფრო დაბალიც, ვიდრე დონბასში კოქსის გაზით დამზადებულ პროდუქტის ღირებულება.

ზემონათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ შედარებით მცირე ხარჯებით საქართველოში შეიძლება შეიქნას ორი ისეთი წარმოება, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირის მეურნეობისათვის. ამ წარმოებათა ბაზას წარმოადგენს ჰიდრო - სადგურების იაფი სეზონური ენერგიის გამოყენება. თუ აგებულ იქნა ამ საწარმოთა პირველი წყება, რომელიც ვარაუდის მიხედვით წლიურად მოიხმარს 180 მილიონამდე კილოვატ - საათ ენერგიას, ამით თითქმის მთელი 100 პროცენტით გამოვიყენებთ ზაჰეს - რიონჰესის ჰიდროსადგურების სისტემის სეზონურ ენერგიას. ფერო - მარგანეცისა და აზოტის მრეწველობის საწარმოთა და ელექტროქიმიური მრეწველობის სხვა დარგების შემდგომი განვითარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მთელ რიგ ახალი ძალოვან დანადგართა განხორციელებით, რომლების პროექტებიც უკვე შედგენილია ან შედგენის პროცესშია, ეს დადგმულობანი, შეუერთდება ზაჰეს - რიონჰესის სისტემის ქსელს და თვალსაჩინოდ გაადიდებს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ჰიდრო - სადგურების გაერთიანებული სისტემის დაწესებულ სიმძლავრეს და წლიურად გაცემულ ენერგიას.

ამ ძალოვან დადგმულობათაგან ჩვენ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ თოფარავანის ჰიდროსადგურის აგებას. ამ სადგურის დიდი სიმძლავრე და წლიურად გამომუშავებული ენერგია, ენერგიის მეტად დაბალ ღირებულებასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ითამაშებს საქართველოს და ამიერ - კავკასიის შემდგომი ინდუსტრიალური და კულტურული განვითარების ტემპში.

ინჟინერი ბეს. ჩიჩინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არჩევნები

თბილისში

ვირჩევთ მოწინავე მუშებს

ტრამვაის სახელოსნოს და მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრებამ, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა უმრავლესობა, თბ. საბჭოს დეპუტატებად აირჩია შემდეგი ამხანაგები: ორმოცაძე, სირაძე, ბრიმოვი,, სბორჩიკოვი, ესებაშვილი, კაზაკოვი, კალანდაძე, პანიევი, გიორგობიანი, ალექსანდროვი, ფავლენოვი, მარიამიძე, ცაბაძე, კვეტინი, მარგოშვილი, ნერსესოვი, სტეპანიშვილი, კადაგაშვილი, სვანიძე, მარიამ ორახელაშვილი, ს. ფარნიევი, ელენა დომანიცკაია, გორგელაშვილი, ჯიქია, ნ. პარასტაევი, მაჭავარიანი, ანთაძე, სლატინსკი, ჩიხრაძე, ჯაფაროვი, ფანიაშვილი, ხაჩატუროვი, შეველევი, არუთინოვი და კემულარია.

საბჭოს საქმიანი წევრების არჩევის შემდეგ, კრებამ თბ. საბჭოს საპატიო წევრებად აირჩია: ამხ. სტალინი, რიკოვი; მ. ცხაკაია, ბუხარინი და ს. ორჯონიკიძე.

იეზიდ ქალთა შორის

26 კომუნარის რაიონში, იეზიდების კლუბის დარბაზში, 14 თებერვალს შეიკრიბენ იეზიდი ქალები. ეს არის პირველი შემთხვევა, რომ იეზიდი ქალები ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ.

კრებას 250-დე ქალი ესწრება. წაიკითხეს განაწესი. იეზიდ ქალებს შეაქვთ თავიანთი დამატებანი განაწესში.— მეტი ყურადღება მიექცეს იეზიდ ქალთა შორის კულტურულ მუშაობას, გაიხსნას ჭრა-კერვის სკოლა იეზიდ ქალებისათვის, ჩაბმულ იქნენ იეზიდი ქალები წარმ.-დაწესებულებებში სამუშაოდ და სხვა— ერთხმად აცხადებენ ამომრჩეველი იეზიდი ქალები. განაწესის მიღების შემდეგ საბჭოს წევრებად აირჩიეს ამხ. პარიჯან პარი და შალუმია პტარი.

ჩვენი დეპუტატები

მე-6 ქარხკომში გაერთიანებულმა პურის მცხობელებმა, დიდი აქტიობა გამოიჩინეს საარჩევნო კრების ჩატარების დროს. კრებაზე გამოცხადდა ამრჩეველთა 90 პროც.

პურის მცხობელებმა თავიანთ დეპუტატებათ თბილისის საბჭოში გამოჰყვეს შემდეგი ამხანაგები: ქრისტეფორე კაპიტაძე, თედო გურული, სურენ ბურიევი, ხაჩილ აპიანი და ბეჟანოვი კანდიდატებათ: იაკობ მესხიშვილი, მიკირტიჩ საფარიანი და ხაჩიკ აკოპოვი.

ლენინის რაიონის დიასახლისებში

ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრ და მუშა-ქალების საერთო კრება. კრებას 700-მდე ამომრჩეველი დაესწრო. წაკითხული იქნა თბ. საბჭოსათვის მისაცემი განაწესი, რომელშიც დიასახლისებმა მრავალი დამატებები შეიტანეს.

განაწესის მიღების შემდეგ თბ. საბჭოს წევრებად ერთხმად აირჩიეს ამხ. ტაბიევი, [illegible] და აკოპოვი. კანდიდატად ამხ. გამყრელიძე.

ქართულ მუშფაკში

ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის მსმენელთა და ლექტორთა გაერთიანებული საარჩევნო კრებამ, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 98 პროც. პირველად განიხილა ნაკაზი და შეიტანა მასში შემდეგი დამატებები:

გადიდებული იქნეს მილიციის საგუშაგოები, საგუშაგოების მახლობლად მოწყობილი იქნეს ტელეფონები, მუშფაკის საერთო საცხოვრებელი განთავისუფლებული იქნეს კომუნალური გადასახადებისაგან, მიღებული იქნეს ზომები მუშფაკისათვის ცალკე შენობის გამოსანახავად, მუშების შვილებზე შემცირებული იქნეს სწავლის გადასახადი ფული, ქალაქის აღმასკომმა გაიღოს 80 სტიპენდია ულარიბეს მუშფაკელებისათვის, გახსნილი იქნეს სტუდენტთა ცენტრალური კლუბი, მიღებულ იქნეს ზომები პროსტიტუციის წინააღმდეგ და მათ შორის მიმდინარეობდეს აღმზრდელობითი მუშაობა და სხვ.

დასასრულ თბილისის საბჭოს წევრებად კრებამ ერთხმად აირჩია: შ. მაისურაძე (მუშა), მთვარელიძე დიმიტრი (მუშფაკის დეკანი), გასიანი არსენ (მუშა), ონიაშვილი გიგო (მასწავლებელი), ანდღულაძე ბრიშა (მუშა), ანთიძე სევერიანე (მუშა), გაბიანი გრიგოლ (მუშა), მიქელოვი შაქრო (მუშა) და გაბრიაძე კ. (გლეხი). კანდიდატებად: კვინტრაძე შაქრო, პავლიაშვილი ნატო (მუშა ქალი) და ლალოაშვილი ლადო (გლეხი).

ისიდორე გოგიბერიძე.

ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტების მუშა-მოსამსახურეებმა თავის დეპუტატებათ თბილისის საბჭოში გამოჰყვეს: ამხ. ანასტასია ჩხეიძე და ალექსი ტიგისოვი.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში

კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში საარჩევნო კრებაზე გამოცხადდა ამომრჩეველთა 98 პროც.

კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატებად აირჩია: ალექსი ყამარაული, ანდრო ვაშაკიძე, გიორგი გორგიჯანოვი, ვახტანგ გარბაქაძე და მელენტი გისიაშვილი. კანდიდატებათ: არმენაკ შიოიანი და გიორგი სარქისოვი.

ქიმიკოსებში

26 კომუნარის რაიონის ქიმიკოსებმა თავის დეპუტატებათ თბილისის საბჭოში აირჩიეს ამხ. არტ. გრიგორიანი. მ. მაცუკატოვი, ი. პაპაიანი და ურდული.

„ზაკტპოს“ თანამშრომლებში

ამიერ-კავკ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა საარჩევნო კრებამ თბილისის საბჭოს დეპუტატებათ ერთხმად აირჩია ამხ. აკიმოვი ვლადიმერი და შახნაზაროვი არტაშა.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

სტუდენტთა საარჩევნო დემონსტრაცია

14 თებერვალს, თბილისის სახ. უნივერსიტეტში და ყოფ. სემინარიის შენობაში 4 საათიდან, დაიწყეს თავის მოყრა სტუდენტებმა.

დაახლოებით 5 საათზე, უნივერსიტეტი ეზო ვერ იტევს. საარჩევნო დემონსტრაციაზე მოსულ სტუდენტობას, იწყობიან ფაკულტეტების მიხედვით.

სრულ 6 საათზე, ურიამულით და სიმღერით, ჩირაღდნებით ხელში სტუდენტთა 5000-იანი დემონსტრაცია გაიმართა რუსთაველის პროსპექტით თავისუფლების მოედნისაკენ. თავისუფლების მოედანზე სტუდენტების დემონსტრაციას ესალმებიან ამხ. შ. ბოლქვაძე, ლ. სუხიშვილი, ასრიბეკოვი, პროფ. მაჭავარიანი, ა. ერქომაიშვილი, პროფ. გოგიჩაიშვილი, ლ. სალუქვაძე და სხვ. დემონსტრანტები „ვაშა“-ს ძახილით მფარავდაბრუნდა უნივერსიტეტისაკენ.

თავისუფლების მოედნიდან დემონსტრაცია დაბრუნდა უნივერსიტეტისაკენ.

არჩევნები

დემონსტრაციის შემდეგ, სტუდენტობა გამოეყო სოც. ეკ. ფაკულტეტი და გაემართა საარჩევნო კრებაზე.

დღის წესრიგში სამი საკითხია: თბილისის საბჭოს მუშაობის ანგარიში, ახალ დეპუტატების არჩევა და განაწესის მიცემა თბილისის საბჭოსათვის.

თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ ვრცელი საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. გეგენავა. მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა თბილისის საბჭოს მუშაობა ყველა დარგებში, და განსაკუთრებით შეჩერდა საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ამხ. სალუქვაძე, ბაჯაძე, აბულაძე, მრევლიშვილი და სხვ.

კრებამ საბჭოს მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლათ.

კრებას განსაკუთრებული გაცხოველება დაეტყო არჩევნების დროს. სტუდენტები ტაშით ხვდებიან დასახელებულ კანდიდატებს და ერთხმად თბილისის საბჭოს დეპუტატებათ ირჩევენ შემდეგ ამხანაგებს:

მალაქია ტოროშელიძე, პრო. შალვა ნუცუბიძე, ალ. ერქომაიშვილი, ლავროსე სალუქვაძე, დავით გვაზავა, იროდიონ სურგულაძე, იოსებ ბაჯაძე, თამარ მელიქაძე, თინა ლორთქიფანიძე და ბოლქვაძე. კანდიდატებათ: ლაგიძე, აბუსერიძე და ხოშტარია.

საპატიო წევრებად კრებამ აირჩია ამხ ამხ. სტალინი, ორჯონიკიძე, ლ. ქართველიშვილი, ლუნაჩარსკი და კახიანი.

დასასრულ კრებამ მოისმინა განაწესი და თავისი დამატებებით ერთხმად მიიღო.

არჩევნები ადგილებზე

თბილისის მაზრაში

საგარეჯოს თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

საგარეჯო, 14 თებერვალი. 14 თებერვალს გილაანთ უბნის საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 80 პროც. კრებამ აღფრთოვანებით აირჩია ღარიბ გლეხების მიერ წარმოდგენილი კანდიდატები. მოჯამაგირე ქალის არჩევას საბჭოში გლეხობამ ტაშის ცემით შეხვდა. საბჭოს საპატიო წევრებათ არჩეულია ამხ. ასრიბეკოვი და სტეპანოვი.

ივანე დრეიძე.

გორის მაზრაში

მეჯვრისხევის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

მეჯვრისხევი, 14 თებერვალი. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, მეჯვრისხევში და მახლობელ სოფლებში ჩატარდა მასიური დემონსტრაცია, რომელსაც დაესწრო ათასზე მეტი ქალი და კაცი. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ გლეხები, კოლექტივები, მოწაფეები, ტირიფონის არხის მუშა-მოსამსახურეები და სხვა პროფკავშირების წევრები. დემონსტრაციას წინ მიუძღოდა დროშები, პლაკატები და ლოზუნგები.

საარჩევნო კომისია.

კახეთის მაზრაში

ბოდბისხევის თემი

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

წნორის-წყალი, 15 თებერვალი. ბოდბის-ხევის თემის საარჩევნო კომისია ენერგიულ მუშაობას აწარმოებს საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. 12 თებერვალს მოეწყო საბჭოს საარჩევნო მასიური დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 750-მდე ქალი და კაცი. დემონსტრაციამ ჩამოიარა ყველა საარჩევნო უბნები და გაიმართა სახელდახელო მიტინგი. დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მაზრის პ.-მგებელი და თბილისიდან მომაგრებული ამხანაგები. დემონსტრაციას წინ მიუძღოდა სასულე ორკესტრი.

ნაშუადღევს სამ საათზე დემონსტრაცია გაემართა მეზობელ თემში—ქვემო-მაჩხაანში, სადაც გაიმართა მიტინგი. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ვარამაშვილმა და თბილისის მუშების წარმომადგენლებმა.

13 თებერვალს ბოდბის-ხევში, 6 საარჩევნო უბანში ჩატარდა საბჭოს არჩევნები. ბოდბისხევში ითვლება სულ 2,669 ამომრჩეველი, კრებებს დაესწრო 21312, მათ შორის ქალი—1302. პროცენტულად დასწრება უდრიდა 86. საბჭოში არჩეულ იქნა 51 წევრი და 15 კანდიდატი, მათ შორის კომუნისტი—12, კომკავშირელი—9, უპარტიო—30, ქალები—8, მოჯამაგირე—7, მოსამსახურე—8, ღარიბი—24, საშუალო—11.

თამსაბჭ. პრეზიდ. არჩეულია 5 წევრი და 2 კანდ. საბჭოს საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ კახეთის სამაზრკომის მდივანი ამხ. ვარამაშვილი და სხვა ამხანაგები.

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ვანო დულაშვილი.

იონა ჭოჭუა.

ქუთაისის მაზრაში

არჩევნები უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობს

(ტელეგრაფით, ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 15 თებერვალი. ქალაქი არჩევნებისათვის დაყოფილია 55 უბნად. 18 საწარმოო უბანში არჩევნები უკვე ჩატარდა. 15 თებერვლიდან დაიწყო არჩევნები პროფკავშირთა ხაზით. საწარმოო უბნებში ამომრჩეველთა დასწრება აღწევს 95—100 პროცენტამდე. არჩევნების პროცესში ქალაქი თანდათანობით ღებულობს სადღესასწაულო ელფერს. გამოფენილია წითელი დროშები, პლაკატები, იმართება დემონსტრაციები. 14 თებერვალს დიდი დემონსტრაცია მოაწყო სავაჭრო და საბჭოთა მუშაკების პროფკავშირმა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 2,000 კაცმა. 16 თებერვალს ქალაქში მოხდება გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ყველა მუშა-მოსამსახურე, რომლის მსვლელობას კინო-ქრონიკისათვის გადაიღებს სახკომრეწვის ოპერატორი, რომელიც ამ დღისათვის საგანგებოდ არის ჩამოსული.

დღეიდან იწყება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირების ხაზით გადარჩევები, რომელიც გასტანს სამ დღეს. ყველა გადარჩევებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობს კომკავშირელები, რომელიც აწყობს დემონსტრაციებს, არიგებს საარჩევნო უწყებებს და მოუწოდებს ამომრჩევლებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

ხ. მესხი.

არჩევნები წითელ არმიაში

14 თებერვალს საღამოს 6 საათზე ამიერ-კავკასიის ქვეითა სკოლის კლუბში შესდგა წითელ-არმიელთა კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროც. კრებაზე პირველად წაკითხულ იქნა განაწესი, რომელსაც კრებამ დაუმატა შემდეგი:

გაძლიერებულ იქნეს კონტროლი სახლების მშენებლობის დარგში, მოწესრიგდეს ტელასის მუშაობა, მიექცეს ყურადღება სანიტარულ მდგომარეობას ქალაქის მიდამოებში, გაძლიერდეს წვევამდე მზადების მატერიალური მდგომარეობა, გაუმჯობესდეს საქმით დახმარება მეთაურთა შემადგენლობის ოჯახებზე, მიღებული იქნეს ზომები წითელ მეთაურების ბინებით დასაკმაყოფილებლად და სხვ.

შემდეგ კრებამ თ. საბჭოს დეპუტატებათ აირჩია შემდეგი ამხანაგები: ფაბრიციუსი, ბოგდანოვი პეტრე, მნაცაკანიანი გურგენი, რუხაძე პეტრე, განიევი სალამ და ხრებტენკო ივანე; კანდიდატებათ: შანშიაშვილი დიმიტრი და მირიმანოვი ივანე.

სამხკორი.

1-ლ ქ. მ. ლეგიონში

12 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგა ლეგიონის საერთო კრება წ.-არმიელთა და მეთაურთა ოჯახის წევრებთან ერთად. კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 90 პროცენტი. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ კრება გადავიდა განაწესის მიღებაზე, რომელიც ერთის დამატებით მიღებულ იქნა ერთხმად.

კრება შეუდგა თბილისის საბჭოს დეპუტატთა არჩევას. ლეგიონის პარტორგანიზაციის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს სიას ამომრჩევლები ტაშის ცემით და „ვაშა“-ს ძახილით შეხვდა.

დამატებით წამოყენებულ იქნა ერთი კანდიდატი. პერსონალური კენჭის ყრით თბილისის საბჭოს დეპუტატებად არჩეულ იქნენ ერთხმად შემდეგი ამხანაგები: აქვსინტიევსკი (არ. უფრ.), გიორგი ქვირაია, ივანე ადამიძე, სანდრო ჯიოევი, სამსონ იმნაიშვილი, ევგენი რუსი და ხელაშვილი. კანდიდატებათ: ვლად. შოთაძე და მათე ვაშაკიძე.

დეპუტატების არჩევის შემდეგ კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

ს. იმნაიშვილი.

მე-8 ლეგიონში

(ქუთაისი)

საარჩევნო კრებაზე ნაწილის მთელი შემადგენლობის მიზიდვის მიზნით, ლეგიონი გაიყო ორად, კრებები მოწვეულ იქნა 7 თებერვალს. აღნიშნულ საარჩევნო კრებებზე მთლიანად მონაწილეობა მიიღო ნაწილის შემადგენლობამ, აგრეთვე უფ-შემადგენლობის ოჯახის წევრებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსულთან შედარებით, დიდი აქტივობით შეხვდა ნაწილის შემადგენლობა მიმდინარე საბჭოთა საგადარჩევო კამპანიას.

ქუთაისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გვასალიამ, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა ქუთაისის საბჭოს საქმიანობაზე და აღნიშნა როგორც მიღწევები, ისე დეფექტები საბჭოს მუშაობაში.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა. გამოსული ორატორები სადი კრიტიკით ამჟღავნებდნენ საბჭოს მუშაობის მტკივნეულ მხარეებს და უმთავრესად აღნიშნავდნენ, რომ საბჭოს და სექციების მუშაობაში სისუსტეს იჩენდენ თვით ზოგიერთი საბჭ. წევრები, ცხადია საბჭოს წევრების ძირითადი მასა, სუსტად იყო მიზიდული საბჭოს მუშაობაში და მოითხოვდნენ მომავალში საბჭოებმა და სექციებმა უნდა გამოიჩინონ მეტი სიცოცხლე და მოქნილობა თავიანთ საქმიანობაში.

უფ.-წითელ არმიელთა შემადგენლობაზე დახმარების და იმ შეღავათების გავრცელების საქმეში, რომელიც ენიჭებიან მათ ოჯახებს საბჭოს ვერ აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება

ბინების საკითხი მოუგვარებელია, ამ მხრივ მეთაურთა შემადგენლობა იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში. ქალაქის კეთილ-მოწყობის საქმეში ყურადღება უნდა მიექცეს განაპირა ქუჩებსაც, მაგ: ლეგიონის გარშემო მდებარე ქუჩები ჭაობებათ არის გადაქცეული, აგრეთვე არ არის განათებულიც, წარმოებაში მუყაითობის და ბოროტმოქმედების მოვლენებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

ქუთაისში წყალსადენის გასაყვანად საჭიროა დაკვრითი მუშაობა. კერძო ვაჭრობის ალსაკვეთად მიღებული უნდა იქნას პრაქტიკული ზომები, ახლად აგებული ქარხნებთან და განაპირა ადგილებზე არის სამიკიტნოები, რაიც ხელს უწყობს ლოთობას და გარყვნილებას. სამაგიეროდ გახსნილი უნდა იქნას წითელი სასადილოები, შენელებული უნდა იქნას მაგარი სასმელებით ვაჭრობა და სხვა.

გამოსული ორატორები მოითხოვდნენ მომავალშიაც წარმოებულ იქნას გადამჭრელი ბრძოლა კულაკების და ყველა კლასიური მტრების წინააღმდეგ.

მოხსენების ირგვლივ. მიცემული იქნა აუარებელი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მან აღნიშნა ამხანაგების საქმიანი კრიტიკა და სთქვა: „ჩვენ მიღწევებთან ერთად დეფექტებს ვამჟღავნებთ იმიტომ, რომ იგი მომავალ მუშაობაში უნდა გამოვასწოროთ ძირითადი მშრომელი მასის აქტიური დახმარებით“-ო.

კრებამ საბჭოს განვლილი მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად. წაკითხული იქნა განაწესი ახლად არჩეული დეპუტატებისათვის.

ახალ საბჭოს დეპუტატად არჩეულია 10 წევრი და 5 კანდიდატი, მათ შორის მუშები—7 ღარიბი გლეხი 3, მოჯამაგირე 1, მოსამსახურე —4.

არჩეულ დეპუტატებს შორის 1 ქალია.

კრება ახლად არჩეულ საბჭოს დეპუტატებს უსურვებს დავალების ცხოვრებაში გატარებას და ნაყოფიერ საქმიანობას სოციალისტურ აღ-

დ. კოდუა.

არჩევნები ბორჯომის წარმოებებში

საკასრე ქარხანაში

7 თებერვალს, მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა ბორჯომის საკასრე ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა პირველი ცვლის საარჩევნო კრება, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა 94 პროცენტი, კრება ჩატარდა განსაკუთრებული აქტიობით, საბჭოს წევრებათ არჩეულია 8 დეპუტატი და 2 კანდიდატი: დეპუტატებად არჩეულია: ამხ. მ. გელაშვილი, კ. კაპანაძე, ალ. კრავცოვი, ივ. ცერაძე, კოლ. პაქსაშვილი, ბ. ქარსანაშვილი, ბლიაძე და ივ. შარიქაძე: კანდიდატებათ: ამხ. ალ. სოფრონოვი და ალექსანდრა ბარისენკოვა.

კრებამ განიხილა და მიიღო განაწესი ერთხმად რამოდენიმე დამატებებით.

ვალ. როგავა.

გაზის ქარხანაში

ბორჯომის გაზის ჩამომსხმელ ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა თავის დროზე შეუდგნენ სამზადისს არჩევნებისათვის, საუკეთესოდ მოორთეს „კურზალი“, სადაც უნდა მომხდარიყო არჩევნები, დარბაზში გაკრულია ლოზუნგები. სარედაქციო კოლეგიამ გამოსცა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი.

6 თებერვალს საარჩევნო კრებას დაესწრო მუშა-მოსამსახურეთა 98 პროცენტი. კრება გახსნა ამხ. ებრალიძემ. ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი. შემდეგ წაკითხული იქნა ინსტრუქცია, თუ ვის აქვს ხმის მიცემის უფლება და ვის არა. ხმის უფლების არ მქონე კრებაზე აღმოჩნდა ერთი მოქ. ბაგაევი. წამოყენებული იქნა ამხანაგების მიერ საბჭოს კანდიდატები. საბჭოში კრებამ აირჩია 5 დეპუტატი და 2 კანდიდატი მათ შორის 1 ქალი.

პ. ქარხნელი.

კომუნისტის ქურქში გახვეული კულაკი

(კინჩხის თემი, ქუთ. მაზრა)

კინჩხის თემში, (ხონის რაიონი) სცხოვრობს კომუნისტი ნესტორ კუხალეიშვილი, (პარტიის წევრი 1921 წლიდან), რომელიც პარტიაში შეძვრა არა საერთო საქმისათვის, არამედ თავისი მეურნეობის მოსაწყობად და პირადი კეთილდღეობისათვის. ხსენებული კუხალეიშვილი 1924 წ. მექრთამეობისათვის გადაყენებულ იქნა პარტიიდან და მიცემული პასუხისგებაში, მაგრამ რაღაც მახინაციით ბრალდებიდან თავი დაიძვრინა და პარტიის წევრად აღდგენაც მოახერხა.

კუხალეიშვილს მყავს ოჯახში 10 ძროხა, 4 ცხენი, 4 ხარი და სხვა, სულ 28 სული საქონელი, ასე, რომ ტიპიური კულაკია, როგორც ის, ისე მისი ძმები, ერთად ცხოვრობენ და ეწევიან მევახშეობას.

კომუნისტი კუხალეიშვილი სრულიად გაიხარა კულაკებისაგან და საარჩევნო კრებაზე მათ აშკარა მფარველად გამოვიდა. მან სხვა კულაკებთან ერთად გაილაშქრა კომპარტიის და ღარიბ გლეხობის მიერ წამოყენებულ საბჭოში გასაყვან ზოგიერთ ღარიბ და საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების კანდიდატების წინააღმდეგ, მაგრამ იქვე, კრებაზე გამომჟღავნდა მისი კულაკური მეურნეობა და აგრეთვე მევახშეობაც, რის შემდეგ მისი ასეთი გამოსვლა ჩასთვალეს ანტისაბჭოთა გამოსვლად და მოითხოვეს სასტიკი ზომების მიღება, როგორც მევახშის და კულაკის წინააღმდეგ.

აღნიშნული კუხალეიშვილი ადგილობრივ უჯრედის მიერ გარიცხულ იქნა პარტიის რიგებიდან და დადგენილება გადაეცა სამაზრო პარტკომის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

ს. მ.

გაზაფხულის თესვისათვის

კომკავშირის ლაშქრობა მოსავლის გასადიდებლად

დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და შევუდგეთ მუშაობას იმ კონკრეტული საკითხის ირგვლივ, თუ როგორ უნდა გავადიდოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობების მოსავლიანობა და გავაფართოვოთ მათი ნათესი სივრცე. როგორ გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი (ამხ. სტალინის მიერ ცეკას ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან).

ახლოვდება გაზაფხულის თესვის კამპანია. ამ კამპანიის დროს ცხოვრებაში უნდა გავატაროთ საბჭოთა კავშირის ცეკას უკანასკნელი სესიის მიერ დასახული ღონისძიებანი და საქართველოს კომპარტიისა და საქართველოს სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებანი. რომელნიც მიზნად ისახავენ მოსავლიანობის გადიდებას, ნათესი სივრცის გაფართოვებას, უფრო ხელსაყრელი სანედლეულო კულტურების შემოღებას, გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირების გაძლიერებას იმ ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, რომელნიც უშუალოდ ემსახურებიან სოფლის მეურნეობას და სხ. ამ ღონისძიებათა წარმატებით გატარება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორად, მოხერხებულად და თავის დროზე დასახავენ და გაატარებენ ყველა ჩვენი ორგანიზაციები, კერძოდ კომკავშირის ორგანიზაციები, თავიანთ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან გაზაფხულის თესვის კამპანიასთან. ამ კონკრეტული საქმის ირგვლივ უნდა დაირაზმოს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა.

საქართველოს კომკავშირი უნდა შეუდგეს ამ მორიგი ამოცანის შესრულებას, რომელიც დააკისრა მას პარტიამ და ხელისუფლებამ. მან მუშაობაში უნდა დაიხმაროს აგრონომიული ძალები, რომელნიც თავიანთი ცოდნით კომკავშირელთა მწყობრ რაზმებს ჩააბამენ მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოებულ მუშაობაში.

ამ მნიშვნელოვან მუშაობაში კომკავშირის ორგანიზაციების პირველი ნაბიჯი ის უნდა იყოს, რომ მათ უნდა განუმარტონ ახალგაზრდობის მასებს და ყველა მშრომელთ ის კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან გაზაფხულის თესვის კამპანიასთან. ეს ღონისძიებანი უნდა განიხილონ კომკავშირის საქალაქო, სარაიონო და სათემო ორგანიზაციების ფართო აქტივებმა, შემდეგ ეს საკითხი უნდა განიხილონ ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალგაზრდობის კონფერენციებმა და ყველა სოფლის საერთო კრებებმა.

ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშონ დამოუკიდებელმა მეურნე კომკავშირელებმა და ახალგაზრდა უპარტიო ღარიბმა და საშუალო გლეხებმა, რომლებმაც კონკრეტიულად უნდა დასვან საკითხი სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და კოლმეურნეობების მოწყობის შესახებ. მათ კონკრეტული ღონისძიებები უნდა მიიღონ მოსავლიანობის გასადიდებლად თავიანთ საკუთარ მეურნეობაში და პირადი მაგალითის ჩვენებით უფროსი გლეხებიც უნდა გაიყოლიონ ამ საქმეში.

რა თქმა უნდა, საკმაო არ არის ამ საკითხის განხილვა მხოლოდ ახალგაზრდობის კრებებზე. ამიტომ კომკავშირი უნდა შეეცადოს, რომ სამიწადმოქმედო ორგანოებთან, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებთან, სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან, საცდელ სასოფლო-სამეურნეო სადგურებთან და სხვ. მოეწყოს კონსულტაცია თესვის კამპანიის საკითხებზე. ამ კონსულტაციაში გლეხობას უნდა შეეძლოს ყოველ დროს მიიღოს პასუხი და სათანადო რჩევა-დარიგება სოფლის მეურნეობის ცალკე საკითხებზე.

ამ მუშაობის წარმატებით ჩატარება დამოკიდებული იქნება აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად შევსძლებთ მთელი ჩვენი მუშაობის შეთანხმებას სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ კომკავშირის ორგანიზაციებმა პირველ რიგში მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ ადგილობრივ აგრონომებიდან, უნდა შეეცადონ რაც შეიძლება დაიახლოვონ ისინი ამ მუშაობაში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი აგრონომების რჩევა-დარიგების ცხოვრებაში გატარებას და სათანადო ყურადღებით მოეპყრან მათ. მხოლოდ აგრონომებთან მჭიდროდ დაკავშირებით შესძლებს კომკავშირი სასურველი შედეგების მიღწევას ამ მუშაობაში, მართალია, მრავალი კომკავშირელი, უჯრედი და ორგანიზაცია განიცდის დაბრკოლებას აგრო-ტექნიკური ძალების ნაკლებობის სახით, მაგრამ ასეთ შემთხვევებში აგრონომების გარდა კომკავშირმა მოხერხებულად უნდა გამოიყენოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოწაფეთა შემადგენლობა, ხოლო მათთან ერთად მთელი სოფლის ინტელიგენცია, უმთავრესად მასწავლებლობა, რომელსაც შეუძლია უდიდესი დახმარება გაუწიოს კომკავშირის მუშაობას ამ მიმართულებით. ძირიანად უნდა შეიცვალოს თვით კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის ძველებური ფორმები და მეთოდები, ორგანიზაციებს შორის უნდა გაიმართოს შეჯიბრება და კონკურსები, ადგილებზე უნდა მოეწყოს ახალგაზრდობის ნებაყოფლობითი საინიციატივო ჯგუფები თესვის კამპანიის კონკრეტული საკითხების ირგვლივ მიწის კოლექტიურად დამმუშავებელთა, თესლის გამწმენდთა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამომყენებელთა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მოყვარულთა და ორგანიზატორთა ჯგუფები და სხვ.

კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებით უნდა მიაქციონ ყურადღება, „მსუბუქი კავალერიის“ რაზმების შექმნას და მათ მუშაობას. ეს უმთავრესად ეხება ჩვენი ორგანიზაციის სოფლის უჯრედებს, ვინაიდან სოფლებში ეს რაზმები ჯერ კიდევ არ არიან შექმნილნი. „მსუბუქი კავალერიის“ რაზმებს უდიდესი სამუშაო ასპარეზი ეშლებათ სოფლად იმ დეფექტების გამოსააშკარავებლად, რომლებსაც ადგილი აქვს სამიწადმოქმედო ორგანოებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამქირავებელი და მარცვლის გამწმენდი პუნქტების მუშაობაში, სასოფლო-სამეურნეო სესხების გაცემის საქმეში და სხვ. „მსუბუქმა კავალერიამ“ სოფლად ამ კონკრეტულ საქმეში მუშაობით უნდა დაამტკიცოს თავისი ცხოველმყოფელობა, თავის მუშაობაში იგი უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს. ამ უკანასკნელთ მან ხელი უნდა შეუწყოს იმ ნაკლოვანებების რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრაში, რომლებსაც აუცილებლად ექნება ადგილი გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების დროს.

სამრეწველო და საქალაქო უჯრედებსაც უდიდესი ამოცანა ეკისრებათ ამ საქმეში, ისინი ყურადღებით უნდა მოემზადონ ყველა ამ საკითხის გადასაჭრელად, რომელნიც დაკავშირებული არიან გაზაფხულის თესვის კამპანიასთან და მოსავლიანობის გადიდებისათვის წარმოებულ მუშაობასთან. ამ ხნის განმავლობაში მათ უნდა მოაწყონ და ჩაატარონ ქალაქის კომკავშირელთა კულტურულ-შრომითი ლაშქრობა სოფლად, უნდა დაეხმარონ ღარიბ და ხელმოკლე საშუალო გლეხთა მეურნეობებს, რათა ისინი მომზადებულად შეხვდნენ თესვის კამპანიის დაწყებას. ქალაქის კომკავშირელებმა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა შეაკეთონ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, ისინი აგრეთვე უნდა დაეხმარონ გლეხობას მიწის დამუშავებაში, მოსავლის აკრეფაში და სხვ. ამასთან ერთად მუშა კომკავშირელთა და ქალაქის კომკავშირელთა კადრები უნდა მოვამზადოთ იმისათვის, რომ მათ ამ მუშაობაში პრაქტიკული დახმარება გაუწიონ სოფლის უჯრედებს, რათა მათთან ერთად სოფლის მთელი მშრომელი მასა ჩააბან ლაშქრობაში მოსავლიანობის გადიდებისათვის, ნათესი სივრცის გაფართოვებისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის. ამ მუშაობაში მათ, ცხადია უნდა გაატარონ კლასობრივი პრინციპები—დახმარება უნდა გაუწიონ მხოლოდ ღარიბ და საშუალო გლეხობას.

მეტი შედეგების მისაღწევად საქართველოს კომკავშირის ცეკა საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკას მაგალითის მიხედვით აცხადებს მთელი კომკავშირის ორგანიზაციის მობილიზაციას დასახულ ღონისძიებათა გასატარებლად, აცხადებს კომკავშირის ლაშქრობას მოსავლის გადიდებისათვის. ეს ლაშქრობა გაგრძელდება 15 თებერვ.-დან მოსავლის საზეიმო დღესასწაულამდე. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებმა, როგორც კომკავშირელებმა, ისე მთელ მშრომელ ახალგაზრდობამ უნდა აღუძრან შემოქმედებითი მუშაობის წყურვილი.

მთელს ჩვენს მუშაობაში მიზნად უნდა დავისახოთ მშრომელი ახალგაზრდობის სალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მთელი ჩვენი ღონისძიებანი და კონკრეტიული ნაბიჯები, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, უნდა დავუკავშიროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანას. ეს ძირითადი ამოცანა არ უნდა მივაფუჩეჩოთ მხოლოდ აგრო-ტექნიკური ზომების მიღებით; უნდა გავატაროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, შევქმნათ არტელები, კოლმეურნეობანი და განვამტკიცოთ საბჭოთა მეურნეობანი. მხოლოდ ამ პირობით შევსძლებთ რაციონალურად გამოვიყენოთ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, ხალეჭი მანქანები და სხვ.

ყოველივე ამით მედგარ წინააღმდეგობას გავუწევთ კულაკსა და ექსპლოატატორს. კომკავშირის ლაშქრობამ უნდა შექმნას ახალი კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებანი, უნდა შევსძლოთ, რომ ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს კომკავშირის ყოველმა კომიტეტმა, ყოველმა უჯრედმა, ყოველმა წევრმა; ამ კონკრეტულ საქმეს არავინ არ უნდა აუხვიოს გვერდი. უჯრედებში უნდა გამოიყონ საუკეთესო კომკავშირელები, რაიონებსა და თემებში საუკეთესო უჯრედები, მაზრებში საუკეთესო სარაიონო და სათემო ორგანიზაციები, ხოლო საქართველოს მაშტაბით—საუკეთესო საოლქო კომიტეტი, სარაიონო კომიტეტები და ცალკე სამაზრო ორგანიზაციები, ამ მუშაობაში შემოწმებული იქნება ჩვენი ორგანიზაციების ყველა საფეხურის ბრძოლის უნარი შრომის ფრონტზე. საუკეთესო ორგანიზაციებმა ამ ლაშქრობის დროს უნდა მიიღონ ჯილდოები, რომლებსაც დაარიგებს ცენტრალური კომიტეტი კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

ამასთან ერთად ჩვენს ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს მთელი ორგანიზაციის სახელით შეჯიბრებაში გამოიწვია მეზობელ რესპუბლიკების—აზერბეიჯანისა და სომხეთის—კომკავშირის ორგანიზაციები. ამავე დროს სრულიად საკავშირო კონკურსში ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებთან ერთად საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციებმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. დაუშვებელია იმ ამოცანების განხორციელების დაყოვნება, რომლებიც დაგვისახეს პარტიამ და ხელისუფლებამ ამ საქმეში.

საქართველოს კომკავშირმა უნდა ჩააბაროს გამოცდა, როგორც პარტიის უახლოესმა თანაშემწემ. უნდა შევეცადოთ, რომ საქართველოს პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაეხმარონ კომკავშირს ამ საქმეში, რათა ნამდვილად გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე და შევუდგეთ მუშაობას იმ საკითხების ირგვლივ. რომ გავადიდოთ მოსავლიანობა და განვახორციელოთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანები.

ნ—ი.

თათბირი გაზაფხულის თესვის შესახებ

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება ა.-წ. 20 თებერვლისათვის იწვევს თათბირს საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ. თათბირს დაესწრებიან თბილისის მაზრის რაიონული აგრონომები, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების აგრონომები, თემ-აღმასკომების თავმჯდომარენი, კოლმეურნეობათა წარმომადგენლები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარენი. თათბირი გაიხსნება ა.-წ. 20 თებერვალს, დილის ათ საათზე თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში.

მარცვლეულ კულტურათა კონტრაქტაცია

გაზაფხულის თესვის გეგმის თანახმად. საქართველოში ჩატარებული უნდა იქნეს მარცვლეულ კულტურათა ნათესების კონტრაქტაცია 18.100 ჰექტარზე; აქედან 13.500 ჰექტარი სიმინდი 1.300 ჰექტარი ხორბალი და 3.300 ჰექტარი ქერი.

კონტრაქტაციის ჩატარება მთელ ამიერკავკასიაში დავალებული აქვს „სოიუზხლებ“-ს, რომელიც საქართველოში კონტრაქტაციას ჩაატარებს „სოფლის კავშირი“-ს ქსელის საშუალებით. „სოფლის კავშირისა და „სოიუზხლებ“-ს შორის სათანადო ხელშეკრულება უკვე ჩამოყალიბებულია. ამ ხელშეკრულების თანახმად „სოფლის კავშირმა“ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებთან უნდა ჩამოაყალიბოს 26 თებერვლამდი, ხოლო საკრედიტო ამხანაგობებმა ხელშეკრულებების დადება მთესავებთან უნდა დაამთავრონ 10 მარტისთვის. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები უმთავრესად უნდა დაიდოს კოლექტიურ მეურნეობებთან, ჯგუფურ გაერთიანებებთან, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში ინდივიდუალურ მეურნეობებთანაც.

ვინაიდან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება საკრედიტო ამხანაგობებსა და მთესავებს შორის მოითხოვს გაცილებით მეტ დროს. ვიდრე გათვალისწინებულია „სოიუზხლებთან“ დადებული ხელშეკრულებით, — „სოფლის კავშირმა“ გადასწყვიტა დაჩქარებით ჩამოაყალიბოს ხელშეკრულებები საკრედიტო ამხანაგობებთან, რომ მათ მეტი დრო დარჩეთ მთესავებთან ხელშეკრულებების დასადებად.

ამ მიზნით 17-დან 21 თებერვლამდე მაზრებში ჩატარებული იქნება ყველა საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ სამაზრო აღმასკომის, სამაზრო პარტიული კომიტეტის და თესვის ჩამტარებელი სამაზრო კომისიების წარმომადგენლები. ამ თათბირებზე „სოფლის კავშირი“-ს პასუხისმგებელი თანამშრომლები და ინსტრუქტორები განუმარტავენ დამსწრეთ კონტრაქტაციის მიზნებს, ამოცანებს და ჩატარების წესებს. „სოფლის კავშირს“ ამასთანავე შემუშავებული აქვს საკრედიტო ამხანაგობათა და მთესავებს შორის დასადები ტიპიური ხელშეკრულებები, რომელიც საკრედიტო ამხანაგობებს გადაეცემათ ზემოაღნიშნულ თათბირებზე.

ბორჩალოს მაზრაში საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი ჩატარდება დღეს 16 თებერვალს, ქუთაისის მაზრაში—17 თებერვალს, შორაპნის მაზრაში—18 თებერვალს, ოზურგეთის მაზრაში—17 თებერვალს, ზუგდიდის მაზრაში—17 თებერვალს რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში—18 თებერვალს. სიღნაღის მაზრაში—17 თებერვალს, თბილისის მაზრაში—20 თებერვალს, კახეთის მაზრაში—18 თებერვალს, გორის მაზრაში—18 თებერვალს. ახალციხის მაზრაში—17 თებერვალს და ახალქალაქის მაზრაში 21 თებერვალს.

ამავე თათბირებზე სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს მიეცემათ ინსტრუქციები თესვის კამპანიის და კონტრაქტაციის ჩატარების შესახებ.

თვითეულ მაზრაზე მიმაგრებული არიან „სოფლის კავშირი“-ს და კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორები, რომლებიც თათბირის შემდეგ დარჩებიან მაზრებში და უშუალოდ უხელმძღვანელებენ ჯგუფურ გაერთიანებების ჩამოყალიბებას და კონტრაქტაციის ჩატარებას.

თანხების განაწილება მუშასა-ქონლის შესაძენად

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ მაზრებს შორის განაწილა თანხები მუშა-საქონლის შესაძენად.

განაწილებული თანხებიდან თბილისის მაზრას მიეცა —21.600 მან. კახეთის მაზრისათვის გორჯაანის საკრედიტო ამხანაგობას გადაეგზავნა 35.000 მან., სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებას გადაეგზავნა—სენაკის მაზრისათვის—49.000 მანეთი, ზუგდიდის მაზრისათვის—49.000 მან., რაჭა-ლეჩხუმის მაზრისათვის—13.300 მანეთი და ქუთაისის მაზრისათვის—40.600 მანეთი. გორის მაზრისათვის გადაგზავნილია 26.600 მანეთი. ახალციხის მაზრისათვის გადაგზავნილია 12.950 მან. და ახალქალაქის მაზრისათვის—17.500 მანეთი. აღნიშნული თანხები გადაიგზავნა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებს. ბორჩალოს მაზრისათვის გადადებული 12.950 მანეთი გადაეცა სას.-სამ. ბანკის თბილისის კანტორას.

ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის მუშა-საქონლის შესაძენათ განაწილებულია 75.000 მანეთი. აქედან სამხრეთ-ოსეთში გადაგზავნილია — 26.600 მან., აფხაზეთში — 26.600 და აჭარისტანში—22.400 მანეთი.

სათესლე სიმინდის და საქონლის საკვების დამზადება

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის მიერ ცეკავშირს დავალებული აქვს სათესლე სიმინდის და საქონლის საკვების დამზადება.

კომისიის დავალებით ცეკავშირმა უნდა დაამზადოს სულ 30 ათასი ფუთი სათესლე სიმინდი.

როგორც ცეკავშირის ცნობებიდან სჩანს, ცეკავშირი ხსენებული რაოდენობის სიმინდს ამზადებს კახეთის რაიონში. 23 ათასი ფუთი სიმინდი უკვე დამზადებულია.

დამზადებული სიმინდის მთელი რაოდენობა გადაეცა თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიას, რომელიც მას გლეხთა შორის გაანაწილებს საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

რაც შეეხება საქონლის საკვებს, ცეკავშირის მიერ უკვე დამზადებულია 60 ათასი ფუთი თივა და 40 ათასი ფუთი ბზე.

ამჟამად სწარმოებს დამზადებული საკვების ჩაბარება.

◆ **20.000 ფ. სიმინდი აფხაზეთისათვის.** თესვის კამპანიის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ წინადადება მისცა საქ. სას.-სამეურნეო ბანკს გადაგზავნოს აფხაზეთში 40.000 მანეთი აფხაზეთისათვის გაგზავნილი 20.000 ფუთი სიმინდის სასყიდათ.

ცხენების შეძენა მებამბეობის რაიონებისათვის. სოფლის კავშირს მიეცა 24.000 მანეთი მებამბეობის რაიონებისათვის მუშა-ცხენების შესაძენათ.

◆ **სათბობი მასალა ტრაქტორებისათვის.** საგაზაფხ. თესვის კამპანიის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია ამ დღეებში მაზრებს დაუგზავნის ცნობებს იმის შესახებ, თუ რომელ პუნქტებიდან უნდა მიიღონ მათ სათბობი მასალა ტრაქტორების ასამუშავებლათ.

წითელი არმიის 11 წლის თავისათვის

ამიერ-კ. თავდაცვა-ავიაქიმში

ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ ამიერკავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ყველა საზოგადოებებს დაუგზავნა ცირკულიარი წითელი არმიის 11 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

ცირკულიარი რესპუბლიკანურ ავიაქიმებს ავალებს მჭიდრო კავშირის დაჭერას ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და წითელი ჯარის ნაწილებთან დღესასწაულის წარმატებით ჩასატარებლად.

მთავარი ყურადღება დღესასწაულის ჩატარების დროს უნდა მიექცეს ავიაქიმის სოფლის უჯრედებს და ამ უჯრედების დაახლოება-დაკავშირებას წით. არმ. ნაწილებთან.

ყურადღება უნდა მიექცეს წითელ ყაზარმაში არსებულ ავიაქიმის უჯრედების მუშაობის გაჯანსაღებას და წით. ყაზარმის დათვალიერებას.

დღესასწაული ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული ჟურნალ „ავიაქიმელი“-ს გასავრცელებლად სოფლად და ქალაქად.

წითელი დროშა საჰაერო რაზმს

23 თებერვალს თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო № საჰაერო რაზმს გადასცემს წითელ დროშას.

საჩუქრები წითელ არმიელებისათვის

წითელი არმიის 11 წლის თავის ჩამტარებელმა კომისიამ დაადგინა—წითელი არმიის არსებობის 11 წლის თავზე საჩუქრები გაუგზავნონ მე-66-ე ცხენოსან ლეგიონის წითელ-არმიელებს.

„ქიმიური ნათვლა“

წით. არმ. დღესასწაულის დღეებში თბილისში ჩატარებული იქნება მოქალაქეთა „ქიმიური ნათვლა“.

„ქიმიური ნათვლის“ მოწყობა დავალებული აქვს სპეციალურ კომისიას.

სამხედრო-სასროლო წრეების გადაცემა

24 თებერვალს პროფკავშირებში ავიაქიმის საზოგადოებას გადასცემენ სამხედრო-სასროლო წრეებს, რომლებსაც დღევანდლამდე ხელმძღვანელობენ პროფკავშირები.

ავიაქიმრაზმები აღლუმზე

წით. არმიის აღლუმში, რომელიც შესდგება თბილისში 25 თებერვალს, მონაწილეობას მიიღებენ ავიაქიმრაზმები. თითო რაზმში იქნება 80 კაცი.

დღესასწაულის ჩატარების გეგმა თბილისის გარნიზონში

● 22 თებერვალი—საღამოები მუშათა კლუბებში, მიძღვნილი წით. არ. იუბილესადმი. წით. არმიელები ესტუმრებიან მუშათა კლუბებს და საშეფო ორგანიზაციებს, წითელი არმიის სახლში შესდგება საზეიმო სხდომა.

● 23 თებერვალი—წით. ჯარის ნაწილებში მოეწყობა საღამოები წით. არმიის 11 წლ. და საქართველოს გასაბჭოების 8 წლის თავის აღსანიშნავად. საღამოებს ესწრებიან მუშების დელეგაციები. ეწყობა მუშების ექსკურსიები ყაზარმებში.

● 24 თებერვალი—წითელი არმიის სახლში ეწყობა საღამო მუშებისათვის. გაკეთებულ იქნება მოხსენება მუშურ-გლეხურ წითელი არმიის 11 წლის თავის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართება წარმოდგენა წითელი არმიელების ძალებით.

● 25 თებერვალი—აღლუმი და დემონსტრაცია. მუშათა და წითელ არმიელთა კლუბებში ეწყობა საღამოები საქართველოს გასაბჭოების 8 წლის თავის აღსანიშნავად. წითელი არმიის სახლში ეწყობა ქართული ნაწილების საღამო.

საქ. პროფსაბჭოს მისალმება

გერმანიის წითელ ფრონტელებს

შარშან შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაცია, რომელიც გაეცნო საქართველოს პროფკავშირების მუშაობას. ამას წინად პროფსაბჭომ ამ დელეგაციის წევრებისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ისინი ესალმებიან საქართველოს მუშათა კლასს და მადლობას გამოსთქვამენ იმ თბილი და ამხანაგური შეხვედრისათვის, რომელიც მათ გაუწიეს საქართველოში ყოფნის დროს.

პასუხად ამ წერილისა, გუშინ საქ. პროფსაბჭომ წითელ ფრონტელთა კავშირს დიუსელდორფში გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

მხურვალე სალამს უძღვნით წითელ ფრონტელთა კონფერენციას და მთელ კავშირს. საქართველოს მუშები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს გერმანიის პროლეტარიატის მებრძოლ რაზმის—წითელ ფრონტელთა კავშირის მოღვაწეობას და აღფრთოვანებული არიან შისი მიღწევებით მუშათა კლასის მძლავრ ორგანიზაციაში გაერთიანების საქმეში.

მომავალშიაც განამტკიცეთ და გააძლიერეთ გერმანიის პროლეტარიატის ძალების მტკიცეთ და გაბედულად იარეთ წითელი დროშის ქვეშ და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით! მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი იქონიეთ მთელი მსოფლიოს მშრომელებთან გამარჯვება თქვენი იქნება.

შემნახველ სალაროების ორკვირეულისათვის

ამხ. ბრიუხანოვი ორკვირეულის შესახებ

ამხ. ბრიუხანოვი ორკვირეულის შესახებ. [illegible] მოსკოვი, 15 თებერვალი. შემნახველი სალაროების ორკვირეულის ჩატარების გამო საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. ბრიუხანოვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ძირითადი ამოცანა, რომელიც საკავშირო მთავრობამ დაუსახა შემნახველ სალაროებს, მდგომარეობს იმაში, რომ 1928—29 წელს ანაბარების თანხა გადიდებულ იქნას 200 მილიონი მანეთით. ამ ამოცანის მნიშვნელობას აძლიერებს ის გარემოება, რომ წელს სოფლის ბაზარზე სესხი არ გასაღებულა დიდი რაოდენობით, ხოლო თვითდაბეგვრა მოგვცემს ნაკლებს, ვიდრე შარშან მოგვცა. ამგვარად შემნახველი სალაროების საშუალებით უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის თანხების მობილიზაცია. შემნახველი სალაროების ძირითადი დანიშნულებაა სოციალისტური ინდუსტრიის ტემპის დასაჩქარებლად შეგროვილ იქნას წვრილ-წვრილად დაგროვილი თანხები.

ამ ამოცანას უნდა მიექცეს მშრომელთა ყურადღება. მუშებმა და გლეხებმა უნდა იცოდნენ, რომ შემნახველ სალაროში შეტანილი ყოველი მანეთი, გარდა იმისა, რომ შემოსავალს აძლევს მის პატრონს, ამაგრებს მშრომელთა სახელმწიფოს რესურსებს. ფინსახკომი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა და პრესა უფრო მეტ დახმარებას გაგვიწევენ ამ კამპანიაში, ვიდრე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების დროს გაგვიწიეს. შემნახველი სალაროების აპარატი უძლური იქნება, თუ საბჭოთა საზოგადოებრიობა არ გამოაცოცხლებს მას და შემნახველი სალაროების განვითარებას არ დასახავს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხად. ჩვენ უნდა შევეცადოთ დასახული ამოცანა მთელი 100 პროცენტით შევასრულოთ.“

ამიერ-კავკასიის ცაკის მოწოდება

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკების ყველა მშრომელს, ყველა საბჭოთა ორგანიზაციას.

პირველ მარტიდან მთელ ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში იწყება შემნახველ სალაროების ორკვირეული. საბჭოთა მთავრობის ამ ღონისძიების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო შემნახველ სალაროებში თავი მოუყაროს მშრომელი მოსახლეობის, განსაკუთრებით, გლეხობის უდიდეს თავისუფალ და დაქსაქსულ თანხებს და გამოიყენოს ეს თანხები ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საჭიროებისათვის.

იმ ამოცანების წარმატებით შესრულებას, რომლებიც დასახულია მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, ახალი ტექნიკის საფუძველზე მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა, სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და მუშურ - გლეხური მასების კულტურული დონის ამაღლების დარგში, უწინარეს ყოვლისა, აბრკოლებს ფულადი სახსრების ნაკლებობა.

მუშური სახელმწიფო ყოველ წლიწადს თავისი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ახმარს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალურ მშენებლობას, იგი მთელ თავის ძალღონესა და სახსრებს იკრებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ეს საკმაო არ არის. ჩვენთვის დახშულია ბურჟუაზიისაგან საგარეო სესხის მიღების გზა, ვინაიდან მსოფლიო ბურჟუაზიას ეშინია პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცების.

ხოლო მსოფლიო კაპიტალის მიმართ ეკონომიური დამოკიდებულების გზას ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო ვერასოდეს ვერ დაადგება. ჩვენ საკუთარი ძალებით და შინაური რესურსებით უნდა ვაშენოთ და განვახორციელოთ სოციალიზმი. საბჭოთა კავშირის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მრავალმილიონიან მასებს თავიანთი ინიციატივით და თვითმოქმედებით შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ მთავრობას, რომ განახორციელდეს ერთად - ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს დიადი ისტორიული ამოცანა—სოციალიზმის აშენება. ეს დახმარება მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობამ უნდა ჩააბაროს თავისი დაზოგვილი თანხები სახელმწიფო შემნახველ სალაროებს. შრომის შემნახველმა სალაროებმა ჩვენში, ამიერ - კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, ჯერ კიდევ ვერ გაიდგეს ფესვი მშრომელი მოსახლეობის ყოფა - ცხოვრებაში, მაშინ როდესაც მოსახლეობას აქვს დაზოგვილი თავისუფალი თანხები. შრომის შემნახველი სალაროების ანაბარების რაოდენობა უმნიშვნელოა და არ შეეფერება მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის დაზოგვილი თანხების ნამდვილ რაოდენობას.

მშრომელთა ინტერესებისათვის შექმნილი შრომის შემნახველი სალაროები უაღრესად იცავენ ამ ინტერესებს, სახელმწიფო მთლიანად უზრუნველჰყოფს ანაბარების დაბრუნებას პროცენტებით: იგი თვითეული მონაბარის ინტერესებს იმით იცავს, რომ კანონი ინახავს მისი ანაბრების საიდუმლოებას, საგადასახადო ორგანოები მათ ხელს ვერ ახლებენ. შემნახველი სალაროები ითვალისწინებენ მუშათა და გლეხთა ინტერესებს და ვალდებულებას კისრულობენ მიზნობრივი შენახვისა, აკრედიტივებისა, სახელმწიფო სესხის ოპერაციებისა, დაზღვევისა და სხვა საქმეებში. შემნახველი სალარო მუშასა და გლეხს უადვილებს ანაბრების შეტანის საქმეს და თვითეულ მონაბარეს უქმნის თანხების შენახვის ისეთ ფორმას, როგორიც მას ემარჯვება: წიგნაკები, სერტიფიკატები, ყულაბები, მარკები და სხვ.

ა.-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი მოუწოდებს მუშებს, მუშა - ქალებს, გლეხებს, გლეხ - ქალებს, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა უწყებასა და დაწესებულებას — თავი მოუყარონ მთელ თავის ძალებს, რომ შემნახველი სალაროების საქმე საუკეთესოდ დააყენონ და ხელი შეუწყონ შრომით მონაგარი თანხების მაქსიმალურად შეტანას ა.-კავკასიის სახ. შემნახველ სალაროებში

ა.-კავკასიის მუშებო, მუშა - ქალებო, გლეხებო, გლეხ - ქალებო და ყველა მშრომელო, შეიტანეთ თქვენი შრომით დაზოგვილი თანხები საბჭოთა შემნახველ სალაროებში, გახსოვდეთ: როცა თქვენ საბჭოთა ხელისუფლებას ხელს უწყობთ, რომ მან საბჭოთა სალაროში თავი მოუყაროს მშრომელთა დაქსაქსულ თანხებს, ამით ფაქტიურად უმსუბუქებთ სამეურნეო სიძნელეებთან ბრძოლას, უადვილებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, რითაც სასიკვდილო ლახვარს სცემთ ქვეყნის წარსული ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის წყეულ მემკვიდრეობას.

წინ საბჭოთა შემნახველი სალაროების გასაძლიერებლად.

გაუმარჯოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივიზაციას, სოციალიზმს.

გაუმარჯოს კულტურულ რევოლიუციას.

ა.-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ა.-კავკასიის ცაკის მდივანი — ს. იაკუბოვი.

ა.-კ. შემნახველი სალაროს მუშაობა

შემნახველი სალაროების მონაწილეობა სესხების რეალიზაციაში

ამიერ-კავკ. შემნახველი სალაროების ოპერაციებში, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის მხრივ,—პირველი ადგილი უჭირავს ანაბარების ოპერაციებს. დანარჩენი საბანკო ოპერაციები შემნახველ სალაროებში ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის განვითარებული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სესხის რეალიზაციის საქმეში შემნახველი სალაროების ხვედრითი წონა საგრძნობლად იზრდება. 1925 წლის საგლეხო სესხი ამიერ-კავკ. გასაღებული იქნა 248.325 მან. რაოდენობით; აქედან შემნახველ სალაროების მიერ გასაღებულია 1.360 მან. ობლიგაციები (რაც შეადგენს—0,6 პროც.), 1926 წლის საგლეხო სესხი გასაღებული იქნა 289.550 მან. რაოდენობით; აქედან—28.000 მან. (9,7 პროც.) გასაღებულია შემნახველი სალაროების მიერ. 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხი გასაღებული იქნა—1.665.990 მან. რაოდენობით; აქედან—214.340 (12,9 პროც.) გასაღებულია შემნახველი სალაროების მიერ. ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხი ამიერ-კავკ. გასაღებული იქნა 5.245.740 მან. რაოდენობით, აქედან 439.490 მან. (8,4 პროც.) გასაღებულია შემნახველი სალაროების მიერ. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი შემნახველ სალაროების ხაზით გასაღებულია 1.029.695 მან. რაოდენობით (სულ ამიერ-კავკ. გასაღებული იქნა 20.866.075 მან. რაოდენობით).

სამხედრო წიგნის კვირეული

სამხედრო წიგნების გამოფენა

წითელი არმიის სახლში გაიხსნა სამხედრო წიგნების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია სამხედრო წიგნები როგორც რუსულ, ისე ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

გამოფენა გასტანს 25 თებერვლამდი.

ბიბლიოგრაფიული საღამოები

წითელი ჯარის ნაწილებში იწყობა ბიბლიოგრაფიული საღამოები, რომლებიც მიზნად ისახავენ სამხედრო წიგნის პოპულიარიზაციას წითელ არმიელთა მასაში.

საღამოებზე სწარმოებს წიგნების დაწვრილებით გარჩევა-განხილვა და რეცენზიის შედგენა.

ბიბლიოგრაფიული საღამოები მოეწყობა პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მიერ მუშათა კლუბებში.

ბიბლიოთეკების შევსება

მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილებამ წინადადება მისცა ნაწილებს შეუდგნენ ბიბლიოთეკების შევსებას იმ სამხედრო ლიტერატურით, რომლებიც არ მოიძებნება ბიბლიოთეკებში.

სახელგამი და სამხედრო წიგნის კვირეული

სახელგამი, სამხედრო წიგნის კვირეულთან დაკავშირებით, აწყობს სამხედრო ლიტერატურის გამოფენას წითელი ჯარის ნაწილებში.

ამ დღეებში სახელგამი გამოუშვებს სპეციალურ ლოზუნგებს სამხედრო ლიტერატურის გავრცელების ირგვლივ.

წიგნების კიოსკები

წითელი ჯარის ნაწილებში და საგარნიზონო კლუბებში იწყობა წიგნების კიოსკები, რომლებიც დაკლებულ ფასებში გაჰყიდიან სამხედრო წიგნებს.

დახმარება სამოქალაქო ბიბლიოთეკებს

სამხედრო წიგნის კვირეულის ჩამტარებელმა საგარნიზონო კომისიამ წინადადება მისცა ნაწილებს, აღმოუჩინონ დახმარება პოლიტგანათლების, სკოლების და პროფკავშირების ბიბლიოთეკებს სამხედრო განყოფილებების შევსების და მოწესრიგების საქმეში.

ნატახტარის წყალსადენის სამუშაოები

გუშინ დილით თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში შესდგა ნატახტარის წყალსადენის სამშენებლო კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრო ამხ. ვანო ბოლქვაძე, ინჟ. დოსამიძე, ვარ. მესხი, ფარნიევი, პ. შინშიაშვილი და ვარაზაშვილი.

სხდომამ დაამტკიცა ნატახტარის წყალსადენის წლიური სამუშაო გეგმა 1929 წლისათვის. დამტკიცებული იქნა აგრეთვე ნატახტარის წყალსადენის სამუშაოების გაცემის წესი, რომლის მიხედვითაც ნატახტარის წყალსადენზე მარტივი სამუშაოები გაიცემა საჯარო ვაჭრობის წესით. ხოლო ზოგიერთი საპასუხისმგებლო სამუშაოები გაიცემა სამეურნეო წესით. დამტკიცებულ იქნა შეკვეთა საბჭოთა ქარხნებისათვის კოლექტორის თუჯის მილებზე დიამეტრით—900 მილიმეტრით; შეკვეთის საერთო თანხა უდრის 230.000 მანეთს.

გადაწყდა, რომ ზაჰესიდან გაყვანილ იქნეს ელდენი ნატახტარში. სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე ნატახტარის წყალსადენის შტატი 1929 წლისათვის.

გაფლანგვები პროფკავშირებში

საქართველოს პროფსაბჭომ ჯამი გაუკეთა 1928 წლის განმავლობაში პროფკავშირებში გაფლანგულ თანხებს. სულ გაფლანგულია—18.579 მანეთი. 21 კავშირიდან, რომელიც არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე, გაფლანგვა არ არის აღმოჩენილი ქიმიკოსების, წყალზე მომუშავეების, მეტყევეების და ხელოვნების მუშაკების კავშირში. ყველაზე მეტი თანხა გაფლანგულია რკინისგზელთა კავშირში—4.136 მანეთი, შემდეგ [illegible] კავშირში—2581 მანეთი, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირში—1859 მან., სახალხო კვების—1794, მშენებელ მუშათა—1327, სამთამადნო—1152 მან. და სხვა.

სულ ყველა კავშირებში ადგილი ჰქონდა გაფლანგვის 49 შემთხვევას. თითქმის ყველა ეს შემთხვევები მოდის ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციებზე სამი შემთხვევა იყო პროფკავშირების სამაზრო განყოფილებებში. ყველა გამფლანგველები გამორიცხულია კავშირიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

1927 წელთან შედარებით გაფლანგვები პროფკავშირებში შემცირდა. 1927 წელში სულ გაფლანგული იყო 26.000 მანეთი.

ქრონიკა

ქალაქის კომენდანტისაგან

ქალაქის კომენდანტი აცხადებს თბილისისა და გარეუბნების მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ 16-დან 18 თებერვლამდე ქალაქის მიდამოებში იწარმოებს სამხედრო მეცადინეობა—სროლა: 16 თებერვალს—ვაკეში, თოფებით; 16 და 17 თებერვალს გარნიზონის სამეცადინო პატარა მინდორზე, თოფებით და 18 თებერვალს—მლაშე ტბის მიდამოებში, ზარბაზნებით.

სანიტარული რაზმები ფაბრიკა-ქარხნებში

საქართველოს წითელი ჯვარი შეუდგა სანიტარული რაზმების მოწყობას ფაბრიკა-ქარხნებში.

სულ უნდა დაარსდეს თორმეტი სანიტარული რაზმი. ამჟამად უკვე ჩამოყალიბებულია ექვსი რაზმი.

თითოეულ რაზმში ჩაწერილია 38 კაცი.

მანუფაქტურა უმუშევრებისათვის

პროფსაბჭოს საორგ. განყოფილებამ პროფკავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაავალა თბილისში მყოფ იმ უმუშევართა სიების შედგენა, რომლებიც ირიცხებიან მუშკოოპ-ის წევრათ, რომ მათ შორის განაწილებულ იქნეს მანუფაქტურის მისაღები ორდერები.

მანუფაქტურის მისაღები ორდერები უნდა მიეცეს იმ პირებს, რომლებიც უმუშევრად არიან დარჩენილი 1928 წლის 1-ლ ივლისამდე და გადახდილი აქვთ საწევრო საპაიო გადასახადი 5 მან. და 65 კაპ. რაოდენობით. 1-ლ ივლისს შემდეგ უმუშევრად დარჩენილებს, ორდერები უნდა მიეცეს იმ შემთხვევაში, თუ მათ გადახდილი აქვთ 10 მან. და 65 კაპ. დანარჩენი კატეგორიის უმუშევრებს ორდერები არ მიეცემათ.

შრომის კომისარიატში

◆ **შრომის პირობების შესწავლა მაღაროებში.** შრომის კომისარიატმა შრომის ჰიგიენის ლაბორატორიას დაავალა გაზაფხულიდან შეუდგეს შრ. პირობების შესწავლას ჭიათურის და ტყიბულის მაღაროებში.

სოც. დაზღვევის კომიტეტში

◆ **პენსიების დანიშვნის უფლება.** სოც. დაზღვევის კომიტეტმა ადგილობრივ დამზღვევ სალაროებს მიანიჭა პენსიების დანიშვნის უფლება.

◆ **დამზღვევ სალაროთა ქსელის რეორგანიზაცია.** სოც. დაზღვევის კომიტეტმა გადასწყვიტა მოახდინოს დამზღვევ სალაროთა ქსელის რეორგანიზაცია.

ჯანმრთ. კომისარიატში

◆ **სამკურნალო დახმარების პუნქტები გამსახლებთან.** სამკურნალო განყოფილებას დაევალა მოაწყოს სამკურნალო დახმარების პუნქტები რესპუბლიკაში არსებულ ყველა გამასწორებელ სახლებთან.

◆ **ტუბდისპანსერის შენობა.** ტუბდისპანსერის შენობა, რომლის აგება დაწყებულია თბილისში, დამთავრებული იქნება მომავალ საბიუჯეტო წლისათვის.

სხვადასხვა

◆ **პროფწრეების მუშაობის სახელმძღვანელოთ.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გამოსცა ბროშურა, რომელშიაც დაბეჭდილია პროფესიონალური წრეების სამუშაო პროგრამები. ბროშურა დაურიგდება ყველა პროფწრეებს.

◆ **სახ. უნივერსიტეტში.** დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება სამეცნიერო აგრონომიული წრის წევრთა კრება. დღის წესრიგშია: სექციების ჩამოყალიბება და მომავალი მუშაობის გეგმის დამტკიცება.

◆ **ფიზკულტურის წრეების მოწყობა.** სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან მოეწყო ფიზკულტურის ორი წრე. საჭირო ტანსაცმელი და ინვენტარი შეძენილია.

◆ **საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების წლიური სხდომა** შესდგება შაბათს, თებერვლის 16-ს, საღამოს სრულ 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში.

დღის წესრიგი: 1) პროფ. დ. უზნაძის მოხსენება: „სკოლის წინაშე ასაკის ბავშვის აზროვნებისათვის". (იდეური ობიექტის აგება), 2) პრეზიდიუმის მოხსენება წლიური ანგარიშის შესახებ, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) არჩევნები. დასწრება თავისუფალია.

◆ **„საბჭოთა სტატისტიკის პრობლემები".** ხვალ. 17 თებერვალს, დღის 12 საათზე პროფ საბჭოს ახალ დარბაზში, სტატისტიკური სექტორის კრებაზე, ა.-კ. ცენტრ. სტატ. სამმართველოს მმართველი ამხ. გრიგორიანი წაიკითხავს მოხსენებას: „საბჭოთა სტატისტიკის პრობლემები და ორგანიზაცია".

◆ **მოზარდ მაყურებელთა თეატრში,** 17 თებერვალს დილის 9 საათზე მოზარდ მაყურებელთა თეატრში შესდგება თეატრთან არსებული პედაგოგიური საბჭოს წევრთა სხდომა. სხდომაზე მოწვეული არიან შრომის სკოლების წარმომადგენლები.

ჩაუბარებელი დეპეშები

ობლივსკოიდან — პლეტნევს, ქუთაისიდან—შალიკო ლექვინაძეს, ბათომიდან—ქეთო ჩიმკაძეს, ნუხიდან—სვერანოვსკის.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ორშაბათს, 18 თებერვალს,** საღამოს 5 საათზე შესდგება სკოლებში არსებული თეატრის დამხმარე უჯრედების საერთო კრება.

◆ **კვირას, 17 თებერვალს, საღამოს სრულ** 8 საათზე საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტ. კლუბში შესდგება სახელმწიფო აკადემიური გუნდის დიდი კონცერტი კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტზე შესვლა თავისუფალია.

„დროშა" № 8

გამოვიდა ჟურნალი „დროშა" № 3. შინაარსი: ნ. ენიკოლოპოვი—ა. გრიბოედოვი საქართველოში, პრ. სპ. ვირსალაძე—ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი, ჰანრი ბარბიუსი — უძნიერესი ადამიანი, ფრ. ნაროუშვილი—ყოფა-ცხოვრებიდან (ლექსი), ვ. წ—ძე—დარაიას პერანგი, გ. ე—ლი—ფოთის საცივარი, ხ. კ.—ლენინის ინსტიტუტი, ე. წულაძე—პაქტი და ფაქტები, გ. ჩიტაია—საქართველოს მუზეუმი, დ. ნაცვლიშვილი—არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, გ. ქუჩიშვილი—კაპიტალის ტყვეებს (ლექსი), ა. კ—ძე—ქართული ხელოვნების საკითხები საკავშირო სამხატვრო აკადემიაში, იუმორისტული განყოფილება. ჟურნალში მოთავსებულია 60-ზე მეტი სურათი. ფასი 15 კაპ.

სასამართლო

შურისძიება

ზაფხულის საღამოა. ნინა ბაგინოვა მარტოდ დასეირნობს თბილისის რკ. გზ. სადგურის მახლობლად მდებარე ბაღში. შეუმჩნევლად მასთან მიდის ვიღაც უცნობი და ხმის ამოუღებლად რამოდენიმეჯერ სცემს ბებუთს თეძოს არეში. გულწასული ქალი უხმოდ ეცემა მიწაზე. თავდამსხმელი იმალება.

ცნობა დაკარგული ქალი სასწრაფო დახმარების ეტლით მიყავთ ახლომდებარე საავადმყოფოში. მეორე დღეს ბაგინოვა ცნობას აძლევს მილიციას იმის შესახებ, თუ ვინ დაეცა მას მოსაკლავად და რამ გამოიწვია მასზე თავდასხმა.

ბარსეგ კარაპეტის ძე მღებროვი, რომელმაც დასჭრა ნინა ბაგინოვა, ხუთი წლის განმავლობაში სცხოვრობდა ამ უკანასკნელთან; ოფიციალურად ისინი არ ყოფილან დაქორწინებულნი. სასამართლოსთვის გამოურკვეველი დარჩა საკითხი, თუ რამ გამოიწვია მათ შორის ჩხუბი, რომელიც ასე ტრაგიკულად დამთავრდა. შეიძლება, ქალს მობეზრდა მღებროვთან ცხოვრება და ეძებდა მიზეზს განშორებისათვის. შეიძლება, თვით მღებროვის მოპყრობა იყო ქალისათვის აუტანელი. მოწმეები მათი წარსული დამოკიდებულების შესახებ გარკვევით ვერაფერს ამბობენ. ის კი იციან, რომ 1928 წლის 7 ივლისს მღებროვი და ნინა ერთმანეთს წაეჩხუბნენ, და ამის შემდეგ ქალი უკვე აღარ მიკარებია ბარსეგს, რომელსაც არა ერთხელ მიუცია წინადადება დაბრუნებოდა მას. როცა მუდარამ არ გასჭრა, მღებროვმა სცადა მუქარა.

განშორებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ივლისის ერთ საღამოს მღებროვმა სისრულეში მოიყვანა თავის მუქარა. ქალისათვის მიყენებული ჭრილობა სახიფათო გამოდგა. შეიძლებოდა ამ ჭრილობას ქალი გადაყოლოდა, მაგრამ კარგი მკურნალობით ქალი გადარჩა სიკვდილს. ერთი თვის ძებნის შემდეგ ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. წინასწარი გამოძიების დროს მან აღიარა თავისი დანაშაული, ხოლო სასამართლოში უარყო არა თუ დანაშაული არამედ ნაცნობობაც კი ნინა ბაგინოვასთან.

თბ. მაზრის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მღებროვს თავდასხმისათვის მკვლელობის მიზნით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. სასტიკი იზოლიაციით.

შემთხვევები

მუშკოოპის პასაჟის გაქურდვა

14 თებერვალს, ღამით, ვიღაც ბოროტგამზრახველებმა მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მუშკოოპის ცენტრალური პასაჟი (რუსთაველის პროსპ. № 4). წაიღეს 5.700 მანეთის ფართალი. ამას გარდა ქურდებს წაუღიათ სხვა საქონელიც. ბოროტმოქმედებს მიმალვისას პასაჟის კარები ღია დაუტოვებიათ. როცა გუშინ-დილით, გამგე მაღაზიაში გამოცხადდა ნახა, რომ კარებზე ლუქი მოგლეჯილი იყო. თანაც ყველაფერი ქირამალა იყო გადაბრუნებული. გამგემ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობად.

მატარებლის ქვეშ

სადგ. ილამაში ორთქმავლის მოხსნის დროს ვაგონს ქვეშ მოექცა კონდუქტორი ვას. ვეგნეროვი. ვეგნეროვს გადაჭრილი აქვს ორთავე ფეხი.

ქურდი შვილი

სარქის ხაჩატუროვს (მცხ. კაზლოვის ქ. № 9) მისმა ქალიშვილმა მოპარა 80 მანეთი ფულად და 220 მანეთის ნივთები და მიიმალა.

ქურდობა

გაქურდეს გული მოლა-ოღლის ბინა (აბანოს შესახ. № 12), წაიღეს 100 მანეთის ნივთები. —ნინა ვართანოვის ბინიდან (რ. ერისთავის ქ. № 1) მოიპარეს სხვადასხვა ნივთები,—გაქურდეს ტასო გიგაურის ბინა (პლეხანოვის პროსპ. № 185), წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.—გრიგოლ ღაღანიძის ბინიდან (ვერცხლის ქ. № 20), წაიღეს 70 მანეთის ნივთები.

რადიო-გადაცემა

შაბათს, 16 თებერვალს, რადიო-გადამცემი სადგური 1075 მეტრიან ტალღაზე გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერისა და მოწაფის საათი ქართულ ენაზე. ამხ. ცაგარელის საუბარი ციკლიდან „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია", „კოლმეურნეობათა მშენებლობის პრაქტიკ. საკითხები" ქართულ ენაზე. რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე, პოპულიარული კონცერტი გლეხებისათვის. რადიო-გადაცემის კვირეული პროგრამა რუსულ და ქართულ ენაზე, ქართული დრამის ტრანსლიაცია „რღვევა" რუსთაველის თეატრიდან. უკანასკნელი ამბები

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

ტირაჟი გურჯაანში

(წერილი გურჯაანიდან)

16 თებერვალს კახეთის ახალ ცენტრში, გურჯაანში, დაიწყება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მოგებათა გათამაშება.

რკინის-გზელთა კლუბი გურჯაანში, სადაც გაიმართება ტირაჟი

გლეხობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა მთავრობის გადაწყვეტილებას გურჯაანში ტირაჟის მოწყობის შესახებ. სამაზრო საფინანსო განყოფილების მუშაობამ სესხის პოპულიარიზაციისათვის თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. გაიზარდა მოთხოვნილება ობლიგაციებზე. გლეხკაცობამ საფუძვლიანად შეიგნო სახელმწიფო სესხების მნიშვნელობა და სხვ.

ტირაჟის დღისათვის გურჯაანი მოელის აუარებელ სტუმრებს ცენტრიდან და მაზრის სხვადასხვა კუთხეებიდან.

გლეხთა ორგანიზაციები, კოლექტივები, ამხანაგობები გზავნიან წარმომადგენლებს, მოდიან შორეული კუთხეების მცხოვრებნი.

ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა სატირაჟო კომისია, რომლის განკარგულებაში საკმაო ბინები არ მოიპოვება. ჩამოსულების ღამის გასათევად საწოლები დადგმულია კლუბებში და ცალკე დაწესებულებების შენობებში.

ალაზნელი.

ფიზკულტურა და სპორტი

საკავშირთაშორისო შეჯიბრება სროლაში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავის და წითელი არმიის 11 წლის თავის აღსანიშნავად საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების ფიზკულტურის ცენტრალური ბიურო 24 თებერვალს, დღის 12 საათზე—ყოფ. სამხედრო ტაძრის მოედანზე მართავს საკავშირთაშორისო შეჯიბრებას სროლაში მცირე ყალიბიან თოფებიდან.

ყველა კავშირებმა 18 თებერვლისათვის უნდა გამოჰყონ მსროლელთა გუნდი ათი კაცის და ორი კანდიდატის შემადგენლობით.

სროლის პირობები: მანძილი—25 მეტრი; იარაღი—მცირე ყალიბიანი თოფი „მეკკო", „ტოზ", ან მონტეკრისტო; ნიშანი № 6. მდგომარეობა: სურვილის მიხედვით. დაუყრდნობლივ (თასმით სარგებლობა შეიძლება); ტყვიების რიცხვი: 10 ჩასათვლელი და 2 სასინჯი დრო 10 წუთი.

გამარჯვებულად ითვლება გუნდი, რომელიც მოაგროვებს ყველაზე მეტ ქულას. ქულა გუნდს ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ ნიშანი გახვრეტილია.

მსაჯულ კოლეგიაში გამოყოფილი არიან ამხ. ლევესტამი, დიმიტრიევი, თავაძე; ავდეევი; მერკვილაძე; იოხავა; შეჯიბრების მდივანი შულგინი.

იმავე დღეს საღამოს მოხდება საქართველოს პროფესიონალურ კავშირების ყველა სასროლო წრის გადაცემა თავდაცვა-ავიაქიმის განკარგულებაში. საღამოს 9 საათზე მბეჭდავთა კლუბში შეიკრიბებიან ყველა წრეების აქტივი და შეჯიბრის მონაწილენი და შედეგების გამოცხადებასთან ერთად წაკითხული იქნება ის შეთანხმება, რომელიც დადებულია საქ. პროფკავშირების და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას შორის.

გამარჯვებული კავშირი იღებს პროფსაბჭოს სახელობის გარდამავალ ჯილდოს.

ადგილებზე პროფკავშირებმა შეჯიბრება უნდა ჩაატარონ ამავე პირობებში და ათ საუკეთესო მსროლელის ნიშანი გადმოგზავნონ ს. პ. კ. საბჭოში. გამარჯვებული გუნდი იღებს დიპლომს. ნიშნები პროფბიუროების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 1-ლი მარტისა. ნიშნები ხელმოწერილი უნდა იქნეს არმიის. თავდაცვა-ავიაქიმის და პროფბიუროდან გამოყოფილ მსაჯთა მიერ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

ქალაქისა და სოფლის კავშირის „კვირეული"-ს ჩატარების შესახებ.

ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების მატერიალური სახსარის გაძლიერებისა და მიზნების პოპულიარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოებას მოაწყოს ქ. თბილისში კვირეული 1929 წლის მარტის 17-დან მარტის 23-მდე—ამ რიცხვითურთ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კვირეულის განმავლობაში ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოებას ნებადართული აქვს მოაწყოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნის შესაფერ თემებზე, რათა მოქალაქენი ფართოდ იქნენ ჩაბმულნი საზოგადოების მუშაობაში და გავრცელებულ იქნეს მათ შორის ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების იდეები და მიზნები; ამისათვის საზოგადოებას შეუძლიან გამოიყენოს საჯარო აუდიტორიები, მუშათა კლუბები, წითელი კუთხეები და სხვ.

3. ნება დაერთოს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოებას ოთხი დღის განმავლობაში—მარტის 17-დან მარტის 20-მდე—ამ რიცხვითურთ—შეჰკრიბოს ყულაბებით ფული ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებებში.

4. წინადადება მიეცეს საწარმოთა ადმინისტრაციას, უკეთუ მუშები და მოსამსახურეები მოისურვებენ, არ აუკრძალოს მათ კვირა დღეს მუშაობა იმ პირობით, რომ მათი ხვედრი სამუშაო ხელფასი გადაეცეს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოებას მისი სახსარის გასაძლიერებლად.

5. ნება დაერთოს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოებას გამოუშვას საუქციონო ღია ბარათები წარწერით „კატარა აფთეკა" და პორტსიგარები წარწერით: „ამაგრე მუშათა და გლეხთა კავშირი" კვირეულის განმავლობაში გასავრცელებლად.

6. დაწესებულ იქნეს მარტის 17-დან მარტის 23-მდე—ამ რიცხვითურთ—ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების სასარგებლოდ შემდეგი დაბეგვრა:

ა) სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობებსა და სანახაობაზე შესასვლელ ბილეთებზე (თეატრი, კინო, კლუბი და სხვ.) ბილეთის ფასის 10 პროც. რაოდენობით.

ბ) სპეციალური გამოსაღები ყველა რესტორანისა, სასადილოს და ღვინის სარდაფის ბრუნვაზე—10 პროც. რაოდენობით.

7. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოება განახორციელებს კვირეულის ჩასატარებლად მოწყობილი განსაკუთრებული კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. ვარძიელი.

1929 წ. იანვრის 9.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ამხ. მიხ. კახიანის სახელ. ქართული მუშათა ფაკულტეტის ლენინური კომკავშირის ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 16 თებერვალს, საღამოს 9 საათზე შესდგება „მსუბუქი კავალერისტების" პირველი საორგანიზ. კრება. (მომხს. მუშ. და გლეხ. ინსპექციიდან). „მსუბუქი კავალერისტების" დასწრება სავალდებულოა.

შაბათს 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომპ. (ბ) ცკას მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იწვევს ფართო თათბირს: სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება: დოლიძე, ორაგველიძე, ჯავახიძე, კვირიკაშვილი, დუგლაძე, ჩხარტიშვილი, მარკოზოვა, კვიცარიძე, ჩარქვიანი, საყვარელიძე, შიუკაშვილი, ბაქრაძე, ქავთარაძე სიმონიშვილი, რუსულ-ზადე, ტაგიევი და ნაჯაფოვი.

შაბათს, 16 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ი. ტორონელიძე, ერქომაიშვილ და აგრეთვე ცეკავშირის, „ზაკსოტორგ"-ის, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები.

შაბათს, 16 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ც.კ.-ს აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები: ჭუმბია („კომუნისტი"), სიხარულიძე („მუშა"; ა. გიორგაძე. ბარათაშვილი („ახ. სოფ".) ვოლსკი („ახ. კომუნისტი"), გრიგორიანი („რაბ. პრავდა"), აროშიძე („წითელი არმიელი"), მელიკიანი („პროლეტარი"), ტაგიევი („ენი-კენდი"), და სიხარულიძე („მოჯამაგირის ხმა").

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 16 თებერვალს, შესდგება უნივ. არსებულ ყველა უჯრედების აგიტპროპთა თათბირი; უნდა გამოცხადდენ აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: კვიცარიძე, კალაძე, ჭელიძე, სიხარულიძე შერმანდი, ნამორაძე, ბოჭორიშვილი, კანდელაკი ქ. ოვანოვი. თათბირი გაიხსნება სრულ 12 საათზე. დასწრება სავალდებულოა.

კვირას, 17 თებერვალს, დილის 11 საათზე კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა. კომისიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროპედ.-ქირურგ. კლინიკა აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 17 თებერვალს, დღის 1-ლ საათზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბე) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი მასწავლებლისა და ხელმძღვანელის

პროფ. ნიკოლოზ საულის-ძე კახიანის

გარდაცვალებიდან 1 წლის შესრულების გამო. 459 2—2

სოფელ როკითის (ბაღდათის თემი) მცხოვრებნი აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათი სოფლის სასიქადულო შვილის პროფესორის

ნიკოლოზ (კოლია) საულის-ძე კახიანის

გარდაცვალების წლის თავზე ქ. თბილისში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში (დიდუბეში), კვირას, 17 თებერვალს, დღის 1 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 470

ს.კ.პ. (ბ) გურიის კომიტეტი იუწყება, რომ ა. წ. 13 თებერვალს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი გურიის კომიტეტის წევრი

ამხ. ერასტო ჩიგოგიძე

დასაფლავება, 19 თებერვალს, სოფ. ხიდისთავში, 457 2—2

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი იუწყება, რომ ა. წ. 13 თებერვალს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ოზურგეთის სამაღმასკომის წევრი

ამხ. ერასტო ივანეს-ძე ჩიგოგიძე

დასაფლავება 19 თებერვალს, სოფელ ხიდისთავში. 457 2—2

ოზურგეთის სამპროფბიურო აუწყებს ამხანაგებს, რომ 13 თებერვალს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი

ამხ. ერასტო ივანეს-ძე ჩიგოგიძე

ნ. 2264

ოზურგეთის საავადმყოფოს თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ კომუნალური მეურნეობის თავმჯდომარის

ერასტო ივანეს-ძე ჩიგოგიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ. 2264

მეუღლე ელენე და ძმა გლახუნ აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა დაუვიწყარი

ერასტო ივანეს-ძე ჩიგოგიძე

დასაფლავება დანიშნულია 19 თებერვალს ს. ხიდისთავში. 457 2—2

ხიდისთავის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „ოჯახის" გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ძველი ბოლშევიკის კოოპერატორის

ამხ. ერასტო ივანეს-ძე ჩიგოგიძის

უდროოთ გარდაცვალებას. 474

ხიდისთავის თემის პარტორგანიზაციები და აღმასკომი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ძველი ბოლშევიკის

ამხ. ერასტო ჩიგოგიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავების დღე გამოცხადებული იქნება. 474

ხიდისთავის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობა და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძველი კოოპერატორის და ბოლშევიკის

ამხ. ერასტო ივანეს-ძე ჩიგოგიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 474

თანამებრძოლნი, გურიის ორგანიზაციის წევრები: სერგო მეგრელიშვილი, ვალერიან გოგიბერიძე, ტარასი მგალობლიშვილი, ვალოდია თავართქილაძე, ანდრო კალანდაძე, მირიან ქერქაძე, ნოე ზამბახიძე, ავთონ კალანდაძე, პრაკოფი მეგრელიშვილი, გიორგი კალანდაძე, ნიფორე მელიმონაძე, ბესარიონ მეგრელიძე, საშა ტყეშელაძე, აკაკი შარაშიძე, ვანო ლომთათიძე, კოლია ლომთათიძე, სერგო შარაშიძე, შალვა ლომთათიძე, შალიკო მარგალიტაძე, ნოე კალანდაძე, გერმანე ლომთათიძე უღრმეს მწუხარებას გამოვთქვამთ ძვირფასი ამხანაგის, ძველი ბოლშევიკის

ამხ. ერასტი ჩიგოგიძის

დაკარგვის გამო. ნ. 2266

საქართველოს კომუნალური ბანკის თანამშრომლები: აკ. ქაჯაია, აკ. შარაშიძე, აპოლონ დუმბაძე, ბენო მახარაძე, რაჟდენ დუმბაძე, ალფ. ხელაძე, მირ. ბასილია, იულო დუმბაძე, კქლ. შარაშიძე, არ. ჩიჩუა, გრ. ზედეიშვილი, დავ. ფურცელაძე, გოგი მახარაძე, გიორგი დუმბაძე, ვასო გოლოვინი, ზოსიმე რამიშვილი და სევ. კეკელიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძველი ბოლშევიკის

ერასტი ივანეს-ძე ჩიგოგიძის

გარდაცვალების გამო. 430

გულმოკლულნი მეუღლე თომა ბოცვაძე, პაწია შვილი თენგიზი, მშობლები ელისაბედ და ირაკლი დები: ქსენია და ანიკო, ძმები: ვალოდია და გიორგი ჩოგოვაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

თამარ ბოცვაძისა

დაკრძალვა 19 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, ქავჭავაძის ქ. № 86. 2—1 ტელ.

თავზარდაცემულნი ძმა ცოლით—მაჭავარიანები, დები თამარა, ნინო, ვარა, კატუშა, სიძეები: კ. ჯიკურაშვილი, ვ. ტუღუში, ი. ქემოკლიძე; დეიდაშვილი: ნ. მარემულაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 13 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარიამ იორდანის ასული მამულაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 16 თებერვალს, 6 საათზე. გამოსვენება შავთელის ქ. № 20, კვირას, 17 თებერვალს 3 საათზე. 460

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე პავლე, შვილებით: ვანო, ლენიკო მამულაშვილები, დედამთილი ეკატერინე, მშობლები: ანა და იორდანე მაჭავარიანები აუწყებენ ნაცნობ და ნათესავებს, რომ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარიამ იორდანეს ასული მამულაშვილისა

გამოსვენება კვირას, 17 თებერვალს, 3 საათზე, შავთელის ქუჩა, № 20. დაკრძალვა რკინის გზის გადაღმა ავლაბრის სასაფლაოზე. 458 2—2

ღრმად დამწუხრებულნი ვანო, ლიზა, პეტრე და ანია მამულაშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასის რძლის

მარუსია მამულაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 17 თებერვალს, 3 საათზე. 456 2—1

ღრმად დამწუხრებულნი: ანასტასია მგელაძისა შვილებით: ნატალია, ნინო, გიორგი, ელენე, ბაბულია, ლიუბა ოჯახებით და თამარა აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ დის და დეიდის

პუპულო გრიგოლიას

გარდაცვალებას. გამოსვენება და დაკრძალვა ს. საქილაოში, 17 თებერვალს. 471

გულდათუთქული შვილი ნინა აბელის ასული ქმრით გიორგი ისიდორეს-ძე ჩიხლაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი პირველისთვის მამა და სიმამრი

აბელ გრიგოლის-ძე უაზაროვი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან კვირას, 17 თებერვალს, 12 საათზე, კრილოვის ქუჩა, № 4. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 475

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: მარიამი და ივანე; ძმები: მიშა, გიორგი, იოსები და მაგდანი, სიძე ვასილი, რძლები: მარუსა და მარგალიტა აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 თებერვალს გარდაიცვალა ქალ. გორში

ნიკოლოზ როსებაშაშვილი

დაკრძალვა კვირას, 17 თებერვალს. (8)

კვირას, 17 თებერვალს, 12 საათზე ქ. ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ეზოში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მიტროფანე ფილიპეს-ძე ფხაკაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებს საზოგადოებას მეუღლე ელისაბედი შვილებით. 483

შვილები: ნინო, ევდო, მიშა და შვილიშვილი კატო, ოჯახობით აუწყებენ მეგობართ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი დედა

ქეთევან ბარნაბიშვილი

გამოსვენება თებერვლის 17-ს, 1-ლ საათზე ორბელიანის ქ. № 16. 481— 2—1

რუსთაველის თეატრი
2—2 ნ. 2061

შაბათს, 16 თებერვალს, ბ. ლავრენევის
რღვევა დრამა 4 მოქმ. თარგმ. ა. ფაღავასი
დადგმა: ალ. ახმეტელის. მხატვარი: ირ. გამრეკელი.
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში. მუშათა სასახლე ოთახი № 1.

რუსთაველის თეატრი
2—1 ნ. 2265

კვირას, 17 თებერვალს ხოზიკას
„ხოჭოების დოღი" კომ. 3 მოქმ.
დადგმა ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის. მხატვარი ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრისა და მუშათა ზოლის სალაროში, მუშათა სასახლე ოთახი № 1

სახელმწიფო კინოები

განთიადი
აპოლო
სოლეი
მინიონი
კალასი
არფასტო
დარბაზი
პროლეტარი ავლაბარი

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის
ახალი სურათი
კომუნარის ჩიბუხი
ი. ერენბურგის ნოველის მიხედვით
რეჟისორი კ. მარჯანიშვილი. ოპერატ. ს. ზაბოზლაევი
„მეჟრაბპომ-ფილმ"-ის ახალი ისტორიული სურათი
ჩინგის-ხანის შთამომავალი
რეჟისორი—პუდოვკინი. მთავარ როლში—ინკიჟინოვი.
ტარზან—ჯუნგლების მბრძანებელი 1 და 2 სერია ერთად
ნამდვილი ჯენტლმენი მონტი ბენქსის მონაწილ.
0—14

ცირკი კოლოსი
ტელეფ. № 8—64
3—2 ნ. 2250

დღეს
განახლებული სანახაობა
პროგრამა 8 განყოფილებად
ქსილოფონის დამკვრელ სოლისტ ქალის პეტრაკოვსკაიას
პირველი გასტროლი
ბერლინის ცირკის „ბუშ"-ის არტისტები 2 ედერი
აგრეთვე მთელი დასი და გასტროლიორები
პოპულიარულ ჰიპნოტიზიორ **ორნალდოს**
გამოსვლების უკანასკნელი დღეები
(მასიური ჰიპნოზი)
დასაწყისი 8 ნახ. საათზე
კვირას 17 თებერვალს, დიდი სანახაობა დღისით
ახალი პროგრამა. მონაწილეობს მთელი დასი
დასაწყისი დღის 2 საათზე. ფასები ჩვეულებრივია

იჩქარეთ ნახოთ!
პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!
სამხეცე ცხოველთა სამყარო
უოკეი კლუბის (ყოფ. არტოს) ბაღში
ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები
მფრინავი ძაღლები
ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ეკზემპლიარები.
სამხეცე ღიაა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?
ნ. 2082 ს—17

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 15475, გაცემული ლეჩხუმის განათლების მუშაკთა კავშირის მიერ ალექსანდრე დავითისძე აზვლედი ნის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2263

დავკარგე: კავშირის საწევრო წიგნაკი № 28400, გაცემული ქუთაისის საბჭოთა სავაჭრო კავშირის მიერ ვალერიან ალექსის ძე კაპჭელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2263

დავკარგე: მბეჭდავთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 9480 გაცემული სერგო კარაპეტის ძე მურადოვის სახელზე ჩ. გ. 482

ქ. ქუთაისის მე-2 უბ. სასამართლოს აღმასრულებელი
დ. აშორდია
აცხადებს, რომ 1929 წ. თებერვლის 22-ს 12 საათზე ქუთაისის მაზრაში, სოფ. ბაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივ. ნე კონსტანტინეს ძე ნაცვლიშვილის შემდეგ მოძრავ ქონებას 1) მამაჯანოვის მანქანას, ტანისამოსის შკაფს, კამოდს, ბუფეტის შკაფს, ერთი ძროხას, ერთი ხბოს და 10 ფუთ სიმინდს შეფასებულს 585 მან., დავით შავგულიძის სასარგებლოდ თანახმად ქუთაისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლის ბრძანებით წარწერისა 11 აგვისტოს 11 აგვისტოს 1926 წ. № 4051 მსურველებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ, საწინდარი 10 პროც. ნ. 2262

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
ნ. 25

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის დ ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914", ტრიპერის დ მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე
საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისის 2—4 საათამდე
მისამართი: ივანოვ-მარდალეი შვილის 1-ლი შესახვევი № 9 სახლი ბალათურიასი

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდო ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. და ჩერნიშევის ქუჩ კუთხე 25 | 5.
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
402 3—3

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვისპროსპ. № 10

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.
18—6. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. / საღ. 6 ს.—8 საათ.
25 | 1

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., № 132.
13—1 352

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექ. **დ. ლ. თევზაძე**
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და დაშლილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ.
საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8.
25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების დ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.
ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს
მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედისა № 47, ელსმენი № 5—90.

უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში
საღამოობით 4—6 საათამდე სწარმოებს ავადმყოფების მიღება დაკლებულ ფასებში. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126
ნ. 19—25—11

კალინინის ქუჩა № 33
(ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. **ი. დ. თოფურიძე**
კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეიის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ.
ქალები10—11 დილით
25—1

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი № 29 ბაგრატ ბეჭკაიას სახელზე, ჩ. გ 479

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 3705 გიორგი აბურჯანიას სახელზე, ჩ. გ. 476

დავკარგე უვადო პასპორტი, კოოპერატივ „რაჭა"-ს საწევრო წიგნაკი № 6, სა ნგარიშო წიგნაკი. მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 2090 ავიაქიმის და რემედასის საწევრო წ გნაკები და თებსაბჭოს მოწმობა—მელიტონ მოსეს ძე დგვარაძეს სახელზე, ჩ. გ. 472

დავკარგე: კოოპერატივ მეომარის წიგნაკი № 5364 არმენაკ არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 469

დავკარგე: რკ. გზის. კავშირის წიგნაკი № 13672, ზაკტპოს" საწევრო წიგნაკი № 29044, პირადობის მოწმობა (ცოლის და შვილის) და ობლიგაციები 1) სერია 04 № 076161 25 მ. 2) სერია 24 № 060485 გიორგი გიგილაშვილის სახელზე. ჩ. გ. 468

დავკარგე: კავშირის საწევრო წიგნაკი 567867, გაცემული ქუთაისის სამთო-მადნო კავშირის მიერ ალექსი ივანეს ძე ბობოხიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2263

დავკარგე: პირადობის მოწმობა გაცემული ქალ. ტომსკის მილიციის მიერ იაკობ არონის ძე გურევიჩის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2263

დავკარგე: საპენსიო წიგნაკი № 8764 გაცემული ქუთაისის დამზღვევ სალაროს მიერ ნესტორ სიმონის ძე ცქიტიშვილის სახელზე, ჩ. გ ნ. 2263

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის ბარათი მიხეილ ალექსანდრესძე კრივორუჩკოს სახელზე, ჩ. გ. ნ. 2265

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ცამ ის ქუჩა № 68.

მთავლიტი № 204.